ქალები და ისტორია

ყოველდღიური ცხოვრების გენდერული პერსპექტივები (1970-იანი და 1980-იანი წლები)

HEINRICH BÖLL STIFTUNG
KYIV
Ukraine

HEINRICH BÖLL STIFTUNG
TBILISI
South Caucasus Region

პუბლიკაცია მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისისა და კიევის ოფისების ერთობლივი პროექტის **ქალები და ისტორია** ფარგლებში.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

სამეცნიერო რედაქტორები:
ოქსანა კისი, ისტორიკოსი, ანთროპოლოგი, უფროსი მეცნიერ-მკვლევარი, ეთნოლოგიის ინსტიტუტი, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (ლვოვი)
თამთა მელაშვილი, მწერალი, გენდერის სპეციალისტი

მთარგმნელი: TM „TaskForce“, FORCE GROUP OF COMPANIES LLC
ქართული ტექსტის კორექტორი: ნინო საითიძე
ილუსტრაციები: ალევტინა კახიძე (ო. გნიდიუკის და ო. სტიაჟკინას სტატიებისთვის), თათია ნადარეიშვილი (თ. ქებურიას და ა. პარუნოვას სტატიებისთვის)
ყდის კონცეფცია: თათია ნადარეიშვილი
დაკაბადონება და დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე

© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი, 2021
© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის კიევის ოფისი, 2021

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

„პროფკავშირებიც დიდ სამუშაოს ასრულებენ ამ მიმართულებით“:
შრომითი პოლიტიკა და ქალთა შრომის გენდერული საკითხები უკრაინაში
1970-იანი 1980-იანი წლების დასაწყისი 7
ოლგა გნიდიუკი

თეთრი ხალათი და ბეწვის ქურქი: მეტალურგ ქალთა ცხოვრების ისტორია გვიან სოციალიზმში 21
თამარ ქებურია

უკრაინელი ქალები საბჭოთა ჩრდილოვანი
სასურსათო ბაზრის შექმნაში
(1970-იანი წლები – 1980-იანი წლების შუა პერიოდი) 40
ოლენა სტიაჟკინა

ბრეჟნევის ეპოქის ქართული დისკურსი სექსუალობაზე 54
ალა პარუნოვა

წინასიტყვაობა

წლების განმავლობაში, ქალებს ყოველდღიურ ცხოვრებაში უწევდათ სხვადასხვა როლის შეთავსება – დედის, ოჯახების მარჩენლის, მშრომელის და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს როლები ყოველთვის მიიჩნეოდა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად, ისინი იშვიათად იქცევდა ყურადღებას საჯარო დისკურსში. ქალებს ხშირად უწევთ სხვადასხვა სამუშაოს ერთდროულად კეთება და, ამავე დროს, სრულყოფილი დედის, მეუღლისა და მშრომელის საჯარო იმიჯის შენარჩუნება. გლობალურმა პანდემიამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა ოჯახში, ეკონომიკურ ცხოვრებასა და, ზოგადად, ყოველდღიურ ცხოვრებაში გენდერული როლების გადანაწილების მნიშვნელობა. მართალია, დრო იცვლება, თუმცა გამოწვევები მსგავსია – ქალების როლი საზოგადოების ფუნქციონირებაში კვლავ უხილავი რჩება.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი არის გენდერული დემოკრატიის მუდმივი მხარდამჭერი მრავალი აქტივობის ფარგლებში, რომელსაც ის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინაში ახორციელებს. ეს აქტივობები ასევე მოიცავს პუბლიკაციებსა და ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერულ საკითხებზე ადგილობრივი დისკურსების გამრავალფეროვნებას.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისისა და კიევის ოფისების ერთობლივი პროექტის მთავარი იდეა არის საჯარო დისკუსიის ხელშეწყობა ქალებისა და ისტორიის თემაზე. წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც მხარს უჭერდა ქალების ისტორიის კვლევას, განხორციელდა როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში, მიუხედავად ამისა, უფრო მეტის გაკეთებაა შესაძლებელი და საჭირო ამ მიმართულებით და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პროექტი ხელს შეუწყობს ამ პროცესს.

წლევანდელი საპილოტო პროექტი ორ ქვეყანას – საქართველოსა და უკრაინას მოიცავს. ამ ქვეყნების შესახებ დაწერილ სტატიებზე დაყრდნობით, ჩვენ გვსურს მოგიწვიოთ, რათა გავაანალიზოთ ქალების შინშრომის და პროფესიული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი. საკვლევი თემა – ქალების შინშრომა და პროფესიული ცხოვრება გვიან საბჭოთა პერიოდში (1970-იანი და 1980-იანი წლები) – გადაწყდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის პარტნიორებთან დისკუსიების შედეგად, რისთვისაც განსაკუთრებით მადლიერები ვართ. ჩვენ კონკრეტულად გვაინტერესებდა შემდეგი საკითხები:

- როგორი იყო ქალთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა სახელმწიფო სოციალიზმის პირობებში 1970-1980-იან წლებში (მაგ.: ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების პოლიტიკა, დირექტივები, რომლებიც ეხებოდა ქალების თანაბარ მონაწილეობას შრომის ბაზარზე, ფულადი და ინსტიტუციური მხარდაჭერა ბავშვების აღზრდისთვის და სხვა).

- რა წინაპირობები არსებობდა ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და შრომის ბაზარზე ჩართვისთვის?

- სექსუალობის დისკურსები ბრეჟნევის პერიოდში: როგორ იცვლებოდა ეს დისკურსები, როდესაც იკვეთებოდა ადგილობრივ კულტურულ და ნაციონალისტურ ასპექტებთან? რა გავლენას ახდენდა სექსუალობის დისკურსები ქალებზე და როგორ ხდებოდა მათი მხრიდან დისციპლინური პრაქტიკების ინტერნალიზება?

საკვლევი პერიოდი – 1970-1980-იანი წლები შეირჩა, რათა, ერთი მხრივ, შეგვესწავლა ახლო წარსულში მიმდინარე მოვლენები და პრაქტიკები, ხოლო, მეორე მხრივ, დისკუსიების დროს გამოჩნდა, რომ ეს პერიოდი არ იყო სათანადოდ შესწავლილი და მეტ კვლევას საჭიროებდა.

თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა პუბლიკაცია, რომელშიც ორივე ქვეყნიდან სულ ოთხი სტატიაა შესული (ორი სტატია თითოეული ქვეყნიდან). ისინი გაერთიანდა საერთო თემის ქვეშ: ყოველდღიური ცხოვრების გენდერული პერსპექტივები. ასევე გვექნება პუბლიკაციის ონლაინპრეზენტაცია.

საქართველოსა და უკრაინას საკმაოდ ბევრი აქვთ საერთო, მათ შორის, მსგავსი ყოველდღიური პრაქტიკები და ბოლო ათწლეულებში საკმაოდ აქტიური ტრანსფორმაციული პროცესები, რომლებიც ორივე ქვეყანაში მიმდინარეობდა. პუბლიკაციაში წარმოდგენილი კვლევითი სტატიები შეგვიძლია მივიჩნიოთ საწყის წერტილად უფრო მეტი რეგიონული და თემატური თანამშრომლობისთვის, რომელიც შესაძლოა ჩამოყალიბდეს მკვლევრებისა და მეცნიერების ფართო წრეებს შორის, ასევე, სხვა ქვეყნების წარმომადგენლების ჩართვით (მაგ.: სომხეთიდან, ბელარუსიდან და სხვა). ჩვენ გვჯერა, რომ ეს პროექტი ხელს შეუწყობს მეხსიერების პოლიტიკაზე ფემინისტი მკვლევრების რეგიონული ქსელის გაფართოებას და გააძლიერებს მათ შორის თანამშრომლობას. ასევე, იმედი გვაქვს, რომ მომავალში სხვა საკითხების შესწავლის შესაძლებლობაც გვექნება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს მწერალ ქალებს, საპროტესტო გამოსვლებს/აქტივიზმს, 1990-იანი წლებიდან მოყოლებულ ომის გამოცდილებებს და სხვა. პუბლიკაცია შესაძლოა საინტერესო იყოს სტუდენტებისთვის, მკვლევრებისა და მეცნიერებისთვის, რომლებიც მუშაობენ ისტორიის და გენდერის კვლევების კუთხით. იმედი გვაქვს, რომ წარსულისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და შესაბამისი ანალიზი არა მხოლოდ გააძლიერებს თანამშრომლობას, არამედ ასევე შეცვლის ნარატივებს ისტორიაში ქალების როლის შესახებ.

ლილია ჩიხლაძე, პროგრამის კოორდინატორი,
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი – სამხრეთ კავკასიის რეგიონი

სოფია ოლინიკი, პროგრამის კოორდინატორი,
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის კიევის ოფისი – უკრაინა

працьовита мамір
основна функція жінки МАТЕРИНСТВО?
Дитячий садок
школа

„პროფკავშირებიც დიდ სამუშაოს ასრულებენ ამ მიმართულებით“: შრომითი პოლიტიკა და ქალთა შრომის გენდერული საკითხები უკრაინაში, 1970-იან წლებსა და 1980-იანების დასაწყისში

ოლგა გნიდიუკი
პოსტ-დოქტორანტი მკვლევარი,
ისტორიის დეპარტამენტი/გენდერის კვლევების
დეპარტამენტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ეს კვლევა აანალიზებს პროფესიული კავშირის კომიტეტების საქმიანობის ძირითად სფეროებსა და ამოცანებს უკრაინაში ქალთა ყოველდღიური პროდუქტიული და რეპროდუქციული შრომის ორგანიზებაში 1970-იან წლებსა და 1980-იანი წლების დასაწყისში. იგი ხაზს უსვამს პროფკავშირების მთავარ ფუნქციებს, ამოცანებსა და დღის წესრიგს გენდერულ საკითხებზე, დასაქმების ადგილზე და საზოგადოებაში ქალთა როლის დისკურსის კონტექსტში. ყურადღებას ამახვილებს ქალებისა და დასაქმებული დედების შრომის პირობების, სოციალური და საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის გაუმჯობესებაზე, რომლის განხორციელებასა და კონტროლზე პასუხისმგებელი იყვნენ ადგილობრივი და რესპუბლიკური პროფკავშირების კომიტეტების წევრები. აკრძალული სამუშაოდან ქალების გადაყვანის მაგალითის ანალიზი ცხადყოფს, თუ როგორ განიხილავდნენ და ახორციელებდნენ გენდერული შრომის პოლიტიკის ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებას სხვადასხვა დონის პროფკავშირების კომიტეტებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები.

1975 წელს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ჟურნალში „მსოფლიოს ქალები“, სტატიაში სახელწოდებით „პროფკავშირები და ქალები“, პროფკავშირების გაერთიანებული ცენტრალური საბჭოს (ვცრპს) მდივანი ალექსანდრა ბირიუკოვა წერდა: „სოციალიზმმა შესთავაზა ქალებს უსაზღვრო შესაძლებლობები, გამოიყენონ ადამიანის ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტური უფლება – შრომის უფლება. საბჭოთა სახელმწიფო დასაქმების მსურველ ყველა ქალს აძლევს დასაქმების გარანტიას. [....] ქალების სოციალურ ფუნქციად დედობის გამოცხადებით, საბჭოთა სახელმწიფომ აიღო დედისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე მზრუნველობა: ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, უფასო სამედიცინო დახმარება, ქალთა შრომის განსაკუთრებული დაცვა, სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის განვითარება. დიდი ღვაწლი გასწიეს ამ მიმართულებით პროფკავშირებმაც. იმისათვის, რომ ქალმა შეძლოს წარმოებაში ნაყოფიერად მუშაობა, ის უნდა იყოს მშვიდად შვილების მდგომარეობაზე. [...] ქალების ფართო მონაწილეობა სოციალურ წარმოებაში აუცილებელს ხდის, უფრო მეტად დაეხმარონ ქალებს საშინაო საქმეების მოგვარებაში, დიასახლისის მოვალეობების შესრულებაში“.[1]

1975 წელი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულ იქნა ქალთა საერთაშორისო წლად და დადგინდა გაეროს ქალის ათწლედი (1975-1985), რომლის განმავლობაშიც ქალთა უთანასწორობის საკითხები პროფესიულ, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის სფეროსა და საოჯახო მეურნეობის გაძღოლის საქმეში, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განიხილებოდა. უკრაინაში საწარმოებმა და მათმა პროფკავშირებმა ქალთა საერთაშორისო წელი აღნიშნეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზებითა და ქალთა შრომითი, საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების მიმოხილვა-დათვალიერებით. უკრაინის სსრ-ის ეროვნული ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანმა გეგმამ 1976-1980 წლებში განსაზღვრა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „ქალების შრომითი პირობებისა და მათი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას“.[2]

ეს კვლევა აანალიზებს პროფესიული კავშირის კომიტეტების საქმიანობის ძირითად სფეროებსა და ამოცანებს უკრაინაში ქალთა ყოველდღიური პროდუქტიული და რეპროდუქციული შრომის ორგანიზებაში 1970-იან წლებსა და 1980-იანი წლების დასაწყისში. იგი ხაზს უსვამს პროფკავშირების მთავარ ფუნქციებს, ამოცანებსა და დღის წესრიგს გენდერულ საკითხებზე, დასაქმების ადგილზე და საზოგადოებაში ქალთა როლის დისკურსის კონტექსტში. ყურადღებას ამახვილებს ქალებისა და დასაქმებული დედების შრომის პირობების, სოციალური და საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის გაუმჯობესებაზე, რომლის განხორციელებასა და კონტროლზე პასუხისმგებელი იყვნენ ადგილობრივი და რესპუბლიკური პროფკავშირების კომიტეტების წევრები. აკრძალული სამუშაოდან ქალების გადაყვანის მაგალითის ანალიზი ცხადყოფს, თუ როგორ განიხილავდნენ და ახორციელებდნენ გენდერული შრომის პოლიტიკის ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებას სხვადასხვა დონის პროფკავშირების კომიტეტებისა და ხელისუფლების

1 Александра Бирюкова, «Профсоюзы и женщины», *Женщины Мира* (1975): 51-52.

2 *უკრაინის სსრ-ის 1976-1980 წლებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა,* უკრაინის სსრ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, 1976 წლის 11 დეკემბერი, https://ips.ligazakon.net/document/KP760520?an= 2&hide=true&lang=ua

წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში დასაქმებულ ქალთა პრობლემები არ შემოიფარგლებოდა სოციალური უზრუნველყოფისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, კვლევის ფარგლებს გარეთ რჩება თანაბარი ანაზღაურების, დასაქმებისა და სამსახურიდან გათავისუფლების კუთხით დისკრიმინაციის, პროფესიული სწავლებისა და განვითარების საკითხები.

1970-იან წლებში საბჭოთა კავშირის ეროვნულ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული მრავალი სტატია, საბჭოთა დელეგაციების წევრთა მოხსენებები და ანგარიშები ქალთა ორგანიზაციების ყრილობასა თუ საბჭოთა დელეგაციის წევრების შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეხვედრებზე, შინაარსით მსგავსი იყო ალექსანდრა ბირიუკოვას სტატიებისა. ყველა ერთხმად იმეორებდა, რომ სოციალისტურ ქვეყანაში ქალები არა მხოლოდ დასაქმებულნი არიან წარმოებაში მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, აქვთ თანაბარი უფლებები, არამედ წარმატებით უთავსებენ ერთმანეთს მუშაობასა და შვილების აღზრდას სახელმწიფოს მხარდაჭერით, რომელიც იცავს მათ მრავალი სოციალური ინსტიტუტისა და ორგანიზაციის მეშვეობით და დედისა და ბავშვის დაცვის სისტემების მექანიზმებით. 1940-იანი წლების ბოლოდან ეს თეზისი ცენტრალური გახდა საბჭოთა კავშირის რიტორიკაში და მისი მიზანი იყო საბჭოთა სოციალისტური პროექტის წარმატების ჩვენება და დასავლეთის ქვეყნების „ჩამორჩენილობასთან“ დაპირისპირება.

ემანსიპაცია იყო ერთ-ერთი მთავარი საბჭოთა სოციალისტური დაპირება ქალებისთვის. თუმცა, საბჭოთა რეალობაში მშრომელი ქალების ცხოვრებას ხშირად ახლდა ისეთი პრობლემები, როგორიცაა ორმაგი ტვირთი ან „დასაქმებული დედის“ კონტრაქტი, საზოგადოების სოციალისტური სისტემის პატრიარქატი, თანასწორობა ქაღალდზე და რიცხვებში და არა ოჯახურ ცხოვრებასა და წარმოების სფეროში. სამუშაო, დედობა, როგორც სოციალური ფუნქცია, შრომითი მოვალეობებისა და სახელმწიფო ინტერესების უფრო პრიორიტეტულად მიჩნევა ვიდრე ქალების წუხილების[3].

1920-იანი წლების ბოლოდან 1930-იანი წლების დასაწყისამდე საბჭოთა სახელმწიფომ დაიწყო ქალისთვის საზოგადოებაში ორმაგი როლის მინიჭება: ქალი – დედა და ქალი – დასაქმებული. აქტიური ინდუსტრიალიზაციის ამ პერიოდში ქალებმა წარმოებაში მასობრივი ჩართვა დაიწყეს. ამავდროულად, ქვეყნის ხელმძღვანელობამ არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნია პრონატალისტური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის მატებას და, შესაბამისად, არ გადაუხვია დედობის, როგორც ქალის სოციალური ფუნქციის, მნიშვნე-

3 Lynne Attwood, *Creating the New Soviet Woman. Women's Magazines as Engineers of Female Identity,* 1922- 53 (London: Palgrave Macmillan, 1999); Mary Buckley, *Women and Ideology in the Soviet Union* (New York, NY: Harvested Wheatsheaf, 1989); David L. Hoffmann and Annette F. Timm, "Utopian Biopolitics: Reproductive Policies, Gender Roles, and Sexuality in Nazi Germany and the Soviet Union," in *Beyond Totalitarianism: Stalinism and Nazism Compared,* ed. Michael Geyer and Sheila Fitzpatrick (New York, NY: Cambridge University Press, 2009), 87-129; Mie Nakachi, *Beyond Replacing the Dead: Women's Welfare and the End of the Soviet Union, Replacing the Dead* (Oxford University Press, 2021); მ. სმოლნიცკაია, „ქალი საბჭოთა საზოგადოებაში: ოფიციალური სურათი და რეალური პრაქტიკა“, *XX საუკუნის უკრაინა: კულტურა, იდეოლოგია, პოლიტიკა* 16 (2011): 162-74; მ. სმოლნიცკაია, „დედობა, როგორც სოციალური როლი (1940-იანი წლების მეორე ნახევარი – 1960-იანი წლების პირველი ნახევარი)“, *XX საუკუნის უკრაინა: კულტურა, იდეოლოგია, პოლიტიკა* 20 (2015): 98-110; ი. ა. ტიშჩენკო, „ოჯახი საბჭოთა უკრაინაში 1970-იან წლებსა და 1980-იანი წლების დასაწყისში: გადმოსახედი აწმყოდან“, *ზაპოროჟიიეს ეროვნული უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო შრომები* 48 (2017): 195-200.

ლობას. პრონატალიზმი, როგორც მოსახლეობის რეპროდუქციის რეგულირების პოლიტიკა ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სამართლებრივი და საინფორმაციო მეთოდებით, აისახა დედების სოციალური და მატერიალური მხარდაჭერის პროგრამებში, პროპაგანდისტულ კამპანიებში დედობისა და ოჯახის მნიშვნელობის შესახებ, რიტორიკაში, რომ შვილების გაჩენა ქალების „ ბუნებრივი მოვალეობაა“ და, ასევე, გამოვლინდა აბორტისა და კონტრაცეფციის აკრძალვაში. დედობრივი მოვალეობების შესასრულებლად ქალთა წახალისების მიზნით, მიღებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები და დეკრეტები. ამგვარად, 1936 წლის საოჯახო კოდექსმა აბორტის კრიმინალიზებით, მრავალშვილიანი დედებისთვის ფინანსური დახმარების შემოღება დაადგინა[4]. 1944 წელს, როდესაც შობადობის გაზრდის აუცილებლობა კვლავ გამძაფრდა, საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო ბრძანებულება „დედების, ორსულ ქალთა სახელმწიფო დახმარების გაზრდისა და დედობის დაცვის გაძლიერების შესახებ“, რომელმაც გაახანგრძლივა მშობიარობის შემდგომი შვებულება და გააფართოვა იმ ქალთა კატეგორიები, რომლებიც შვილებზე სოციალური დახმარებით სარგებლობდნენ. 1971 წლის პარტიის ყრილობაზე გამოცხადდა, რომ ბავშვთა შემწეობის კატეგორიები კიდევ უფრო გაფართოვდებოდა[5].

პროდუქტიული და რეპროდუქციული შრომის ერთობლიობამ გამოიწვია ქალებზე ორმაგი დატვირთვა და ეგრეთ წოდებული დასაქმებული დედის გენდერული კონტრაქტის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობდა დასაქმების ადგილზე ქალების წარმოებაში აქტიურ ჩართულობას და, ამავდროულად, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დედობას, როგორც ქალთა მთავარ ფუნქციას ოჯახის მოვლასა და საოჯახო მეურნეობის გაძღოლის საქმეში. ქალებისგან მოითხოვდნენ სრულ შრომით დასაქმებას, ბავშვების შობასა და მოვლას, ოჯახის ყოველდღიურ საჭიროებებზე ზრუნვას.[6] ქვეყნის ხელმძღვანელობა მუდმივად ხაზს უსვამდა საბავშვო ბაღების ქსელების განვითარებას, სამუშაო ადგილზე საყოფაცხოვრებო საჭიროებებისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას და ქალებისთვის სამუშაო რეჟიმის ორგანიზებას ისე, რომ მათ დახმარებოდნენ, ყოფილიყვნენ წარმატებული თანამშრომლები და დედები. როგორც ამ პერიოდის სახელმწიფო სოციალიზმის სხვა ქვეყნებში, ქალებისა და დედობის მატერიალურ და ინსტიტუციონალურ მხარდაჭერაზე ზრუნვა, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, სოციალისტური ეკონომიკის ქალთა წარმოებაში ჩართულობისადმი დამოკიდებულების დემონსტრირებას ახდენდა უკრაინის სსრ-სა და და ზოგადად სსრკ-ში.[7]

4 David L. Hoffmann, “Mothers in the Motherland: Stalinist Pronatalism in Its Pan-European Context,“ *Journal of Social History* 34, no. 1 (2000): 35-54; David L. Hoffmann, *Cultivating the Masses: Modern State Practices and Soviet Socialism,* 1914-1939 (Ithaca, NY: Cornell University Press, 2011), 107; Yoshie Mitsuyoshi, “Maternalism, Soviet-Style. The Working ‘Mothers with Many Children’ in *Post-War Western Ukraine,“ in Maternalism Reconsidered: Motherhood, Welfare and Social Policy in the Twentieth Century,* ed. Marian van der Klein et al. (New York, NY: Berghahn Books, 2012), 209-210.

5 Більше про пронаталізм та соціальну політику щодо жінок див.: Nakachi, *Beyond Replacing the Dead.*

6 А. Темкина и А. Роткирх, «Советские гендерные контракты и их трансформация в современной России», *Социс* 11 (2002): 6-9.

7 უნგრეთის მოვლენების შესახებ იხილეთ.: Susan Zimmermann, “‘It Shall Not Be a Written Gift, but a Lived Reality’: Equal Pay, Women’s Work, and the Politics of Labour in State-Socialist Hungary, Late 1960s to Late 1970s,“ in Labor in State-Socialist Europe, 1945-1989: Contributions to a History of Work, ed. Marsha Siefert (Budapest: Central European University Press, 2020), 337-372. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოვლენების შესახებ იხილეთ: Donna Harsch, *Revenge of the Domestic: Women, the Family, and Communism in the German Democratic Republic* (Princeton, NJ: Princeton University Press, 2008).

პროფკავშირის კომიტეტების მიერ ქალთა შრომის პირობების ორგანიზების ძირითადი ამოცანების გასაანალიზებლად, ეს კვლევა ეფუძნება საარქივო წყაროებს, როგორიცაა მოხსენებები, ჩანაწერები, ადგილობრივი, საოლქო პროფკავშირის კომიტეტების ინფორმაცია, ქალთა საკითხებზე კომისიებისა და უკრაინის რესპუბლიკური საბჭოს პროფკავშირის კომიტეტების მონაცემები. 1970-იანი და 1980-იანი წლების გენდერული, პრონატალისტური და შრომითი პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, საბჭოთა ხელმძღვანელობის დაპირებები, საკანონმდებლო ცვლილებები ქალთა შრომისა და ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით და ცენტრალური პროფკავშირების ორგანიზაციათა დირექტივები ემსახურებოდა დისკუსიის წარმოქმნას მიზნებსა და სამუშაოებზე პროფკავშირების ადგილობრივ ორგანოებში. ამ წყაროების ერთობლიობა შესაძლებელს ხდის პროფკავშირების პასუხისმგებლობის სფეროების მიკვლევას და პროფკავშირების კომიტეტების მიერ გამოვლენილი და გადაჭრილი პრობლემების გაანალიზებას, ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების დავალების შესრულების კუთხით.

პროფესიული კავშირები

პროფესიული კავშირები უკრაინაში მუშათა კლასის კონტროლისა და სოციალური ზრუნვის საბჭოთა სისტემის განუყოფელი ნაწილი იყო. მათ ჰქონდათ მკაფიო იერარქიული სტრუქტურა და ექვემდებარებოდნენ კომუნისტურ პარტიას. ფაბრიკის, ქარხნის, ადგილობრივი პროფკავშირის კომიტეტები იყო პროფკავშირული ორგანიზაციის უპირველესი რგოლი, ანუ უშუალოდ მუშაობდნენ საწარმოებში და წარმოადგენდნენ მშრომელთა ინტერესებს წარმოების, შრომითი პირობების, ყოფა-ცხოვრების, კულტურის სფეროებში. ისინი ანგარიშვალდებული იყვნენ პროფკავშირების საოლქო და ცენტრალური დარგობრივი კომიტეტების წინაშე, რომლებიც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდნენ პროფესიული კავშირების სრულიად უკრაინის რესპუბლიკურ საბჭოს. პროფკავშირების ყრილობა, რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, იყო სსრკ-ის უმაღლესი პროფკავშირის ორგანო და ყრილობებს შორის ამ ფუნქციას ასრულებდა პროფკავშირების გაერთიანებული ცენტრალური საბჭო[8].

1970-იან წლებში ფაბრიკების, ქარხნებისა და ადგილობრივი პროფკავშირის კომიტეტები აკვირდებოდნენ წარმოების გეგმების შესრულებას, სამუშაოს ხარისხს, ატარებდნენ ზომებს შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით და აწყობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებებს, ასევე აკონტროლებდნენ ადმინისტრაციის მიერ შრომის კოდექსისა და სამთავრობო რეგულაციების ნორმების სათანადოდ დაცვას. პროფკავშირის კომიტეტებს მიენიჭათ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა დამტკიცების ფუნქცია ისეთ საკითხებზე, რომელიც დაკავშირებული იყო შრომის პირობებთან, სამსახურიდან გათავისუფლებისა და თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტის პრობლემებთან.

8 Sarah Ashwin and Simone Clarke, *Russian Trade Unions and Industrial Relations in Transition* (London: Palgrave Macmillan, 2003), 17-23; Paul Kubicek, "Ukrainian Trade Unions since 1945," in *Trade Unionism Since 1945: Towards a Global History,* vol. 1, *Western Europe, Eastern Europe, Africa and the Middle East (Trade Unions. Past, Present and Future),* ed. Craig Phelan, vol. 1 (Oxford: Peter Lang, 2009), 292-93; *პროფკავშირების წესდება (დამტკიცებულია სსრკ-ის პროფკავშირების XIII კონგრესის მიერ 1963 წლის 1 ნოემბერს, შეტანილია ცვლილებები 04.03.1968; 24.03.1972; 25.03.1977),* 1977, http://www.libussr.ru/doc_ussr/usr_6015.htm

მათ მიეცათ შესაძლებლობა, შეეტანათ წინადადებები ზემდგომ ეკონომიკურ და სახელმწიფო ორგანოებში, გაეტარებინათ შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე გაეწიათ ორგანიზაცია და გაენაწილებინათ სოციალური და მატერიალური დახმარება[9]. თუმცა პროტესტი, როგორც ზეწოლისა და პირობებსა თუ ანაზღაურებაზე მოლაპარაკების ინსტრუმენტი, არ იყო ხელმისაწვდომი პროფკავშირის კომიტეტის არცერთი წევრისათვის.

როგორც ალექსანდრა ბირიუკოვამ ზემოთ ციტირებულ სტატიაში აღნიშნა, პროფკავშირის კომიტეტები მიზნად ისახავდნენ თანამშრომლების დახმარებას პროდუქტიული და რეპროდუქციული როლების გაერთიანებაში შრომითი რეჟიმის მოწყობის გზით, საყოფაცხოვრებო მხარდაჭერით და ქალებისა და დასაქმებული დედებისთვის სოციალური და მატერიალური დახმარების გაწევით. 1971 წელს დამტკიცებული ფაბრიკების, ქარხნებისა და ადგილობრივი პროფკავშირების კომიტეტების უფლებათა დებულებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საწარმოებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით პროფკავშირის კომიტეტი „გაატარებს ღონისძიებებს ქალებისთვის კანონით დადგენილი სარგებლისა და შეღავათების დასაცავად , მათი ჯანმრთელობის დაცვის, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების მიზნით“.[10]

პროფკავშირების საბჭოებსა და კომიტეტებში შეიქმნა ქალებთან მუშაობის კომისიები. ისინი ზედამხედველობდნენ და ამოწმებდნენ საწარმოებში ქალების შრომის სანიტარიულ-ჰიგიენურ და საყოფაცხოვრებო პირობებს, ეხმარებოდნენ თანამშრომლებს განათლებისა და სოციალური დახმარების სფეროში, აწყობდნენ შეხვედრებს, სემინარებს, ლექციებსა და სოციალისტურ შეჯიბრებებს. კომისიების წევრები პროფკავშირების ლიდერებს აწვდიდნენ ინფორმაციას თავიანთი საქმიანობის, გამოვლენილი პრობლემებისა და შემოსული საჩივრების შესახებ და ჰქონდათ უფლება, წინადადებებითა და რეკომენდაციებით მიემართათ მმართველი ორგანოებისთვის, პროფკავშირის სხვა კომიტეტების კომისიებსა და ასევე სამთავრობო უწყებებზე[11]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა შრომის პირობების კონტროლი და გაუმჯობესება მხოლოდ ქალებთან მუშაობის კომისიას როდი ევალებოდა – ამ საკითხებს ასევე განიხილავდნენ სხვა კომიტეტები, რომლებიც სხვადასხვა დონის პროფკავშირების სტრუქტურაში შედიოდნენ.

9 *ფაბრიკების, ქარხნების, პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის უფლებების დებულების დამტკიცების შესახებ,* სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, https://zakon.rada.gov.ua/laws/show/v2151400-71/ed19710927#Text; *სსრკ-ის პროფესიული კავშირების წესდება.*

10 *Про затвердження Положення про права фабричного, заводського, місцевого комітету професійної спілки.*

11 ე. ს. ნოვიკოვა, ს. იაზიკოვა და ზ. ლ. იანკოვა, *ქალი. შრომა. ოჯახი (სოციოლოგიური ნარკვევი)* (მოსკოვი: პროფგამომცემლობა, 1978), 79-108; „რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ უკრაინის სსრ-ში, ქალთა საერთაშორისო წელთან დაკავშირებით“, 1975, ცნ. 2605, თხზ. 8, ცნ. 9597, გვ. 3-5 (უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი); *Протокол заседания Комиссии Президиума Укрсовпрофа по работе среди женщин,* 19 декабря 1976, Ф. 2605, Оп. 8, Спр. 9597, Арк. 6-8 (Центральний державний архів вищих органів влади та управління України); «Справка о работе комиссии по работе среди женщин Житомирского областного совета профсоюзов», 1975, Ф. 2605, Оп. 8, Спр. 9597, Арк. 21-25 (Центральний державний архів вищих органів влади та управління України).

ქალთა შრომის პოლიტიკის განხორციელება

პროფკავშირები არა მხოლოდ აკონტროლებდნენ რეგულაციებისა და კანონების შესრულებას და ორგანიზებას უწევდნენ თანამშრომელთა ცხოვრებას, არამედ ეხმარებოდნენ მათ კონფლიქტების მოგვარებაში, რომლებიც შეიძლება წარმოქმნილიყო შრომის პირობების გაუმჯობესების გეგმის განხორციელების პროცესში, როგორც ეს იყო საწყობში დასაქმებული ქალების შემთხვევაში. 1975 წელს, უკრაინის პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს ტექნიკურმა ინსპექციამ, ქალების შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და მძიმე შრომისგან მათი „გათავისუფლების" მიზნით, ტერებოვლიანსკის, ლისიჩანსკისა და კლავდიევკას ნაძვის ხის სათამაშოების ფაბრიკების და ლუცკის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაწარმის ქარხნის ხელმძღვანელობისგან მოითხოვა დაახლოებით 500 ქალის გათავისუფლება, რომლებიც მუშაობდნენ შუშის მბერავებად, და მათი მამაკაცთა სამუშაო ძალით შეცვლა. ინსპექციამ თავისი მოთხოვნები დაასაბუთა სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1932 წლის დადგენილებით, რომელიც ქალების მძიმე და მავნე მრეწველობაში დასაქმებას კრძალავდა. ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოების მწარმოებელი ფაბრიკის სამუშაო პირობების შემოწმების შემდეგ, კომისიამ გადაწყვიტა, რომ „ შუშის არამექანიზებული გაბერვა", ანუ შუშის მბერავის პროფესია და, კერძოდ, ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოების წარმოება, ქალებისთვის აკრძალულ შრომას განეკუთვნებოდა. დასაქმებული ქალები არ დაეთანხმნენ ამ გადაწყვეტილებას, რასაც მოწმობს უკრაინის პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოსადმი გაგზავნილი საჩივრებისა და მოთხოვნების დიდი რაოდენობა.[12] მათი უკმაყოფილების ზუსტი მიზეზები უცნობი რჩება, თუმცა, მოხსენებითი ანგარიშის მიხედვით, სხვა პოზიციაზე გადაყვანის შემთხვევაში ქალები კარგავდნენ დამატებითი შვებულების, უფასო სპეციალური კვებისა და შეღავათიანი პენსიის უფლებას, რომელიც მინის მბერავის პოზიციაზე მუშაობით ეძლეოდათ.[13] გარდა ამისა, შესაძლოა, მათთვის ასეთი ცვლილებები სამუშაოს სრულად დაკარგვასაც ნიშნავდა.

1970-1985 წლებში, საბჭოთა სტატისტიკის მიხედვით, წარმოებაში დასაქმებული ქალების რაოდენობა სსრკ-ში 51%-ს შეადგენდა, უკრაინის სსრ-ში კი 50-52%-ის ფარგლებში მერყეობდა.[14] როგორც წინა ათწლეულებში, საბჭოთა ხელმძღვანელობა მოელოდა, რომ ეკონომიკურ სფეროში აქტიურ ჩართულობასთან ერთად ქალები ასევე გააგრძელებდნენ ოჯახზე ზრუნვას და ოჯახური მეურნეობის მართვას, შვილების გაჩენასა და აღზრდას. შობადობის მაჩვენებლის შემცირებამ, რომელიც 1970-იანი წლების დასაწყი-

12 ი. ვ. გაევსკი, „აკრძალული სამუშაოებიდან ქალთა გათავისუფლების შესახებ", 1975 წლის 16 მაისი, ოპ. 2605, თხზ. 8, საქმე 9782, ფურც. 3 (უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი); ი. ვ. გაევსკი, „აკრძალული სამუშაოებიდან ქალთა გათავისუფლების შესახებ", 1975 წლის 25 აპრილი, ფ. 2605, თხზ. 8, საქ. 9782, ფურც. 2-2a (უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი); О. Я. Касьяненко, «Техничной инспекцией Укрсовпофа... », 16 апреля 1975, Ф. 2605, Оп. 8, Спр. 9782, Арк. 1-2 (Центральний державний архів вищих органів влади та управління України).

13 გაევსკი, „აკრძალული სამუშაოდან ქალების გათავისუფლების შესახებ", 1975 წლის 16 მაისი; კასიანენკო, „უკრსოვპროფის ტექნიკური ინსპექცია".

14 *სსრკ-ის სახალხო მეურნეობა 1985 წელს. სტატისტიკური ყოველწლიური* (მოსკოვი: ფინანსები და სტატისტიკა, 1986), 395.

სიდან შეინიშნებოდა,[15] საბჭოთა ხელმძღვანელობა იძულებული გახადა დაბრუნებოდა ძველ რიტორიკას, რომელიც დედობას განსაზღვრავდა, როგორც ქალის მთავარ სოციალურ ფუნქციას, და დაეწყო ქადაგება ქალების პროდუქტიული და რეპროდუქციული შრომის შერწყმის მნიშვნელობაზე. ქალები კვლავაც აქტიურად იყვნენ ჩართული წარმოებაში, ამიტომაც დასაქმებული ქალები აღმოჩნდნენ შობადობის გაზრდის გეგმების ცენტრში[16].

ქალების შრომის მძიმე პირობებისგან „გათავისუფლების" მოთხოვნა, რამაც კონფლიქტი გამოიწვია ნაძვის ხის სათამაშოების ქარხნებში, გამიზნული იყო „მომავალი დედების" ჯანმრთელობაზე წარმოების მავნე ზემოქმედების აღსაკვეთად. ვინაიდან დედობა ქალის მთავარ სოციალურ ფუნქციად რჩებოდა, რეპროდუქციული და პროდუქტიული როლების შერწყმის პრობლემები განიხილებოდა დედობის (და ბავშვობის) დაცვის კონტექსტში. ქალების დაცვის იდეა ეფუძნებოდა დედობის, როგორც მათი ბუნებრივი ფუნქციის ხედვას.[17] ამრიგად, ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები განსაზღვრულ იქნა ქალთა მძიმე შრომისგან გადატვირთვისა და სახიფათო პირობებში დასაქმებისგან დაცვის იდეით და ხაზგასმულ იქნა ქალთა რეპროდუქციული როლის მნიშვნელობა.[18] ამავე მიზნით, 1970 წლის შრომის კოდექსით შეიზღუდა ქალების შრომა ღამის ცვლასა და ზეგანაკვეთურ საათებში, ასევე გარანტირებულ იქნა დეკრეტული შვებულება, გათვალისწინებული-შესვენება ძუძუთი კვებისთვის, აიკრძალა ფეხმძიმე ქალების სამსახურიდან გათავისუფლება და შემცირდა ორსული და პატარა ბავშვიანი ქალებისთვის წარმოების ნორმები.[19]

გარდა ამისა, ქალებისა და დასაქმებული დედების შრომის ისეთი პირობების შესაქმნელად, რაც გააერთიანებდა რეპროდუქციულ და პროდუქტიულ როლებს და გააუმჯობესებდა მათ ჯანმრთელობას, პროფკავშირებსა და ბიზნესადმინისტრაციებს უნდა ეზრუნათ სასადილო ოთახების, სასადილოების, დასასვენებელი და ჯანმრთელობის ოთახების მოწყობაზე გაიხსნა სპორტული მოედნები, საკვების, ხორცისა და კულინარიის მაღაზიები, ასევე, სანატორიუმები თუ დასასვენებელი ცენტრები. აღინიშნა თანამშრომლების სანიტარიული და საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის აუ-

15 საბჭოთა სტატისტიკის მიხედვით, უკრაინის სსრ-ში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპი 1960 წელს 13,6 იყო, 1970 წელს 6,4-მდე დაეცა, 1985 წელს კი მხოლოდ 2,9-ს შეადგენდა. *სსრკ-ის სახალხო მეურნეობა 1985 წელს.* 33.

16 Sue Bridger, "Young Women and Perestroika," in *Women and Society in Russia and the Soviet Union,* ed. Linda Edmondson (Cambridge: Cambridge University Press, 2008), 187-191; Nakachi, *Beyond Replacing the Dead,* 204-215; Linda Racioppi and Katherine O'Sullivan See, "Organizing Women before and after the Fall: Women's Politics in the Soviet Union and Post-Soviet Russia," *Signs* 20, no. 4 (1995): 818-850.

17 Melanie Ilic, "'Generals without Armies, Commanders without Troops': Gorbachhev's 'protection' of Female Workers," in Women in Russia and Ukraine, ed. Rosalind Marsh (New York, NY: Cambridge University Press, 1996), 228-230. Більше про різницю між дискурсами захисту та рівності у питаннях, що стосуються жінок-робітниць, див. Eileen Boris, *Making the Woman Worker: Precarious Labor and the Fight for Global Standards,* 1919-2019 (New York, NY: Oxford University Press, 2019), 17-52.

18 იმ პერიოდის სოციოლოგების, ეკონომისტებისა და დემოგრაფების იდეებისა და დასკვნების ანალიზი, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ქალთა პრობლემები და საჭიროებები დასაქმებულ ყოფიერებაში, იხ. Mary Buckley, *Women and Ideology in the Soviet Union,* 166-171.

19 *Об утверждении основ законодательства Союза ССР и союзных республик о труде,* Закон СССР, 15 июля 1970, http://www.libussr.ru/doc_ussr/usr_7348.htm.

ცილებლობა, ანუ საწარმოებში გასახდელების, საშხაპეების, ხელსაბანების, ჰიგიენური ოთახებისა და ბავშვთა კვების ოთახების მოწყობა.[20] პროფკავშირებს, ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, უნდა დაენერგათ ეს ნორმები და მონიტორინგი გაეწიათ მათ დაცვაზე.

ქალების საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ინსტრუმენტი იყო ქალთა შრომისა და დასვენების პირობების ინსპექტირება და სრულიად საკავშირო დათვალიერება, რომელიც ტარდებოდა რამდენიმე წელიწადში ერთხელ. მაგალითად, 1975 წელს, უკრაინაში ქალთა საერთაშორისო წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით, შეიქმნა 122 ათასზე მეტი კომისია ასეთი შემოწმების ჩასატარებლად. კომისიებმა შეაჯამეს ქალთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნები, სამუშაო ადგილებზე ქალთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და ახალი იდეების დასანერგად საჭირო პროფკავშირების რესურსები.[21] მათ ასევე შეამოწმეს ქალთა შრომის პირობები, რათა თავიდან აეცილებინათ მათი ჯანმრთელობის გაუარესება და უზრუნველეყოთ მშობიარობის შემდგომი და დეკრეტული შვებულების დაცვა. ქალებთან მუშაობისა და პროფკავშირების ტექნიკური ინსპექტირების კომისიებმაც ჩაატარეს დამოუკიდებელი შემოწმება, როგორც ზემოაღნიშნულ შუშის მბერავი ქარხნების შემთხვევაში და წარადგინეს მოხსენებითი ანგარიშები უმაღლესი პროფკავშირის ორგანოების სხდომის წინაშე.

ამრიგად, 1970-იან წლებსა და 1980-იანი წლების დასაწყისში, ქალთა საქმეზე პროფკავშირის კომისიებმა აღნიშნეს, რომ ქალების „გათავისუფლება“ მძიმე და „მავნე“ შრომისგან, ხშირ შემთხვევაში, კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. გარდა ამისა, დღის წესრიგში დადგა სხვა საკითხები, რომლებიც, მათი აზრით, კვლავ მოითხოვდა ყურადღებას ქალთა შრომის პირობების ორგანიზებისადმი ისე, რომ გაეთვალისწინებინათ მათი დედობის სოციალური როლი: ავტომატიზაცია, მექანიზაცია და წარმოების რეკონსტრუქცია, ღამის ცვლისა და ზეგანაკვეთური სამუშაო დროს გაუქმება, საჭირო-

20 იხილეთ, მაგალითად, ინფორმაცია, შენიშვნები, მოხსენებები და „საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული ქალების შრომის, ცხოვრებისა და დასვენების საკავშირო საჯარო დათვალიერების მაჩვენებლები“ უკრაინის სსრ-ის სხვადასხვა ოლქში და მრეწველობის სხვადასხვა დარგსა და წარმოებაში, 1975 წელს: *გაერთიანებული პროფკავშირების მიერ ვცსპს-ის პრეზიდიუმის 1975 წლის 11 აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ ინფორმაცია. „ უკრაინის სსრ-ის სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული ქალების შრომის, ცხოვრებისა და დასვენების პირობების საჯარო დათვალიერების ჩატარების შესახებ“,* ფ. 2605, ოპ. 8, ს. 9783, ფურც. 5, 8, 16, 26-27, 38-43, 54-60, 68-71, 81-86, 97, 105, 115, 130, 134, 140. უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი); *უსრ-ის გაერთიანებული პროფკავშირების მიერ ვცსპც-ის პრეზიდიუმის 1975 წლის 11 აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ ინფორმაცია. „უკრაინის სსრ-ის სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული ქალების შრომის, ცხოვრებისა და დასვენების პირობების საჯარო დათვალიერების ჩატარების შესახებ“*, ფ. 2605, ოპ. 8, ს. 9784, ფურც. 51-15, 20, 49-51, 54, 66-67, 70, 81 (უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი); *უსრ-ის გაერთიანებული პროფკავშირების ინფორმაცია დასაქმებული ქალების შრომის, ცხოვრებისა და დასვენების პირობების სრულიად საკავშირო საჯარო დათვალიერების შედეგების შესახებ 1978 წ.,* ფ. 2605, ოპ. 9, ს. 165 (უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი); Також ця інформація віддзеркалюється у звітах місцевих комітетів профспілок та комісій по роботі серед жінок, наприклад: З. П. Осташевская, «Информация Закарпатского обкома профсоюза рабочих текстильнной и легкой промишленности», 1986, Ф. Р-1892, Оп. 2, Спр. 302, Арк. 9 (Державний архів Закарпатської області).

21 „რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა უკრაინის სსრ-ში ქალთა საერთაშორისო წლის ჩატარებასთან დაკავშირებით“.

ების შემთხვევაში ქალების ნახევარ განაკვეთზე გადაყვანის შესაძლებლობა. კომისიებმა ასევე მოუწოდეს წარმოების ხელმძღვანელებსა და პროფკავშირებს, გაეზარდათ სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, შეკეთებინათ არსებული და გაეუმჯობესებინათ ბავშვთა კვება. [22]

საინტერესოა, რომ მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროც ქალებთან ერთად ეწინააღმდეგებოდა გადაწყვეტილებას შუშის ბერვის საწარმოებიდან ქალების „გათავისუფლების" შესახებ. უკრაინის პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარისადმი მიმართვაში მათ აღნიშნეს, რომ ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების ასეთმა ზომებმა შეიძლება გამოიწვიოს ქარხნების დახურვა და, საბოლოოდ, ასეთი კატეგორიის საქონლის გაქრობა მაღაზიების თაროებიდან: „ ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოების წარმოებაში ქალთა შრომის აკრძალვა, გამოიწვევს ამ წარმოების დახურვას, ვინაიდან შეუძლებელია წარმოების მექანიზირება ძალიან მცირე ჰაერის ნაკადის მიწოდებისა და ნაწარმის ფორმირებისას წნევის მუდმივი რეგულირების საჭიროების გამო. ნაძვის ხის სათამაშოების დამზადება ტრადიციულად ქალური პროფესიაა. ამჟამად ამ წარმოებაში მამაკაცების ჩართვა არ არის შესაძლებელი. [...] გთხოვთ დაუშვათ ქალების შემდგომი მუშაობა წარმოებაში". [23]

მიუხედავად ადგილობრივი ხელმძღვანელების ყველა მცდელობისა, წაეხალისებინა მამაკაცები, შეეცვალათ ქალები შუშის ჭურჭლისა და ნაძვის ხის სათამაშოების წარმოებაში, მსურველები ვერ მოიძებნა: „მიუხედავად იმისა, რომ სისტემატურად იბეჭდებოდა განცხადება გაზეთში "Радянська Волинь" და შრომითი რესურსების საქალაქო განყოფილებაში აცხადებდნენ მამაკაცების ვაკანსიას ნაძვის ხის საამქროს შუშის მბერავ საწარმოში, მსურველი აღნიშნულ სამუშაოზე არ აღმოჩნდა და მას შემდეგ ქარხანას არ მიუღია ნაძვის ხის სათამაშოების საამქროს სამსახურში არც ერთი მამაკაცი".[24] თუმცა მამაკაცების მიერ შუშის მბერავ საამქროში დასაქმების მიმართ ინტერესის არქონის ოფიციალური ახსნა ეფუძნებოდა ტრადიციას და მამაკაცის შრომითი რესურსის ნაკლებობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კიდევ ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ სამუშაოს ეკონომიკური არამიმზიდველობა.

22 «Доклад о практике применения законодательства об охране труда женщин», 19 мая 1975, Ф. 2605, Оп. 8, Спр. 9597, Арк. 11-15 (Центральний державний архів вищих органів влади та управління України); *კომისიის სხდომის ოქმი;* „უკრსოვპროფის პრეზიდიუმის კომისიის რეკომენდაციები ქალთა შორის მუშაობის შესახებ", 1980 წლის 29 იანვარი, ფ. 2605, ოპ. 9, ს. 476, ფრც. 26-27 (უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი). ანგარიშებში, მოხსენებებში, ოქმებში აღნიშნული იყო ასევე განხორციელებული და არ გატარებული ღონისძიებების თაობაზე „პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ ქალთა შრომისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესახებ", „ქალთა შრომის, ცხოვრებისა და დასვენების პირობების სრულიად საკავშირო დათვალიერებისა და ქალებთან მუშაობის კომისიის სხდომების შედეგების შესახებ": *ურკ-ის პროფკავშირების ინფორმაცია შრომის, ცხოვრებისა და დასვენების პირობების საკავშირო საჯარო დათვალიერების შედეგების შესახებ, 1978 ; გაერთიანებული პროფკავშირებისა და ურკ-ის ინფორმაცია უსსრ-ის მინისტრთა საბჭოსა და უკრსოვპროფის 1981 წლის 24 ივნისის №334 დადგენილების შესრულების შესახებ. „პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ ქალთა შრომისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების კუთხით"* . ფ. 2605, ოპ. 9, ს. 1355 (უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი).

23 Гаевский, „ქალების აკრძალული სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ", 1975 წლის 25 აპრილი.

24 Е. Т. Симинский, «Информация о выполнении письма ММП УРСР №17/34-1423 от 28.03.75», 30 мая 1975, Ф. 2605, Оп. 8, Спр. 9782, Арк. 4-5 (Центральний державний архів вищих органів влади та управління України).

ქალთა აკრძალული სამუშაოდან გადაყვანის სირთულეები აღნიშნეს არა მხოლოდ პროფკავშირების კომიტეტებმა, ადმინისტრაციამ და შუშის მბერავი წარმოების თანამშრომლებმა. მაგალითად, 1978 წელს, უკრაინის პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს ქალთა საკითხთა კომისიამ განაცხადა, რომ სამრეწველო მშენებლობის სამინისტროსა და სხვა დარგის საწარმოებმა ვერ გადაჭრეს ქალთა შრომის მექანიზაციის პრობლემა და ვერ მოახერხეს ქალების გადაყვანა უფრო ადვილ სამუშაოებზე, შესაბამისი ანაზღაურებით.[25]

შუშის მბერავი ქალების „გათავისუფლების" პრობლემის გადაჭრის გზებისა და საშუალებების მოსაძებნად, რესპუბლიკურმა პროფკავშირულმა კომიტეტმა მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს, რათა შეემოწმებინა ნაძვის ხის სათამაშოების ქარხნებში შრომის პირობები და დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა იმის დასადგენად – საზიანო იყო თუ არა შრომა ამ ქარხნებში.[26] შემოწმების შედეგებმა აჩვენა, რომ შუშის მბერავი ქალების შრომის პირობები არადამაკმაყოფილებელი იყო: საამქროში ზედმეტად ცხელოდა და იყო ხმაური, მცირე განათება და ვენტილაციის ნაკლებობა. თუმცა, ინსპექტორებმა ქალებში პროფესიული დაავადებები ვერ აღმოაჩინეს და ამიტომ სანიტარიული ინსპექციის დასკვნაში ნათქვამია, რომ შრომის სანიტარიული და ტექნიკური პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში ქალებს შეეძლებათ მუშაობის გაგრძელება შუშის მბერავ ქარხნებში.[27]

შედეგად, პრობლემის განხილვის თითქმის ერთი წლის შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტროს ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, უკრაინის პროფკავშირების საბჭომ ვცრპც-სა და სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ანაზღაურების სახელმწიფო კომიტეტს გაუგზავნა მოთხოვნა, შუშის მბერავის პროფესიის კვალიფიცირების კატეგორიის ცვლილების შესახებ, ქალთა შრომის აკრძალული კატეგორიის „შეცვლით მავნე სამუშაოთა კატეგორიით, არსებული შეღავათების შენარჩუნებით". გარდა ამისა, დოკუმენტებში შეიცვალა ქალების მიერ შესრულებული სამუშაოს ტიპის სახელწოდება „შუშის არამექანიზებული გამობერვა" „შუშის მილებიდან გაზის სანთურების ალზე ნაწარმის გამობერვით", რასაც უნდა ეჩვენებინა, რომ ეს სამუშაო ტექნოლოგიურად განსხვავდებოდა ადრე აკრძალულისგან, თუმცა ნაძვის ხის სათამაშოების წარმოების პროცესის ფაქტობრივი ცვლილება არ მომხდარა.[28]

ნაძვის ხის სათამაშოების ქარხნებში მომხდარი ინციდენტიდან ორი წლის შემდეგ, 1978 წლის აპრილში, უკრაინის სსრ-ის მინისტრთა საბჭომ და პროფკავშირების უკრაინის

25 В. И. Сиволоб, «О ходе Всесоюзного общественного смотра условий труда, быта и отдыха трудящихся женщин на предприятиях и в организациях народного хозяйства Украинской ССР», 1978, Ф. 2605, Оп. 9, Спр. 49, Арк. 7 (Центральний державний архів вищих органів влади та управління України).

26 И. Гладкий, «Согласно разъяснению Государственного Комитета Совета Министров СССР...», 13 июня 1975, Ф. 2605, Оп. 8, Спр. 9782, Арк. 8-9 (Центральний державний архів вищих органів влади та управління України).

27 А. В. Павлов, «По вопросу условий труда и состояния здоровья женщин-стеклодувов, работающих на предприятиях и в цехах изготавливающих елочные украшения», 6 сентября 1975, Ф. 2605, Оп. 8, Спр. 9782, Арк. 10-13 (Центральний державний архів вищих органів влади та управління України).

28 Степаненко и И. Гладкий, «Осуществляя государственный надзор... », 30 декабря 1975, Ф. 2605, Оп. 8, Спр. 9782, Арк. 16-17 (Центральний державний архів вищих органів влади та управління України).

რესპუბლიკურმა საბჭომ გამოსცეს დადგენილება „დამატებითი ზომების შესახებ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ქალების შრომის პირობების გასაუმჯობესებლად“, რომელშიც გაცემულ იქნა მითითება დამტკიცებულიყო საწარმოთა, პროფესიათა და სამუშაოთა ნუსხა, მძიმე და მავნე პირობებით, რომლებშიც აკრძალული იყო ქალთა შრომის გამოყენება. იმავე წლის ივლისში დამტკიცდა ახალი ნუსხა და მასში შუშის მბერავის პროფესია ნახსენები არ იყო[29].

დასკვნა

საბჭოთა ხელმძღვანელების განცხადებით, ქალების პროდუქტიული და რეპროდუქციული შრომის წარმატებით შერწყმის მიზნით, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ იკისრებდა შვილებსა და ოჯახზე ზრუნვის მშობლების ვალდებულების ნაწილს, მანამ, სანამ მშობლები დასაქმებული იქნებოდნენ. ამგვარად, უნდა განვითარებულიყო ბავშვების თითქმის დაბადებიდან მოვლის, აღზრდისა და განათლების სახელმწიფო დაწესებულებების სისტემა, შემოღებულიყო დედათა და ბავშვთა სახელმწიფო სოციალური დახმარება, ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები. გენდერული შრომის პოლიტიკა ასევე განსაზღვრავდა ქალთა შრომის ისეთ ორგანიზებას, რომელიც დაეფუძნებოდა წარმოებასა და რეპროდუქციულ მუშაობაში ქალთა აქტიური ჩართულობის იდეას, ასევე იზრუნებდა „მომავალი დედების“ დაცვაზე, ანუ შრომით გადატვირთვის შემცირების, მავნე სამუშაოსგან გათავისუფლების, სამუშაო საათების შემცირების, სამსახურში ქალების სოციალური და საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფით.

ქალთა შრომის პირობების ორგანიზებასა და უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სხვადასხვა დონის პროფკავშირებმაც. გვიანი სოციალიზმის პერიოდში, პროფკავშირის კომიტეტები ნერგავდნენ და ახორციელებდნენ მონიტორინგს ქალების სოციალური და საყოფაცხოვრებო მხარდაჭერის გეგმების შესრულებაზე. ისინი შესაძლოა მეტ-ნაკლებად წარმატებულები იყვნენ თანამშრომლებისთვის სოციალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მიწოდებაში, რაც დამოკიდებული იყო მრავალ ფაქტორზე, როგორიცაა საწარმოს ადგილი და როლი ეკონომიკაში, მისი სპეციალიზაციის სფერო და ადგილმდებარეობაც კი. თუმცა მათი მუშაობა ამით არ შემოიფარგლებოდა – პროფკავშირის კომიტეტებმა, ქალებთან მუშაობის კომისიებმა, როგორც პროფკავშირების დამხმარე ორგანოებმა, ასევე გამოავლინეს ქალთა შრომის სფეროში არსებული პრობლემების სპექტრი და დღის წესრიგში დააყენეს ქალთა სამუშაო პირობების ორგანიზაციის ღონისძიებათა გატარების არასაკმარისობა ან შეუძლებლობა. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია, რომ კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქციის გარდა, უკრაინის შრომითი ურთიერთობების სოციალისტურ სისტემაში, პროფკავშირებს ჰქონდათ უფლებამოსილება განეხილათ და საჭიროებაზე მოერგოთ ქალების სამუშაო

29 *Об утверждении списка производств, профессий и работ с тяжелыми и вредными условиями труда, на которых запрещается применение труда женщин,* Постановление Государственного комитета СССР по труду и социальным вопросам и Президиума Всесоюзного Центрального Совета Профессиональных Союзов, 25 июля 1978, http://www.libussr.ru/doc_ussr/usr_9713.htm.

პირობების ადგილზე შესაცვლელად გასატარებელი ზომები. როგორც ნაძვის ხის სათამაშოების ქარხნების შემთხვევამ აჩვენა, ქალების სამუშაო პირობების შეცვლის მცდელობები ზოგჯერ წარუმატებელი აღმოჩნდა და დასაქმებულ ქალებში წინააღმდეგობა გამოიწვია, ვინაიდან შეიძლება მოჰყოლოდა ხელფასების შემცირება, შეღავათების ან სულაც სამუშაოს დაკარგვა. ასეთ შემთხვევებში ადგილობრივი პროფკავშირები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ პროფკავშირის ცენტრალურ ორგანოებსა და სახელმწიფო ხელმძღვანელობასთან ამ ღონისძიებების გადახედვის დასაწყებად. მოლაპარაკების პროცესში მათ მოახერხეს ქალთა შრომითი პოლიტიკის ადაპტირება დასაქმებულ ქალთა მოთხოვნებისა და წარმოების საჭიროებათა შესაბამისად.

Марс. руда.
Пек каменноугольный.
Размол до крупности 0
Дробление до крупности 0-3.
Нагрев при t°-150-200°с
Обжиг руды с 2-5% угля при t=500-600°с.
Остывание руды до 150°с.
Смешение при t-150-200°с.
Брикетирование.
Спекание и прокалка в печи непрерывного действия (t=от 600 до 800°с)
Склад брикетов.
Вариант II а.
Приготовление брикетов при температуре 150°с но с предварительным восстановительным обжигом руды при 500-600°с (пунктир)
Остальное по варианту II а.
Вариант II б
Пожалуй что вариант II б, но без связующего
Опытная установка по подготовке шихты для выплавки ферроторгануса.
Г9-18
Принципиальная технологическая схема.
Грузгипромез

თეთრი ხალათი და ბეწვის ქუჩქი
მეტალურგ ქალთა ცხოვრების ისტორია გვიან სოციალიზმში

თამარ ქებურია
დოქტორანტი ისტორიის მიმართულებით
კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სადოქტორო პროგრამა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და გეტინგენის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი
სტატია მეტალურგი ქალების ცხოვრების ტრაექტორიას, მათ საზოგადოებრივ და კულტურულ როლსა და აგენტობას სწავლობს 1960-იანი და 1970-იანი წლების საქართველოში. სტატიის მიზანია გააანალიზოს, თუ როგორი ცხოვრება ჰქონდათ მეტალურგ ქალებს გვიან სოციალიზმში, რა მისწრაფებები და ინტერესები ამოძრავებდათ მათ, და როგორ ახდენდნენ ისინი ნავიგაციას იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ვალდებულებებსა და პირად ინტერესებს შორის. სტატიაში მოყვანილი მასალა მოწმობს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საზოგადოებაში, განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ქალის მონიშვნა, როგორც ახალი, პოლიტიკური ცნობიერების მქონე, წარმატებული და შრომაში რეალიზებული პიროვნების, რომელიც თავდადებულად ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს. თუმცა, ამ საჯარო დისკურსის მიღმა, თავად მეტალურგ ქალთა ზეპირი ისტორიები და მოგონებები საპირისპიროზე მეტყველებენ. იმაზე, რომ გვიანი საბჭოთა კავშირის გენდერული პოლიტიკა უფრო წინააღმდეგობრივი იყო, ვიდრე მონოლითური, და მას არაერთგვაროვანი გავლენა ჰქონდა მეტალურგი ქალების სოციალურ და პროფესიულ შესაძლებლობებზე.

შესავალი

1928 წელს, უკრაინაში, იუზოვკის ქარხანაში მეტალურგის პრაქტიკის მისაღებად მივლინებულმა ლიზა ნადირაძემ წერილი მიიღო – *„მომწერეთ რამდენი ბრძმედი მუშაობს. უსათუოდ წადით „ბრძმედის“ სამყაროს „საორთქლქვაბებში“ და ნახეთ იქ „აირსაყვანის“ კლაკნილი, რომელიც უშველებელ ობობას გავს. ეს „აირსაყვანი“ ჩემი კონსტრუქციის არის, ჩემი დახაზული და გამოანგარიშებულია. ამ კლაკნილის ნახაზი რომ იშოვოთ და ჩამოიტანოთ, ძალიან მადლობელი ვიქნები“.* წერილის ავტორი ლიზა ნადირაძის მენტორი და უფროსი მეგობარი გიორგი ნიკოლაძე იყო, ნიკო ნიკოლაძის[1] ვაჟი და მეტალურგიული დარგის სპეციალისტი. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში მეტალურგიული სფეროს განვითარება, მეტალსადნობი ქვაბების დაპროექტება, ზესტაფონის ფეროს პროექტის შედგენა და ბევრი სხვა დამსახურება.[2] წერილის პასაჟი 1962 წლის ჟურნალ „დროშაში“, ლიზა ნადირაძის შესახებ გამოქვეყნებულ პროფილში დაიბეჭდა, სადაც ლიზა ნადირაძე პირველ მეტალურგ ქალად არის მოხსენიებული. მას პატივად ერგო ემუშავა დიდუბეში ამუშავებულ ფერომარგანეცის პირველ საცდელ ქარხანაში, სადაც ზესტაფონის ფეროში დასამონტაჟებელი სადნობი ქვაბები მოწმდებოდა. სტატიის თანახმად, მუშაობის 30-წლიანი სტაჟის შემდეგ, მან თავისი ცოდნა და გამოცდილება კვლევითი საქმიანობისკენ მიმართა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიაში მოეწყო – „მისი ფიქრი და ენერგია ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ შექმნას და წარმოებაში დანერგოს დახურული ტიპის სადნობი ღუმელი, რომელიც 2 ათას გრადუსიან ცეცხლთან ტრიალსა და მომქანცველ შრომას ააცილებს მეტალურგებს“.[3]

„ახალგაზრდა ჟურნალისტის“ 1974 წლის მე-11 ნომერში გამოქვეყნებული სტატია „პირველი ქართველი მეტალურგი ქალიც“ ანალოგიური პათოსით მოგვითხრობს ლიზა ნადირაძის კოლეგის, თამარ ახობაძის შესახებ – „თამარ ახობაძემ ჯერ კიდევ ბავშვობაში გადაწყვიტა ჩასწვდომოდა ლითონის საიდუმლოებას, დაუფლებოდა მისი დამუშავების ტექნოლოგიას. ეს ძლიერ გაბედული ფიქრი იყო მაშინ, როცა ჩვენში არა თუ ქალი, მეტალურგი მამაკაცებიც კი თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ“.[4] თამარის ბედიც ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას დაუკავშირდა – ჩელიაბინსკის ფეროშენადნობ ქარხანაში პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ, ის ჯერ ფეროს ტექნიკური განყოფილების ინჟინრად, ხოლო 1944 წლიდან ტექნიკური კონტროლის განყოფილე-

1 საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი (1843-1928). მან 1868 წელს დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი და მას შემდეგ ხშირად სტუმრობდა ევროპის ქვეყნებს სხვადასხვა ინდუსტრიული პროექტის გასამართად, რომელიც ტყიბულის ქვანახშირის რეალიზებას, ფოთის პორტის მშენებლობას, ჭიათურის მანგანუმის ექსპორტს თუ სხვა რიგ საკითხებს უკავშირდებოდა. 1886 წლიდან ის მეორე დასს ხელმძღვანელობდა, ხოლო 1917-1920 წლებში ნიკო ნიკოლაძე საქართველოს პირველი დამოუკიდეველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი იყო.

2 მათ შორის, საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებაც – ალპინიზმი, ტანვარჯიში, ნიჩბოსნობა. გიორგი ნიკოლაძის მოღვაწეობაზე შესახებ იხ. „საქართველოს ინდუსტრიალიზაციის მესაძირკვლენი თერგდალეული მეტალურგები: გიორგი ნიკოლაძე, ნიკოლოზ ქაშაკაშვილი“, რედ. გურამ ქაშაკაშვილი, ბ. ცხადაძე, ა. გაგნიძე, საქ. ტექნ. უნივერსიტეტის, 2014

3 მ. თომაძე, *პირველი მეტალურგი ქალი*, „დროშა“ #7, ივლისი 1962.

4 ლ. არსენაძე, *პირველი ქართველი მეტალურგი ქალი*, „ახალგაზრდა ჟურნალისტი“ #11, ნოემბერი 1974.

ბის ხელმძღვანელად გაამწესეს. 1971 წელს, ის ქართული მეტალურგიის განვითარების საქმეში ფასდაუდებელი ღვაწლისთვის ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

ქართველ მეტალურგ ქალთა ზემოთ მოყვანილი პროფილები და, ზოგადად, ფეროელ მეტალურგ ქალთა ცხოვრების ტრაექტორიების გაცნობა, განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ის განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს გვიანი სოციალიზმის ქალთა სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას, საჯარო თუ პოლიტიკურ პროცესებში მათ მონაწილეობას და ქალთა კულტურული რეპრეზენტაციის საკითხებს.[5] ამ პერიოდში რკინის წრთობა და შავი მეტალურგია კაცურ შრომასა და გასამხედროებულ ინდუსტრიალიზაციასთან ასოცირდებოდა. შესაბამისად, საინტერესოა, როგორ პოლიტიკურ კონტექსტსა და ძალაუფლებრივ დინამიკაში „გამოიდნო" ქართველი მეტალურგი ქალების და მათი თავდადებული შრომის ჰეროიკული სახე-ხატები.

მოცემულ ნაშრომში გვიანი სოციალიზმის გენდერული პოლიტიკის არაერთგვაროვნებას განვიხილავ, რასაც თავად ამ პერიოდის მეტალურგ ქალთა გამოცდილებების მრავალმხრივობა მოწმობს. ქართულ საბჭოთა პრესასა თუ პარტკომის სხდომების არქივებში მოძიებული დისკუსიები ქალთა როლის და მათი საზოგადოებრივი ფუნქციის შესახებ ადასტურებს, თუ რამდენად ესენციალიზებული იყო საზოგადოებრივი წარმოდგენები ქალთა შრომასა და მათთვის შესაფერის პროფესიაზე. თუმცა, მეორე მხრივ, თავად ამ ქალთა ზეპირი ისტორიები მოგვითხრობს, რომ „კაცურ სფეროში" დასაქმება, პრივილეგიასა და სტატუსთან ერთად, მეტ ავტონომიურობასთანაც ასოცირდებოდა. მეტალურგი ქალების აგენტობა აჩვენებს, რომ მათთვის მანევრირების და პერფორმატიულობის უნარის გამომუშავება მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურ თუ პატრიარქალურ წნეხთან გასამკლავებლად.[6]

5 აქ და სხვაგანაც ხშირად შეხვდებით გვიანი სოციალიზმის ცნებას, რომელიც 1950-იანი წლების შუიდან 1980 წლამდე პერიოდს მოიაზრებს პერესტროიკამდე. საბჭოთა ლიტერატურაში ეს 30-წლიანი პერიოდი ე.წ. *განვითარებულ სოციალიზმად* არის მოიხსენიებული. აკადემიურ ლიტერატურაში, გვიანი სოციალიზმი სხვადასხვანაირად არის დახასიათებული, თუმცა ცენტრალური მახასიათებლებია: რეპრესიული სისტემის შემსუბუქება, ეკონომიკის დეცანტრალიზება, „კომუნიზმში შესვლასა" და მატერიალურ სიჭარბეზე დაპირება, სამომხმარებლო ინტერესების ზრდა, კულტურულ და სოციალურ ველებში თავისუფლების მეტი ხარისხის გაჩენა და ა.შ. გვიანი სოციალიზმის ისტორიული-კულტურული თუ სოციო-ეკონომიკური ანალიზისთვის იხ. „Late Socialism: An Eternal State" from Alexei Yurchak, Everything Was Forever, Until It Was No More – The Last Soviet Generation (Princeton University Press, 2005); Dominic Boyer et al., Soviet Society in the Era of Late Socialism, 1964-1985, ed. Neringa Klumbyte and Gulnaz Sharafutdinova, 1 edition (Lanham: Lexington Books, 2012); 'Socialist Consumption and Brezhnev's Stagnation: A Reappraisal of Late Communist Everyday Life (Review Essay)', Kritika 17, no. 3 (2016): 665-78.

6 Alexei Yurchak, *Everything Was Forever, Until It Was No More – The Last Soviet Generation* (Princeton University, 2005).

კვლევის მეთოდი, წყაროები და შეზღუდვები

გვიანი სოციალიზმის შესასწავლად არაერთ მიდგომასა თუ მეთოდს იყენებენ. 1990-იანი წლების შემდეგ საბჭოთა არქივების გახსნამ და საარქივო მასალების ხელმისაწვდომობამ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ახალი საკვლევი მიმართულებები გააჩინა. დაიწყო ტრადიციული პარადიგმების გადააზრება და დაისვა ახალი კითხვები.[7] მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოიტანა ასევე ზეპირი ისტორიების ფართო გამოყენებამ საბჭოთა კვლევებში, რითაც მოხდა აქამდე უცნობი ისტორიების და გამოცდილებების გამომზეურება, ტრადიციული ისტორიოგრაფიის მიერ ჩახშული ხმების გაჟღერება. ზეპირი ისტორიების მეთოდმა შესაძლებელი გახადა, საბჭოთა ისტორიის კვლევის ცენტრში რიგითი ადამიანები და მათი პირადი მოგონებები მოქცეულიყო, რამაც საბჭოთა კვლევებს მეტი სიღრმე და მრავალხმიანობა შემატა.

დღეს ხშირად იბეჭდება ნაშრომები, სადაც წყაროებად გამოყენებულია მხატვრული თუ პროპაგანდისტული ფილმები, საოჯახო ფოტოალბომები, იდეოლოგიური პოსტერები. ისტორიის კვლევებში მეთოდებისა და წყაროების გამრავალფეროვნება ახალ შესაძლებლობას აჩენს წარსულის ახლებური გააზრებისთვის.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგ ქალთა ისტორიის შესასწავლად კვლევა-ძიების არაერთ მეთოდს მივმართე – საარქივო კვლევა, დისკურსის ანალიზი, ზეპირი ისტორიების შეგროვება. მრავალმხრივი იყო ჩემ მიერ მოძიებული საისტორიო წყაროებიც. უფრო კონკრეტულად, საბჭოთა პერიოდში გენდერული პოლიტიკის ანალიზისთვის ის აკადემიურ ნაშრომები და ლიტერატურული წყაროები მიმოვიხილე, რომელიც აღიარებული და ფართოდ ციტირებულია საერთაშორისო აკადემიურ სივრცეებში; უშუალოდ საქართველოში გვიანი სოციალიზმის ისტორიული კონტექსტის აღსადგენად, საარქივო მასალებს, საგაზეთო სტატიებს და 1960-იან და 1970-იან წლებში გამოცემულ თემატურ ნაშრომებს დავეყრდენი. ამ მასალების შერჩევის კრიტერიუმს და მათ რელევანტურობას თავად საკვლევი თემა მკარნახობდა, სადაც მთავარ ფოკუსს ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში დასაქმებულ ქალთა ისტორიები, საჯარო დისკუსიები და დახურულ კარს მიღმა წარმართული მსჯელობები წარმოადგენდა. რაც შეეხება უშუალოდ კვლევის მთავარ მოქმედ პირებს – ფეროს მეტალურგ ქალებს, ამ შემთხვევაში ძირითად წყაროდ 2021 წლის მაის-ივლისის პერიოდში შეგროვებული ზეპირი ისტორიები და რესპონდენტების მიერ გაზიარებული მასალები გამოვიყენე.[8]

საწყის ეტაპზე, შეგროვებული მასალების ანალიზში ის კვლევითი კითხვები მეხმარებოდა, რომელიც შესავალშივე დავსვი – როგორი იყო ცხოვრება გვიან სოციალიზმში და რა სახის სოციო-კულტურული თუ პოლიტიკური როლები ჰქონდათ ამ პერიოდის მეტალურგ ქალებს? თუმცა, კვლევისას თავმოყრილ მასალებზე მუშაობამ, დამატებითი

7 Sheila Fitzpatrick, 'Revisionism in Soviet History', *History and Theory* 46, no. 4 (December 2007): 77-91.

8 მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში მხოლოდ ერთი მეტალურგი ქალის ისტორიაა მოთხრობილი, კონტექსტის რეკონსტრუირებისა და მიგნებების დაზუსტებისთვის, სამ სხვადასხვა ქალთან ჩატარდა არასტრუქტურირებული ინტერვიუ, მათ შორის ერთთან – 2-ჯერ: სულ 4 ზეპირი ისტორიის ინტერვიუ, თითოეული 2 საათზე მეტი ხანგრძლივობის.

კითხვები და ანალიზის ახალი მიმართულები მიკარნახა – კერძოდ, რით იყო გვიანი სოციალიზმის პერიოდი სპეციფიკური და რა გამოარჩევს ამ პერიოდის მეტალურგ ქალთა ცხოვრებისეულ გამოცდილებებს?

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გამოწვევები, რაც კვლევის პროცესს ახლდა თან. პირველ რიგში, ეს ეხება ქართულ აკადემიურ სივრცეში ლიტერატურის დეფიციტს, რომელიც სისტემურ სახეს მისცემდა ცოდნას საბჭოთა პერიოდის მეტალურგ ქალთა მდგომარეობის შესახებ. ასევე, არსებობს ღიობები საქართველოში 1960-იანი და 1970-იანი წლების გენდერული პოლიტიკის თემაზე, რომელიც ქართველ ქალთა გამოცდილებას საერთაშორისო ფემინისტურ დისკუსიას დაუკავშირებდა და მათ იგივეობაზე ან განსხვავებულობაზე იმსჯელებდა. გამოწვევას ქმნიდა თავად საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო მასალების სიმწირეც ქართველ ქალთა თემაზე. ამ მხრივ ხელმისაწვდომი მხოლოდ პროპაგანდისტული ბუკლეტები და საკანონმდებლო ჩანაწერები იყო, სადაც ქალთა უფლებრივი მდგომარეობა პარტიული, პროფკავშირული თუ იდეოლოგიური ინტერესების შუქ-ჩრდილში განიხილებოდა.

ამ გამოწვევების პირობებში, მნიშვნელოვანია წინდაწინ განიმარტოს რამდენიმე გარემოება – პირველ რიგში ის, რომ 1960-იანი და 1970-იანი წლები, მიუხედავად სტალინისტური ტერორის შესუსტებისა, კვლავაც პოლიტიკურად დამუხტული პერიოდი იყო მთელი თავისი რეპრესიული მექანიზმებით; ასევე, ამ ისტორიულ კონტექსტში მომუშავე, ეკონომიკურად და სოციო-კულტურულად აქტიური ქალები განყენებულნი ვერ იქნებოდნენ ამ სისტემისგან, არამედ მასში ცხოვრობდნენ და ხშირად მისი მონაწილენიც კი იყვნენ; და ბოლოს, ამ ისტორიულ მოცემულობაში და ფართო სტრუქტურების მიღმა უბრალოდ ადამიანები ცხოვრობდნენ, რომელთაც პირადი ინტერესები, მისწრაფებები და სურვილები ამოძრავებდათ. მათი აგენტობის დაყვანა პოლიტიკურ მდგენელამდე ისტორიის გამარტივებული წაკითხვა იქნებოდა და ისტორიის სოციალური განზომილების დავიწროებას გამოიწვევდა. შესაბამისად, კვლევაზე მუშაობისას ჩემი მიზანი იყო ახალი კითხვების დასმა და კვლევის განსხვავებული მიმართულებების ძიება, რათა ახლებურად გამეაზრებინა ქალთა საკითხი და მათი სოციო-კულტურული როლები საქართველოს კონტექსტში.

სტატია სამი თავისგან შედგება. პირველ თავში საბჭოთა კავშირში ქალთა საჯარო როლის და ფუნქციის სახეცვლილებებს მივუყვები. ამის შემდეგ კვლევის ფოკუსში უშუალოდ გვიანი სოციალიზმი და ამ პერიოდის ქალთა სოციო-ეკონომიკური თუ კულტურული როლები ექცევა, სადაც საქართველოს კონტექსტში მძიმე ინდუსტრიაში ქალთა დასაქმების პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ტენდენციებს ვაანალიზებ. სტატიის ბოლო თავი საბჭოთა პერიოდის გამოჩენილი მეტალურგი ქალის – შაზინა გოცირიძის პირად ისტორიას ეთმობა, რომელიც თავის მხრივ ბევრს ამბობს უშუალოდ გვიანი სოციალიზმის პერიოდის ქალთა აგენტობის ფორმებსა და ცხოვრების ტრაექტორიებზე. ნაშრომის ბოლოს, დასკვნის სახით ვაჯამებ იმ ძირითად მიგნებებსა თუ ახალ საკვლევ მიმართულებებს, რომელიც ამ ნაშრომმა გამოკვეთა.

ქალთა პოლიტიკა საბჭოთა კავშირში – მოკლე ისტორიული ექსკურსი

საბჭოთა კავშირის ჩანასახშივე ქალთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა და მისი დაცვა გაცხადებულ მიზანს წარმოადგენდა. თუმცა, მიუხედავად მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიის დაპირებისა, რომ მშრომელი კლასის განთავისუფლებას ქალთა ემანსიპაცია თავისთავად უნდა მოეტანა, ბოლშევიკური რევოლუციის მედროშე ქალებს არაერთი შიდაპარტიული ბრძოლის გადატანა უწევდათ, რათა საკანონმდებლო თუ საკონსტიტუციო დონეზე გაეჩინათ ჩანაწერები მშრომელ ქალთა უფლებების დაცვის, ქორწინებაში მათ თანასწორუფლებიანობის, საკუთრების უფლების მიცემის თუ სხვა ფუნდამენტური საკითხების უზრუნველსაყოფად.[9] საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ წლებში, რევოლუციონერი ქალების ორგანიზებით შექმნილი ქალთა განყოფილების (Женотдел) მიზნები მხოლოდ ქალთა სოციო-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფამდე არ დაიყვანებოდა. „ჟენოტდელის“ წევრები საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნასაც ისახავდნენ მიზნად, სადაც ინდივიდუალიზებული საშინაო შრომა ინსტიტუციებს უნდა ჩაენაცვლებინათ და გაჩენილიყო ბავშვთა აღზრდის კომუნალური ინსტიტუტები, დღიური ზრუნვის ცენტრები, საჯარო სასადილოები თუ სხვა. ჟენოტდელოვკების ეს „უტოპიური“ იდეები, 1930-იან წლებში სტალინიზმის აღზევებასა და ქალთა განყოფილების დახურვასთან ერთად ჩაიკარგა, ხოლო ქალთა ინტერესებისთვის მებრძოლ რევოლუციონერთა სახელები საბჭოთა პროპაგანდის გაუფასურებულ შაბლონებად გადაიქცა.[10]

საბჭოთა რეჟიმის არსებობის განმავლობაში, პოლიტიკური წესრიგის ცვლილებასთან ერთად, ქალთა როლსა და საზოგადოებრივ ფუნქციაზე წარმოდგენები და საჯარო დისკურსი გამუდმებით იცვლებოდა. ლიტერატურის თანახმად, ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობა 1920-იანი წლებიდან უკვე სუსტდებოდა, ხოლო 1930-იან წლებში გაჩაღებულმა სტალინისტურმა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ მას რადიკალური ხასიათი საბოლოოდ დაუკარგა. ამის წინაპირობა სწრაფი ინდუსტრიალიზაციისას, ერთი მხრივ, ქალთა ტრადიციულ როლზე გაზრდილი მოთხოვნა იყო – სოციო-ეკონომიკური ძნელბედობის ჟამს ტრადიციული ოჯახების და საშინაო სფეროში კვლავწარმოების შრომაზე პასუხისმგებელი ქალების როლი გადამწყვეტი აღმოჩნდა რადიკალური ინდუსტრიალიზაციის „დასაფინანსებლად“.[11] ამის პარალელურად, წარმოების ზრდასთან ერთად, იზრდებოდა ქალ მუშახელზე მოთხოვნა ფაბრიკა-ქარხნებსა თუ ინდუსტრიულ მშენებლობებზე, სადაც საშინაო შრომის შესრულებასთან ერთად, ისინი მცირე ანაზღაურების და მძიმე შრომის სანაცვლოდ, აქტიურად მონაწილეობდნენ სტალინისტური ინდუსტრიალიზაციის „მშენებლობის“ პროცესშიც.[12]

9 Anne E. Gorsuch, '"A Woman Is Not a Man": The Culture of Gender and Generation in Soviet Russia, 1921-1928,' *Slavic Review* 55, no. 3 (1996): 636-60.

10 Barbara Evans Clements, 'The Utopianism of the Zhenotdel,' *Slavic Review* 51, no. 3 (1992): 485-96.

11 ამ თემაზე ბოლო პერიოდში ბევრი ნაშრომი გამოიცა, მათ შორის: Gijs Kessler, 'Wage Labor and the Household Economy: A Russian Perspective, 1600–2000,' in *Working on Labor,* ed. Marcel van der Linden, vol. 9, Studies in Global Social History (Brill, 2012), 353-69; Susan Zimmermann, 'Gender Regime and Gender Struggle in Hungarian State Socialism,' Aspasia 4, no. 1 (1 March 2010).

12 Wendy Z. Goldman, *Women at the Gates: Gender and Industry in Stalin's Russia* (Cambridge: Cambridge University Press, 2002).

მეორე მსოფლიო ომმა და ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე ადამიანური რესურსის საჭიროებამ, საოჯახო შრომაში ჩაბმული დედების, ცოლების თუ ქალიშვილების შრომის სიმძიმე კიდევ უფრო გაზარდა. „დიდმა სამამულო ომმა“ კიდევ ერთხელ გარდაქმნა ქალთა როლის შესახებ საჯარო წარმოდგენები. ამას ეხმიანება ომის პერიოდის ქალთა შესახებ სამუზეუმო გამოფენების კვლევაც, სადაც საუბარია ისეთი ტიპის ქალთა სახე-ხატების გაჩენაზე, როგორიცაა „მშრომელი ქალი, რომელიც ამარაგებს ფრონტს მატერიალური რესურსით, ან უშუალოდ ზრუნავს ფრონტიდან ჩამოყვანილ დაჭრილ ჯარისკაცებსა თუ ობოლ ბავშვებზე; მეომარი და პარტიზანი ქალი, დონორი, მედდა და მგლოვიარე გმირი დედა, რომელიც დაუფიქრებლად სწირავს შვილებს სამშობლოსთვის და ამაყობს მათი თავდადებით“.[13] ომის დასრულების შემდეგ, როცა კაცები „გმირ ინვალიდებად“ დაუბრუნდნენ საზოგადოებას, ამის საპირისპიროდ, ქალები გამარჯვებულ და გაძლიერებულ სუბიექტებად დაბრუნდნენ.[14] ქალობის ამ განახლებულ ვერსიაში, ვაჟკაცობა და ქალურობა არა თუ დაპირისპირებული, არამედ ერთმანეთის გამაძლიერებელი იყო.[15]

სტალინისტური პერიოდის გენდერული პოლიტიკის შემდეგ, განსაკუთრებით საინტერესო და მრავალმხრივი იყო დესტალინიზაციის და გვიანი სოციალიზმის პერიოდის ქალთა საზოგადოებრივი თუ კულტურული როლის ტრანსფორმაცია. პოსტსტალინისტური პერიოდი, სტალინის კულტის საჯარო დაგმობის გარდა, ასევე გამოირჩეოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ე.წ. მოდერნიზაციის მეორე ტალღით, რომელიც არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიო მასშტაბის მოვლენა იყო.[16] ეს ის წლებია, როდესაც ომის პერიოდის ხელმომჭირნე და დეფიციტურმა ეკონომიკამ სწრაფად დაიწყო ზრდა. გაზრდილ წარმოებასთან ერთად გაიზარდა სამომხმარებლო კალათაც. ამ პერიოდის კომუნისტურ რეჟიმს ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც „სოციალიზმი ადამიანური სახით“, სადაც უკეთესი ცხოვრების პირობების, მატერიალური სიჭარბის და კეთილდღეობის შესახებ დაპირება ყოველდღიურობის ნაწილად იქცა.[17]

როგორც ლილია კაგანოვსკი, მარკო დუმანჩიჩი და სხვები წერენ, ომიდან დაბრუნებული, ფიზიკურად და მენტალურად ტრავმირებული კაცები დეზორიენტირებულნი აღმოჩნდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საზოგადოებაში და მასკულინობის კრიზისი დაუდგათ, მაშინ როდესაც ქალებისთვის ეს ხანა თავისუფლების, მატერიალური კეთილდღეობისა და ავტონომიურობისკენ სწრაფვის პერიოდად იქცა.[18] [19] თუმცა, მიუხე-

13 ლოლუა ანა, „ქალთა რეპრეზენტაცია დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ გამოფენებში: გვიანი სოციალიზმის პერიოდის საქართველო“, *Heinrich Böll Stiftung, თბილისი, სამხრეთი კავკასია,* მეორე მსოფლიო ომი და ქალები, 2020.

14 Lilya Kaganovsky, *How the Soviet Man Was Unmade: Cultural Fantasy and Male Subjectivity Under Stalin* (University of Pittsburgh Pre, 2008).

15 Anna Krylova, 'Bolshevik Feminism and Gender Agendas of Communism,' in *The Cambridge History of Communism: Volume 1: World Revolution and Socialism in One Country 1917-1941,* ed. Silvio Pons and Stephen A. Smith (Cambridge University Press, 2017), 444.

16 Polly Jones, ed., *The Dilemmas of De-Stalinization: Negotiating Cultural and Social Change in the Khrushchev Era,* 1st edition (London: Routledge, 2006).

17 Natalya Chernyshova, *Soviet Consumer Culture in the Brezhnev Era,* 1 edition (New York: Routledge, 2013).

18 Kaganovsky, *How the Soviet Man Was Unmade.*

19 Marko Dumančić, *Men Out of Focus: The Soviet Masculinity Crisis in the Long Sixties,* 2021.

დავად გვიანი სოციალიზმის მიერ მოტანილი მეტი თავისუფლებისა, რაც ქალებისთვის განათლების მიღების, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის, პროფესიების დაუფლების თუ თვითრეალიზების მეტ შესაძლებლობებს გულისხმობდა, ეს ცვლილებები მეტ თანასწორობაში ან ტრადიციული გენდერული როლების რღვევაში არ ითარგმნებოდა.[20] 1960-იან და 1970-იან წლებში, სამთავრობო დონეზე მხარდაჭერილი ქალთა გაძლიერების პოლიტიკა აცდენილი იყო იმ რადიკალური ემანსიპაციის პირველადი კურსისგან, რისთვისაც ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების პირველ წლებში რევოლუციონერი ქალები იბრძოდნენ.[21]

1960-იანი და 1970-იანი წლების საჯარო სივრცეებში ხშირად ხდებოდა წარმატებულ ქალთა სახე-ხატების დემონსტრირება ჟურნალ-გაზეთებში მიძღვნილი სტატიებით („მნათობი", „დროშა", „ფერომდნობელი"), რადიო- თუ სატელევიზიო გადაცემების რეპორტაჟებით, პარტიული გამოსვლებისას სიტყვითი მოხსენებების საშუალებით. ამ დისკურსში, ქალთა წარმატება და მათი გმირობა სოციალისტური სისტემის დამსახურებად მოინიშნებოდა. ამ პერიოდის ქალი იყო წარმატებული, რადგან მას გააჩნდა უმაღლესი განათლება, რადგან იყო პროფესიულად რეალიზებული, რადგან მას შეეძლო გამოეთქვა საკუთარი აზრი და ხედვა საზოგადოების განვითარებაზე, ხელი მიუწვდებოდა მატერიალურ სიკეთეებზე, მოდურ ტანსაცმელსა და ტურისტულ საგზურებზე. 1960-იანი და 1970-იანი წლების ჟურნალ-გაზეთების და საჯარო პოლიტიკური დისკურსის თანახმად, გვიანი სოციალიზმის წარმატებული ქალი, ერთი მხრივ, თავშეკავებული და საქმისადმი თავდადებული იდეალისტი იყო, თუმცა, ამასთან, შესაძლოა მგრძნობიარე და მეოცნებეც ყოფილიყო. წარმატებულად ითვლებოდა ისეთი ქალიც, რომელიც განსხვავებულ იდენტობებს ერთდროულად ითავსებდა და შეეძლო წარმატებული ყოფილიყო როგორც შრომაში, ასევე სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. საბოლოო ჯამში, მთელი ამ პერიოდის ისტორიული ნარატივი ქალთა წარმატებაზე შემდეგ ფაბულამდე დაიყვანებოდა – ყველა ქალი, ვინც ცხოვრობდა სოციალიზმში, იმთავითვე წარმატებულად მოინიშნებოდა. ხოლო ის, ვინც სოციალიზმის მიღმა დარჩა, ექსპლუატაციის და ჩაგვრის მსხვერპლი იყო.

ქალთა დასაქმება „კაცურ" სამუშაოებზე – მიზეზები და წინაპირობები

გვიან სოციალიზმში ქალთა პოზიციების დაწინაურებაზე როგორც საჯარო, ასევე პარტიულ თუ ეკონომიკურ სივრცეებში, არაერთი საბჭოთა წყარო წერდა. საბჭოთა გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ ნაშრომში „ქალის შრომა საბჭოთა კავშირში" აღნიშნულია, რომ 1975 წლისთვის ქალთა 73%-ზე მეტს საშუალო ან უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული, ხოლო 1965 და 1970 წლებში მრეწველობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა მთელი მუშახელის 42%-ს შეადგენდა. ამასთან, 1977 წლისთვის „სსრ კავშირის რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოე-

20 Donna Harsch, 'Between State Policy and Private Sphere: Women in the GDR in the 1960s and 1970s,' *Clio. Women, Gender, History* No 41, no. 1 (25 May 2015): 89-114.

21 Magdalena Grabowska, 'Bits of Freedom: Demystifying Women's Activism under State Socialism in Poland and Georgia,' *Feminist Studies* 43, no. 1 (2017): 141-68.

ბის დეპუტატთა მესამედი, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების ნახევარი, ყოველი მესამე სახალხო მოსამართლე და ადვოკატი, ყოველი მეორე სახალხო მსაჯული ქალი იყო". ამ პერიოდის სსრკ კონსტიტუციის 122-ე მუხლის თანახმად, ქალს სსრ კავშირში ენიჭებოდა კაცთან გათანაბრებული უფლება „სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყველა დარგში".[22]

1960-იან და 1970-იან წლებში გამოცემული საბჭოთა წყაროებიდან ყველაზე საინტერესოა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" მიერ გამოცემული კრებული, სადაც აღნიშნულია, რომ 1960-იანი წლებიდან „ქალთა შრომამ გავრცელება ჰპოვა მრეწველობის ისეთ დარგებშიც, რომლებიც ომამდე მხოლოდ კაცთა შრომის დარგებად ითვლებოდა. ქალებმა შეცვალეს კაცები მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ნავთობისა და ქვანახშირის მრეწველობაშიც, მოკლე ვადებში დაეუფლნენ მძიმე პროფესიებს. მეფოლადე ქალების მოწოდებით, ქალები დადგნენ შრომით ვახტზე მაგნიტოგორსკისა და სხვა მეტალურგიული კომბინატების მარტენებსა და ბრძმედებთან".[23] ამ თემაზე წერს ისტორიკოსი, მალგოჟატა ფიდელისიც 2010 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ქალები, კომუნიზმი და ინდუსტრიალიზაცია ომისშემდგომ პოლონეთში", რომელიც მძიმე ინდუსტრიაში დასაქმებულ ქალთა ისტორიაზე ერთ-ერთი გამორჩეული ნაშრომია. ფიდელისი ამ წიგნში წერს 1960-იანი და 1970-იანი წლების პოსტსტალინისტურ პოლიტიკაზე და აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში უფრო მეტად წახალისდა ქალთა დასაქმება „კაცურ" სამუშაო ადგილებზე – მაღაროებში, მეტალურგიულ ქარხნებში, შახტებში. ავტორის განმარტებით, ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა.[24]

პირველ რიგში, ეს ნაკარნახევი იყო საბჭოთა ხელისუფლების მოტივაციით, გაეზარდათ ქალების დასაქმების წილი მთლიან ეკონომიკაში და, რამდენადაც „კაცურ" სფეროებში დასაქმება მეტ ანაზღაურებასა და სტატუსთან ასოცირდებოდა, მიზანმიმართულად დაიწყო გენდერულად სეგრეგირებული დასაქმების სფეროების გადახალისება და, დისკურსულ დონეზე, გენდერული იერარქიების წინააღმდეგ გალაშქრება. ამაზე მიანიშნებს 1976 წლის საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ცკ-ის პირველი მდივნის, ამხ. შევარდნაძის სიტყვაც:

> „მაქსიმალურად უნდა შევამსუბუქოთ ქალის საოჯახო შრომა. [..,] ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს შევამციროთ დროის დანახარჯები საოჯახო მეურნეობის გასაძღოლად, უფრო ფართოდ ჩავაბათ ქალები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში".[25]

ამ თემას ეხმიანება ზეპირი ისტორია, სადაც 1970-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ქალთა დასაქმების გაზრდილ მოთხოვნაზე ილაპარაკა ამ პერიოდში ერთ-ერთ საიუველირო ქარხანაში დასაქმებულმა და 1985 წლიდან პროფკავშირულ საქმიანობაში

22 გაბაიძე ი., „ქალის შრომა საბჭოთა კავშირში" (გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა", 1977).

23 კვაჭაძე ზინაიდა, ქალის საერთაშორისო წელი, 6 (საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა", 1975), 12.

24 Malgorzata Fidelis, *Women, Communism, and Industrialization in Postwar Poland* (Cambridge University Press, 2010).

25 შევარდნაძე ედუარდ, „საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა", საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება (თბილისი: საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1976).

ჩართულმა ქალმა, რომელმაც გაიხსენა, რომ აღნიშნულ პერიოდში, დეკრეტული შვებულებიდან დასაბრუნებლად, მას მნიშვნელოვან წახალისებას დაჰპირდნენ:

> „პირველი შვილი რომ გავაჩინე, 4 თვის დავტოვე სახლში. შემომთავაზეს, ოღონდ სამსახურში გამოდი და მანქანას მოგცემთო. მანქანა დიდი ფუფუნება იყო და ამაზე უარი არ მითქვამს. მართლაც, რამოდენიმე თვეში მივიღე ნოლ-ტრი, რომელიც ბოლო მოდელის მანქანად ითვლებოდა. ამ პერიოდში თუ მშრომელი იყავი, და მით უმეტეს ქალი, ნამდვილად არ დაიკარგებოდი, ესეთ კადრებს ეძებდნენ“.[26]

კიდევ ერთი წინაპირობა, რამაც გაზარდა მოთხოვნა ქალებზე მძიმე ინდუსტრიაში, იყო კაცების მხრიდან უდისციპლინობის, სამუშაოს გაცდენების და გეგმების შეუსრულებლობის მაღალი მაჩვენებლები. მიჩნეული იყო, რომ სამუშაო ადგილების „ფემინიზაცია“ გაზრდიდა შრომის პროდუქტიულობას და შრომით სივრცეებში დისციპლინის თუ ორგანიზების დონეს. ფიდელისი წერს, რომ ის ქალები, რომლებსაც კაცების პოზიციები ეკავათ, ფასდებოდნენ მათი ტრადიციული ქალური თვისებების გამო, როგორიცაა დედობრივი და საშინაო სფეროზე ზრუნვის ინსტინქტები – რათა ქარხნისთვის, როგორც თავისი „მეორე სახლისთვის“ ისე მოევლოთ. ფიდელისს მოჰყავს ქარხნებში ქალთა სექციების მეთაურების ანგარიშები, რომლის თანახმადაც ქალები უფრო დისციპლინირებულად იქცეოდნენ, ვიდრე კაცები. ქალებს შორის ასევე დაბალი იყო სამსახურის გაცდენის სიხშირეც.[27] იმავე მიმართებასა და მოლოდინზე მეტყველებს ფეროშენადნობთა ქარხნის პარტკომის სხდომის ოქმი, რომელიც 1964 წელსაა შედგენილი. მასში წერია, რომ ცენტრალურ ლაბორატორიაში ქალთა დასაქმების მაღალი წილის მიუხედავად, „კვლავ უწესრიგობაა დერეფანში, უსუფთაობაა წყლის გამოსახდელ განყოფილებაში და სინჯარების დასამზადებელ ოთახში“. ანგარიშის შემდგენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასაქმების ადგილზე ქალი მუშახელის ზრდა დასაწყისში აჩენდა იმედს, რომ გამოსწორდებოდა დისციპლინა, გაიზრდებოდა ორგანიზებულობის ხარისხი და მოწესრიგდებოდა ხელსაწყო-დანადგარები, თუმცა ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ანგარიშის შემდგენელი საყვედურს უცხადებს ცენტრალური ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ამხ. მეტრეველს და მოუწოდებს მას, მეტი ღონისძიება გაატაროს საწარმოო კულტურის ამაღლებისთვის.[28]

გარდა ამისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არგუმენტი, რის გამოც 1960-იან და 1970-იან წლებში აქტიურად ხდებოდა „კაცურ“ პოზიციებზე ქალთა დასაქმება, იყო ის, რომ მასკულინობის კრიზისის, ქალთა საზოგადოებრივი როლის გაძლიერების და მათი ბეჯით, საქმისადმი თავდადებულ და დისციპლინირებულ სუბიექტებად მონიშვნით, ხდებოდა ქალთა სუბიექტურობის ფორმების „რეპოლიტიზება“, რაც საბოლოო ჯამში „ახალი ქალის“ შექმნას ემსახურებოდა – „[კომუნისტი ქალი] ახალი ცნობიერების ადამიანია, სოციალისტური მიზნებისთვის ბოლომდე თავდადებული, რომელიც საზო-

26 რესპონდენტი 1, ზეპირი ისტორია, ივლისი 2021.

27 Fidelis, *Women, Communism, and Industrialization in Postwar Poland,* 147-50.

28 „ბიუროს სხდომის ოქმი“ (ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტის ცენტრალური ლაბორატორიის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, 1964), შსს-ს პარტიული არქივი.

გადოების ინტერესებს მის პირად ინტერესებზე მაღლა აყენებს“.[29] შესაბამისად, გვიან სოციალიზმში წარმოებული სოციალური ინჟინერიის და „ახალი ადამიანის“ შექმნის პოლიტიკა „ახალ ქალს“ უფრო წარმატებულ პროექტად მიიჩნევდა და მეტ პოლიტიკურ წონას ანიჭებდა, ვიდრე „ახალ კაცს“. ქალის ეს რეპოლიტიზებული სუბიექტი წარმატებული უნდა ყოფილიყო როგორც საწარმოო პროდუქტიულობის ზრდის ასპექტში, ასევე სოციალიზმისთვის ახალი თაობების აღზრდის მიმართულებითაც. ამას ადასტურებს ფიდელისის მოსაზრებაც, რომ მთავრობის მხრიდან ქალთა სამსახურებრივი დაწინაურებების მხარდაჭერა და მათი სამსახურებრივი წარმატება, პოლიტიკური სისტემის წარმატებად ფორმდებოდა.[30] თუმცა, ფიდელისი იქვე დასძენს, რომ ქალთა თანამდებობრივ დაწინაურებას მასობრივი ხასიათი არასდროს ჰქონია და იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. ანალოგიურ საკითხზე მიუთითებს კვლევისას მოძიებული საარქივო მასალაც – კერძოდ, 1960 წლის აგვისტოს თვის პარტკომის სხდომის ოქმი, სადაც ზესტაფონის ფეროს პარტკომის მდივანმა, პაატა ნანიტაშვილმა მწვავედ გააკრიტიკა ფეროს ქარხნის ქალთა საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობა:

> „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში 1960 წლის 23 აგვისტოს ირიცხება 437 ქალი, რაც მუშამოსამსახურეთა 17,1% შეადგენს. ინჟინერ-ტექნიკოსებიდან და მოსამსახურეებიდან ხელმძღვანელ სამუშაოებზე საამქროთა და განყოფილებათა უფროსებად და მოადგილეებად მუშაობს 14 ქალი. წლის დასაწყისში, – ქარხანამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალების შერჩევის, დაწინაურების და აღზრდის საქმეში. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ქარხანაში შექმნილი იყო ქალთა საორგანიზაციო კომიტეტი, მაგრამ ამ კომიტეტს არაფერი გაუკეთებია“.[31]

ამავე თემას მიეძღვნა 1963 წლის 26 აპრილში ზესტაფონის პარტკომის სხდომაც, სადაც აღნიშნული იყო, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა ქარხნის ხელმძღვანელობის მხრიდან ქალთა დაჯილდოებისა და დაწინაურების საკითხს – „ამ სამი წლის მანძილზე ინჟინერ ტექნიკური პერსონალიდან დაწინაურდა 5 ქალი და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა დაწინაურების საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა“.[32]

ფიდელისი თავის წიგნში აკონკრეტებს იმასაც, რომ მიუხედავად მაღალი პოლიტიკური წნეხის თუ საჯარო პროპაგანდისა, მძიმე მრეწველობაში დასაქმებული ქალები არასდროს გამოირჩეოდნენ შრომისადმი განსაკუთრებული თავდადებით ან მაღალი პარტიულ-იდეოლოგიური ინტერესით (განსაკუთრებით საუბარია რიგით მშრომელ ქალებზე). ამას ადასტურებს 1959 წლის 17 დეკემბრის სხდომის ოქმი ზესტაფონის ადგილობრივი პარტკომის არქივიდან:

29 L. Attwood, *Creating the New Soviet Woman: Women's Magazines as Engineers of Female Identity, 1922-53,* Studies in Russian and East European History and Society (Palgrave Macmillan UK, 1999).

30 Fidelis, *Women, Communism, and Industrialization in Postwar Poland,* 100-101.

31 „პარტიული კომიტეტის სხდომის ოქმები“ (ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტის ცენტრალური ლაბორატორიის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, 1960), შსს-ს პარტიული არქივი.

32 „პარტიული კომიტეტის სხდომის ოქმები“ (ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტის ცენტრალური ლაბორატორიის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, აპრილი 1963), შსს-ს პარტიული არქივი.

„ქიმიური ლაბორატორიის 38 ქალიდან 7 ქალს აქვს პარტიული დავალება, პროფკავშირულ საქმიანობაში ჩაბმულია 5 ქალი, დანარჩენი 26 ქალი არ არის ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ ქალების პარტიული მუშაობა თვითდინებაზეა დამყარებული. ისინი არ აწყობენ საჭირო ლექციებს და მოხსენებებს მათი როლისა და საქმიანობის შესახებ, არ ხდება მათი შეკრება და თავიანთი მუშაობის ურთიერთ გამოცდილებათა გაზიარება“.[33]

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პირველწყაროდ მოყვანილი პარტკომის სხდომის ოქმები და პარტკომის წევრების მიერ წამოჭრილი საკითხები პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული, რადგან ეს თემები სინამდვილეში მაღალი პოლიტიკური ეშელონებიდან წამოსული პოლიტიკური დაკვეთის ექო თუ გამოძახილი იყო, და მას მხოლოდ რიტუალური ანდაც პერფორმატიული ხასიათი ჰქონდა. ამ თემაზე რეფლექსირებს ალექსეი იურჩაკის ნაშრომიც, სადაც ის გვიანი სოციალიზმის პერიოდში საბჭოთა სამთავრობო ეშელონების მიერ გამოყენებულ პერფორმატიულ და ჰიპერნორმალიზებულ ენაზე წერს. ავტორის თანახმად, ამ პერიოდის პარტიულ თუ კომიტეტურ სხდომებზე წამოჭრილი საკითხები, როგორც წესი, დაცლილი იყო შინაარსისგან და სარიტუალო ხასიათი ჰქონდა.[34]

ისტორიული მოცემულობის აქ მოყვანილი ანალიზი ააშკარავებს, რომ გვიანი სოციალიზმის პერიოდი სავსე იყო წინააღმდეგობებით. საჯარო დისკურსის დონეზე, ამ პერიოდში მოხდა ქალთა როლის და მათი საჯარო ფუნქციის რეპოლიტიზება, რაც ხშირ შემთხვევაში „ქალური“ თვისებების – დედობრივი ზრუნვა, მაღალი პასუხისმგებლობა, თავგანწირვა, ორგანიზებულობა, დისციპლინირებულობა – ინსტრუმენტალიზებით და ესენციალიზებით ხდებოდა. თუმცა, ქალთა მიმართ გვიანი სოციალიზმის ზევიდან მართულ ძალაუფლებრივ პოლიტიკას წინა პერიოდებისგან ის განასხვავებდა, რომ ამ შემთხვევაში ქალები აქტიურად იყენებდნენ არსებულ ღია პოლიტიკურ მოცემულობას სათავისოდ და სოციალური მობილობის შესაძლებლობებს ხელიდან არ უშვებდნენ. ცხადია, სოციალური მობილობის და დაწინაურების ეს შესაძლებლობები ყველა ქალისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. ამიტომაც, მათი უმეტესობა, ვინც ამგვარ წამახალისებელ მექანიზმებს ვერ ხედავდა, შრომის თუ პარტიულ-იდეოლოგიური მარათონის მიღმა ამჯობინებდა ყოფნას.

დაბოლოს, გვიან სოციალიზმში გენდერულ და ქალთა პოლიტიკას ისიც გამოარჩევდა, რომ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ქალთა წარმატებულობის სოციალურ ინჟინერიას და წარმატებულ ქალთა სახე-ხატების აქტიურ წარმოებას. შესაბამისად, თუ 1930-იანი წლების ჟურნალ-გაზეთების მთავარ აქცენტს საბჭოთა ქალების ბედნიერებაზე აკეთებდნენ და საქართველოს „ყველაზე ბედნიერ ქალთა ქვეყნად“ აცხადებდნენ,[35] 1960-იანი

33 „პარტიული კომიტეტის სხდომის ოქმები“ (ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტის ცენტრალური ლაბორატორიის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, დეკემბერი 1959), შსს-ს პარტიული არქივი.

34 ‘Chapter 3. Ideology Inside Out: Ethics and Poetics’ (Princeton University Press, 2005), 77-125.

35 Maia Barkaia, ‘“The Country of the Happiest Women“?’, in Gender in Georgia, ed. Maia Barkaia and Alisse Waterston, 1st ed., Feminist Perspectives on Culture, Nation, and History in the South Caucasus (Berghahn Books, 2018), 33-46.

და 1970-იანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთები – „დროშა“, „მნათობი“, „ახალგაზრდა ჟურნალისტი“, „საქართველოს ქალი“, „ფერომდნობელი“ – ამჯერად წარმატებული და რეალიზებული ქალების ისტორიებით ჭრელდებოდა, სადაც წარმატების მთავარ ფორმულას სოციალიზმისადმი მათ თავდადება წარმოადგენდა.

თეთრი ხალათი და ბეწვის ქურქი: მეტალურგი ქალის კონტრასტული აგენტობა გვიან სოციალიზმში

„ბუნების ამ „სუსტმა“ არსებამ – ქალმა გადაწყვიტა მისწვდეს რკინის საიდუმლოებას, დაეუფლოს მისი დამუშავების ტექნოლოგიას. ეს მეტად მამაკაცური საქმეა და ფრიად გაბედული ფიქრი იყო მაშინ, როცა არამც თუ ქალი, არამედ ჩვენში მამაკაციც კი თითზე ჩამოსათვლელი იყო მეტალურგიის დარგში. მან მუშაობა რიგით ლაბორანტად დაიწყო, რის შემდეგაც საკვლევ-სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელად დაწინაურდა“, – გაზეთ „ფერომდნობელის“ ამ პროფილში საუბარი შაზინა გოცირიძეზეა, ანალიტიკური ქიმიის დოქტორსა და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორზე, რომელიც 1971 წლის გაზაფხულზე, ამ ნომრის გამოსვლისას, ახალი დაწინაურებული იყო რიგითი ლაბორანტიდან საკვლევ-სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელად. ამასთან ერთად, ის ანალიზური ქიმიის კათედრაზე მაძიებლადაც ირიცხებოდა. 7 წლის შემდეგ, 1978 წლისთვის, შაზინა გოცირიძე იყო პირველი ქალი, ვინც ფეროს ცენტრალური ლაბორატორიის ხელმძღვანელი გახდა:

> „ფეროს ქიმიის ლაბორატორიაში უფროსი ყოველთვის კაცი იყო. მე რომ მივედი ფეროში, მაშინ ამ პოზიციას იკავებდა აკაკი მეტრეველი. ეს იყო 1964 წელი. მან რამოდენიმე წელში რიგითი ლაბორანტიდან ჯგუფის ხელმძღვანელად დამაწინაურა. შემდეგ ხდებოდა ჩემი ეტაპობრივი დაწინაურება და ბოლოს ლაბორატორიის უფროსის თანამდებობა დავიკავე“.[36]

შაზინა გოცირიძის ცხოვრებას, რომლის დიდი ნაწილიც გვიანი სოციალიზმის პერიოდში განვითარდა, დინამიკური და მრავალმხრივი ტრაექტორია ჰქონდა. ამის საილუსტრაციოდ შაზინამ პირადი არქივიდან თავისი ცხოვრების ამსახველი ორი სხვადასხვა ფოტო გამიზიარა. პირველი ფოტო 1970-იანი წლების დასაწყისში არის გადაღებული, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. შაზინა ამ ფოტოზე რენტგენოფლუორესცენტულ აპარატთან დგას, რომლის შერჩევაზე, ჩამოტანაზე და დანერგვაზეც თვითონ იყო პასუხისმგებელი. მისი სიტყვებით, ეს აპარატი ანალიზურ ქიმიაში „ბოლო სიტყვას“ წარმოადგენდა, რომლის შეძენასაც საინტერესო ისტორია ჰქონდა:

36 გოცირიძე შაზინა, ზეპირი ისტორია, მაისი 2021.

შაზინა გოცირიძე. ფოტო პირადი არქივიდან.

„მე წავედი „არიოლში“ (Гипроприбор Орёл) – მოსკოვთან ახლოს მდებარე სამეცნიერო აპარატურების შემქმნელ ქარხანა-პავილიონში. უკან რომ დავბრუნდი, მოვამზადე ანგარიში – ღირებულება რა იყო, ფუნქციები რა ჰქონდა და ჩვენ გამოგვადგებოდა თუ არა. ამ გამოფენაზე ასევე გავარკვიე, რომ საზღვარგარეთის წარმოების ღირდა ნახევარი მილიონი დოლარი, და ქარხანას ჰქონდა მხოლოდ 8000 დოლარის დახარჯვის შესაძლებლობა. ამიტომ მომიწია მომეძებნა ადგილობრივი წარმოების, რომელიც უცხოურის ანალოგი იქნებოდა“.[37]

მეორე ფოტო 1977 წელს არის გადაღებული პარიზში. ამ ფოტოზე ის ეიფელის კოშკის ფონზე პოზირებს და მოდურ ბეწვის ქურქშია გამოწყობილი. როგორც თვითონ მიხსნის, ამ ქურქის შეძენა „დახლქვეშ“ მოუწია, თუმცა ამაზე ვერავინ მოედავებოდა. მისთვის პარიზში გამგზავრება დიდი ხნის ოცნება იყო, და როგორც კი ტურისტული საგზური გამოჩნდა, ამ შანსს ხელიდან ვერ გაუშვებდა. პარიზიდან მან უცხოური სუნამო, ტკბილეული თუ სუვენირები ჩამოიტანა, რომელიც შემდეგ დიდხანს ახსენებდა ამ დაუვიწყარ მოგზაურობას. დღეს ეს ფოტო მასში ნოსტალგიას აღძრავს ახალგაზრდობასა და წარსულ ცხოვრებაზე.

37 გოცირიძე.

შაზინა გოცირიძე. ფოტო პირადი არქივიდან.

თუ პირველ ფოტოზე შაზინა გოცირიძე გვიანი სოციალიზმის იმ ქალის სახე-ხატს ირგებს, რომელიც მძიმე მრეწველობაში დასაქმებულ წარმატებულ პროფესიონალ ქალს წარმოადგენს – საქმიანი პოზით, საწარმოო თეთრ ხალათში, მკაცრი სტილით და მანერით, მეორე ფოტოზე ის სრულიად განსხვავებულ აგენტობას განასახიერებს. პარიზში გადაღებულ ფოტოზე შაზინა გოცირიძე გვიანსოციალისტური პერიოდის მატერიალურად და სოციო-კულტურულად რეალიზებული ქალია – საზღვარგარეთ, ეიფელის კოშკის ფონზე, სრულიად უცხოდ და განსხვავებულად შემოსილი, ფემინური და თავდაჯერებული. ამ ფოტოებზე კონტასტულია არათუ ფემინურობის ფორმები, არამედ მისი მორგებისა და განსახიერების პერსპექტივა, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ფოტოებზე აღბეჭდილი ქალის აგენტობას, ავლენს სისტემის შიგნით მისი მოქნილობის თუ პერფორმატიულობის არეალს.

ამასთან, ერთი შეხედვით კონტრასტულ ფოტოებს და მათ ფოკუსში მოქცეულ განსხვავებული იდენტობის მქონე ფიგურებს, რომლის უკანაც ერთი ქალის ისტორია დგას, გვიანი სოციალიზმის პერიოდის წარმატების ინჟინერია აერთიანებს. ერთ სურათზე ჩვენ წარმატებულ ქიმიკოსს ვხედავთ, რომელიც საბჭოთა უბრალოებით უკეთებს დემონსტრირებას ანალიზურ ქიმიაში ბოლო მოდელის აპარატს, ხოლო მეორე ფოტოზე – წარმატებულ ქალს, რომელიც საკუთარ თავს ანებივრებს და პირადი სურვილებისა თუ ინტერესების დაკმაყოფილებაზე უარს არ ამბობს. მიუხედავად იმისა, რომ პარიზში მოგზაურობა და ლამაზი ბეწვის ქურქით შემოსვა შესაძლოა მსოფლიოს ნებისმიერი ქალის სურვილი და მისწრაფება ყოფილიყო, შაზინა გოცირიძის შემთხვევაში ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო მისწრაფება – ეს საკუთარი აგენტობის რეალიზებას უდრიდა.

შაზინა გოცირიძე მეორე თაობის ფეროელია. მამა 1933 წლიდან ელექტროინჟინრად მუშაობდა ფეროში, ხოლო დედა – თინათინ ალავიძე, წყალმომარაგების საამქროს ეკონომისტი იყო. შაზინა და მისი და, ორივე მეტალურგიის დარგით იყვნენ გატაცებულნი – „დიდი როლი შეასრულა გარემომ და მეტალურგიით ჩვენი დაინტერესება, უპირველესად, წინამორბედი მეტალურგი ქალების გავლენით მოხდა – ელია ნადირაძის და თამარ ახობაძის, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ანალიზური ქიმიის განვითარებას ფეროს ქარხანაში“, – ამბობს შაზინა და იხსენებს იმ საღამოებს, როდესაც მათ სახლში სტუმრად ცნობილი ფეროელი მეტალურგები, ქიმიკოსები და ინჟინრები იკრიბებოდნენ, რათა სხვა მრავალ თემასთან ერთად, ფეროს მუშაობის საკითხებიც განეხილათ.

1966-1972 წლებში შაზინა გოცირიძემ „წარმოებიდან მოუწყვეტლად“ დაიცვა დისერტაცია ანალიზურ ქიმიაში, სადაც მისი საკვლევი თემა იყო იონიტების ტეტრა აციტატული ფორმის გამოყენება მანგანუმის ანალიზურ ქიმიაში: „ეს თემა იმიტომ ავირჩიე, რომ ამ დროს გახმაურებული იყო ელექტროლიტური მანგანუმის მიღება აგლაძის მეთოდით, რაზეც ცალკე საამქრო მუშაობდა. და სწორედ ამ მეთოდოლოგიით გავწმინდე შენადნობი და შედეგად მივიღე ზესუფთა ელექტროლიტური მანგანუმი“, – მიხსნის ქალბატონი შაზინა. მისივე თქმით, დისერტაციის დაცვას ვერ შეძლებდა, რომ არა ქარხნის ადმინისტრაციის ხელშეწყობა. „ჩემს ენთუზიაზმს და შემართებას ყველა ჩემი ზემდგომი ამხანაგი იზიარებდა და, შესაბამისად, მაღალი იყო მხარდაჭერაც“, – მიყვება ის. განსაკუთრებული იყო დაფასება როგორც ფეროს თანამშრომლების, ასევე პარტიის მხრიდან. შაზინა წლების განმავლობაში ადგილობრივი პარტკომის მდივნობასაც ითავსებდა. ამასთან, მის სახელს უკავშირდება არაერთი რაციონალიზატორული იდეა, რაც წარმოების გაუმჯობესებას, საწარმოო რესურსების დაზოგვასა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას ემსახურებოდა.

როგორც თვითონ იხსენებს, ამ პერიოდში მისი ანაზღაურება მაღალი იყო. ამის მიუხედავად, ფეროში მუშაობას რეპეტიტორობასაც უთავსებდა – „ეს დამატებითი ფული იყო, რომელიც სულაც არ ჩამოუვარდებოდა ფეროს ხელფასს და არასდროს არ იყო ზედმეტი“. შაზინასთვის ფული არა თვითმიზანი, არამედ დამოუკიდებლობის და სურვილების დაკმაყოფილების საშუალება იყო:

> „მიტაცებდა მოგზაურობა... ქვეყანა მაქვს მოვლილი – თუ აზიის, თუ ევროპის კონტინენტები, იქ იაპონია, აფრიკა. ეს იყო ტურისტული მოგზაურობები. პირველად, მახსოვს, ინგლისში, გაოცებული ვიყურებოდი ირგვლივ. მიყვარდა ჩაცმა, განსაკუთრებულს და გამორჩეულს ვეძებდი. გარდა ამისა, შევძელი და ჩემს საკუთარ სოფელში, რაჭაში ძალიან კარგი დაჩა ავიშენე. ასევე, მიყვარდა მანქანები. ერთი სამი მანქანა მაინც გამოვიცვალე მაგ პერიოდში. 1978 წელს შევიძინე პირველი მანქანა, როგორც კი ლაბორატორიის დირექტორად დავინიშნე და ზესტაფონში პირველი ქალი ვიყავი, ვისაც მანქანა ჰყავდა – ეს იყო წითელი ლადა“.[38]

38 გოცირიძე.

შაზინა გოცირიძე არასდროს დაოჯახებულა – „არ გავთხოვდი, ესე გადავწყვიტე. ცხოვრებაში არ დამიდგა ესეთი ეტაპი, ალბათ იმიტომაც, რომ ძალიან ვიყავი გატაცებული ჩემს ჭკუაზე ცხოვრებით“, – ამბობს ის. შაზინას პირადი გადაწყვეტილება დაოჯახებასთან დაკავშირებით უფრო ზოგად ისტორიულ კონტექსტს ეხმიანება. საარქივო წყაროები მიანიშნებს, რომ წარმატებულ ფეროელ მეტალურგ ქალებს შორის ცოტა იყო ისეთი, ვინც დაოჯახდა.[39] ინდუსტრიულ წარმოებაში ქალთა დაოჯახების საკითხზე ყურადღებას მალგოჟატა ფიდელისიც ამახვილებს, როდესაც პატარა ინდუსტრიული ქალაქების დემოგრაფიას მიმოიხილავს. ის წერს, რომ ხშირად ასეთ ქალაქებში, სადაც ზემოდან მართული პოლიტიკის შედეგად ინდუსტრიულ სფეროებში ქალთა დიდი რაოდენობა საქმდებოდა, შრომითი სტრუქტურის ეს ცვლილება გავლენას ახდენდა „ტრადიციულ ეთოსზე“, რომელიც „გასათხოვარ“ ქალს, რომელიც მაღაროში ან ქარხანაში მუშაობს, საშინაო საქმეებისთვის „შეუსაბამოდ“ მონიშნავდა. ამას ემატებოდა თავად ქალების დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაც, რაც მათი სექსუალური ცხოვრების ავტონომიურობაზე ახდენდა გავლენას. წიგნის ამ ნაწილში, ფიდელისის მიერ მოშველიებული სტატისტიკის თანახმად, ინდუსტრიულ სფეროში დასაქმებულ ქალებს შორის 88%-ზე მეტი არ იყო დაოჯახებული, მაშინ როდესაც სხვა სფეროებში დასაქმებულ ქალთა შორის ეს მაჩვენებელი 40-50%-ს არ აღემატება.[40]

დასკვნა

ზესტაფონის ფეროს მეტალურგ ქალთა ისტორიები, მათ შესახებ დაწერილი ნახევრად მხატვრული სტატიები საგანძურია გვიანი სოციალიზმის პერიოდის გენდერული პოლიტიკის და ქალთა როლების გასაანალიზებლად, თუმცა ეს არ არის ერთადერთი საგანძური. ასეთივე ენთუზიაზმით იქმნებოდა ქალი მასწავლებლების, ექიმების, აგრონომების სახე-ხატები და მათი წარმატების ისტორიები საჯარო ველებში. თუმცა ის, რაც მეტალურგ ქალებს გამოარჩევს სხვა ქალებისგან, არის, ერთი მხრივ, მათ „ვაჟკაცობაზე“, „გამბედაობასა“ და „მამაცობაზე“ ხაზგასმა, ხოლო მეორე მხრივ – მათი „სუსტ არსებებად“ და „დედობრივი ზრუნვით“ გამსჭვალულ სუბიექტებად მონიშვნა. ამ კონტრასტის გარდა, როგორც კვლევამ ცხადყო, გვიან სოციალიზმს სხვა არაერთი წინააღმდეგობრივი რეგისტრიც გამოარჩევდა.

მათ შორის იყო კონტრასტი რევოლუციის პერიოდის ბოლშევიკ ქალთა რადიკალურ იდეებსა და გვიანი სოციალიზმის პერიოდის გენდერულ პოლიტიკას შორის, სადაც ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ქალთა ინდივიდუალური წარმატება მთლიანი სისტემის წარმატებად ფორმდებოდა. შესაბამისად, ნაცვლად საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლილებისა, გვიანმა სოციალიზმმა „ახალი ქალის“ სოციალურ ინჟინერიას მიმართა და წარმატებულობის ახალი სახე-ხატები შექმნა.

39 ამის დასტურია ქეთევან ლომთაძის მიერ 2017 წელს შედგენილი კრებულიც, სადაც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ინჟინერ-მეტალურგი ქალების მოკლე ისტორიებია თავმოყრილი. ქალთა ბიოგრაფიების კითხვისას ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მეტალურგ ქალთა უმეტესობა არ დაოჯახებულა.

40 Fidelis, *Women, Communism, and Industrialization in Postwar Poland,* 135.

მრავალფეროვანი და კონტრასტული იყო ამ პერიოდის ქალთა აგენტობებიც. მეტალურგ ქალთა ისტორიები ცხადყოფს, რომ ეს ქალები ხშირად ირგებდნენ განსხვავებულ იდენტობებს და გამომუშავებული ჰქონდათ ამ განსხვავებულობის შეთავსების უნარიც. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის ქალთა წარმატების სახე-ხატი მხოლოდ იდეოლოგიურ სიწმინდემდე ან სამსახურებრივ პროფესიონალიზმამდე არ დაიყვანებოდა, არამედ, ამასთან ერთად, ის ინდივიდუალიზმის, მატერიალისტური სურვილების დაკმაყოფილების, განსხვავებულობის სინთეზით იწარმოებოდა.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ გვიანი სოციალიზმის ისტორიულ კონტექსტში, ქალთა გაძლიერებაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფსონები კეთდებოდა, თუმცა გაძლიერება ხშირ შემთხვევაში ქალთა თანასწორუფლებიანობასა და ემანსიპაციაში არ ითარგმნებოდა. ამ პოლიტიკის მიღმა ძალიან ბევრი ქალი რჩებოდა, და მხოლოდ ვიწრო პროფესიულ ჯგუფებს და პარტიის წევრებს თუ მიუწვდებოდათ ხელი ამ ღია შესაძლებლობებზე.[41] შაზინა გოცირიძის პირადი ისტორია ამაზე მიუთითებს – პროფესიულად დაწინაურებულ და პარტიულად აქტიურ ქალებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, სათავისოდ გამოეყენებინათ არსებული პოლიტიკური მოცემულობა, თან ისე, რომ საკუთარ სურვილებზე უარი არ ეთქვათ და პირადი ინტერესი კოლექტიური ინტერესის გამო გვერდზე არ გაეწიათ. ერთგან ქიმიკოსის ხალათში შემოსილი, ხოლო მეორეგან ბეწვის ქურქში გამოწყობილი შაზინა გვიანი სოციალიზმის წარმატებული ქალის ერთ-ერთი სურათ-ხატია. მისი ცხოვრებისეული ტრაექტორია ისტორიის გააზრების ახალ შესაძლებლობებს აჩენს, სადაც უფრო მეტ კითხვას და ბუნდოვანებას ვაწყდებით, ვიდრე მზა პასუხებს.

მასთან საუბრისას სულ მიჩნდებოდა კითხვა იმაზე, თუ სად გადიოდა ზღვარი საბჭოთა სისტემით და იდეოლოგიით კონსტრუირებულ სუბიექტურობის ფორმასა და მის ინდივიდუალურ აგენტობას შორის, იყო კი მის მიერ განსახიერებული წარმატებული და რეალიზებული ქალი საბჭოთა პროექტი? თუ ეს მისი ინდივიდუალურობის, სოციალური გარემოს, ოჯახის ან ხასიათის დამსახურება იყო? ეს კითხვები, თავის მხრივ, კიდევ უფრო დიდ და ფართო კითხვებს ეხმიანება გვიანი სოციალიზმის ქალთა როლის და გენდერული პოლიტიკის შესახებ – გვიან სოციალიზმში ქალთა სოციალური და კულტურული სახე-ხატების გარდაქმნა ცალსახად პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენდა, თუ ის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სოციალური და ეკონომიკური დინამიკით იყო ნაკარნახევი? რა როლი ითამაშა 1960-იან წლებში საერთაშორისო დონეზე ქალთა ემანსიპატორული იდეების გაძლიერებამ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ცვლილებაზე? და, ბოლოს, მსგავსი სოციო-ეკონომიკური მოცემულობის და პოლიტიკური შესაძლებლობის პირობებში, მაინც რატომ ვერ მოხდა ტრადიციულად ფორმირებული ქალთა კულტურული როლების და საზოგადოებაში პატრიარქალური ნორმების რღვევა?

ამ კითხვებზე პასუხი სამომავლო კვლევების თემად უნდა იქცეს, რათა წარსულის გააზრების და ისტორიული ანალიზის გზით, შესაძლებელი გახდეს არსებული კონტექსტიდან ამოზრდილი და პოლიტიკურად მედეგი ქალთა ემანსიპატორული პროექტის რეალიზება.

41 აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული ნაშრომი, დროითი და სხვა შეზღუდვების გამო, ვერ უღმავდება გვიან სოციალიზმში ქალთა საოჯახო შრომის და საშინაო სფეროში უხილავი შრომის საკითხებს. შესაბამისად, რთულია ვისაუბროთ ამ პერიოდი გენდერულ პოლიტიკაზე ამომწურავად, თუკი ქალთა საოჯახო შრომაში ჩართულობის, საშიანო შრომის ორგანიზების და მისი გენდერული დანაწილების საკითხებს არ გამოვიკვლევთ.


завідувачка лабораторії Київської ковбасної фабрики
прохідна
несун*
* цікаво, що для цього терміну не існувало фемінітиву

უკრაინელი ქალები საბჭოთა ჩრდილოვანი სასურსათო ბაზრის შექმნაში (1970-იანი წლები – 1980-იანი წლების შუა პერიოდი)

ოლენა სტიაჟკინა
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,
უფროსი მეცნიერ-მკვლევარი, უკრაინის ისტორიის მე-20 საუკუნის
მეორე ნახევრის შემსწავლელი დეპარტამენტი, უკრაინის ისტორიის
ინსტიტუტი, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

აბსტრაქტი

ქალთა მონაწილეობა სურსათით არალეგალურ ვაჭრობაში, 1970-იან წლებსა და 1980-იანი წლების პირველ ნახევარში, იყო საკმაოდ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, საბჭოთა გენდერული კონტრაქტის „დედა, რომელიც დასაქმებულია“ განხორციელებას წარმოადგენდა, მეორე მხრივ კი, საზოგადოების სასურსათო სტანდარტების თვალსაჩინო ზრდას უწყობდა ხელს. წინამდებარე სტატიაში, ოფიციალური დოკუმენტების, ზეპირად გადმოცემული ისტორიული მასალების, მოცემული პერიოდის მხატვრული ტექსტების საფუძველზე, ადგილობრივ ფოლკლორზე და სატირული ჟურნალ „პერეცის“ ნახატებსა და სტატიებზე დაყრდნობით, ანალიზს ექვემდებარება ქალების ჩრდილოვან გარიგებებში მონაწილეობის, მათ მიერ ჩრდილოვანი სასურსათო მექანიზმების გამოყენების ან/და შექმნის მიზეზები, განხილულია სასურსათო თაღლითობის გენდერული ნიშნით პრაქტიკის დამკვიდრების, შრომის ბაზრის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის ზეგავლენა ქალების ჩრდილოვან გარიგებებში ჩართვაზე.

ამოცანები, მეთოდოლოგია, წყაროები

სურსათის ჩრდილოვანი ბაზარი წარმოადგენდა (არაოფიციალური, არაფორმალური) საბჭოთა ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტს 1970-იან და 1980-იანი წლების პირველ ნახევარში. იგი ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკური პრაქტიკის, არალეგალური და ნახევრად ლეგალური ურთიერთქმედების კომპლექსური სისტემა სხვადასხვა აქტორს შორის (პარტიული, სამართალდამცავი ორგანოების, ეკონომიკური, სავაჭრო, სადისტრიბუციო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო საზოგადოების) და მოიცავდა „არალეგალური" საკვები პროდუქტების წარმოქმნისა და გავრცელების ათეულობით სცენარს (სამსახურიდან ქურდობა, „ჩამოწერით" მანიპულირება, მიწერები ანგარიშებში, წონითა და კერძების მოცულობით თაღლითობა „ობშეპიტ", სპეკულაციები, სურსათის დეფიციტის ხელოვნური შექმნა და ა.შ.).[1] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოვანი ბაზარი არ იყო ბაზარი ამ ტერმინის კლასიკური გაგებით. ამ განსაზღვრების გამოყენებით, ჩვენ ასევე ვგულისხმობთ და ვიყენებთ სინონიმურ, ისტორიოგრაფიულად დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას, როგორიცაა არაფორმალური გარიგებები, არალეგალური საქონელბრუნვა, ნახევრად ლეგალური საქმიანობა და ა.შ.

უკრაინელი ქალები[2] იყვნენ არა მხოლოდ მომხმარებლები, არამედ სასურსათო ბაზრის ჩრდილოვანი საქონელბრუნვის აქტივატორებიც. სტატია ყურადღებას ამახვილებს არალეგალურ სასურსათო საქონელბრუნვაში ქალების მონაწილეობის პრაქტიკის ანალიზზე, ბუნდოვან გარიგებებში მონაწილეობისა და ჩართვის მიზეზებზე, საბჭოთა გენდერული კონტრაქტის „დედა, რომელიც დასაქმებულია" ზეგავლენის პრობლემატიკასა და საბჭოთა ქალების ოფიციალურ სახეზე – ფრაგმენტული ან სისტემური ჩართულობით არაფორმალურ სასურსათო გარიგებებში, 1970-იან წლებსა და 1980-იანი წლების შუა პერიოდში.

არაფორმალური/არასახელმწიფოებრივი (ლეგალური, ნახევრად ლეგალური და არალეგალური) ეკონომიკური აქტივობის სწრაფ ზრდას და საყოველთაო გავრცელებას, მასზე ინფო-

1 Gregory Grossman, "Notes on the Illegal Private Economy and Corruption," in *Soviet Economy in a Time of Change: A Compendium of Papers* (Washington, DC: Government Printing Office, 1979), 834–55; Alena V. Ledeneva, *Russia's Economy of Favours: "Blat,"* Networking and Informal Exchange (Cambridge: Cambridge University Press, 1998); Valeriy M. Rutgaizer, "The Shadow Economy in the USSR," *Berkeley-Duke Occasional Papers on the Second Economy in the USSR,* paper no. 34 (February 1992), http://www.ucis.pitt.edu:nceeer:1992-900-03-Rutgaizer.pdf; Vladimir G. Treml, Gregory Grossman and Kimberly C. Neuhauser. "A Study of Labor Inputs into the Second Economy of the USSR," *Berkeley-Duke occasional papers on the second economy in the USSR,* paper no. 33 (Bala Cynwyd, PA: WEFA Group, 1992); Vladimir Treml and Michael Alexeev, "The Second Economy and the Destabilizing Effect of its Growth on the State Economy in the Soviet Union: 1965–1989" (Durham, N.C: Duke University, 1993), http://public.econ.duke.edu/Papers//Other/Treml/2ndecon.pdf; სვეტლანა ბარსუკოვა, *არაფორმალური ეკონომიკა: ეკონომიკური და სოციოლოგიური ანალიზი* (მოსკოვი: გუ ვშე გამომც. სახლი, 2004); ოლგა ბესონოვა, *რუსეთის დარიგებული ეკონომიკა: ევოლუცია ტრანსფორმაციის გზით* (მოსკოვი: რუსეთის პოლიტიკური ენციკლოპედია (როსპენ), 2006); როჯერ კირანი და თომას კენი, *სოციალიზმის გამყიდველები: ჩრდილოვანი ეკონომიკა სსრკ-ში* (მოსკოვი: ალგორითმი, 2010); ევგენი ეველსონი, *სასამართლოები ეკონომიკურ საკითხებზე სსრკ-ში* (სამოციანი წლები) (London: Overseas Publications Interchange, 1986).

2 ტერმინში „უკრაინელი ქალები" მოიაზრება არა ეთნიკური, არამედ პოლიტიკური და საზოგადოებრივი საფუძვლები. კატეგორიაში „უკრაინელი ქალები" იგულისხმება არა მხოლოდ უკრაინელი ქალები, არამედ რუსი ქალებიც, ასევე ებრაელები, ბოშები, ბელორუსები – ყველა, ვინც შესაბამის პერიოდში ცხოვრობდა უკრაინის სსრ-ში.

რმაციის ხელმისაწვდომობას და დიდი რაოდენობის ადამიანთა ჩართულობას ასეთ საქმიანობაში, ჯეიმს მილარმა უწოდა „მცირე გარიგება“[3]. გარიგების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ურბანული მოსახლეობის ლოიალურობის სანაცვლოდ, ბრეჟნევის სახელისუფლებო ორგანოებმა დაუშვეს მცირე კერძო ეკონომიკური საქმიანობის მთელ რიგ სფეროთა განვითარება (ზოგი მათგანი ლეგალური იყო, ზოგი ჩრდილოვანი და ზოგიც აშკარად უკანონო).[4] პარტიის მიერ დეკლარირებული მოქალაქეთა სამომხმარებლო ინტერესების მხარდაჭერის ფასი იყო მოჩვენებითი, საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი პოლიტიკური პრინციპებისა და ლოზუნგებისადმი ერთგულება ან, სულ მცირე, ინდიფერენტულობა მათ მიმართ.

„მცირე გარიგების“ კონცეფცია წარმოადგენს ნაყოფიერ მეთოდოლოგიურ საფუძველს დასახული მიზნების განხილვისა და ანალიზისთვის, რადგან ამ სფეროში შეიძლება გამოიკვეთოს არა მხოლოდ უპიროვნო სტრუქტურული და სისტემური ურთიერთქმედებები, რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკურ, სოციალურ, სამომხმარებლო პროცესებს, არამედ[5] მასში ჩართულ აქტორთა უნარს, როგორც მამოძრავებელი ძალის – მონაწილეთა, დამკვეთთა, მომხმარებელთა, კრიტიკოსთა – სოციალურ პრაქტიკას, რომელიც დაკავშირებულია მოხმარების მნიშვნელოვანი სეგმენტის – ჩრდილოვანი სასურსათო ბაზრის ათვისებასა და შექმნასთან. ინოვაციისადმი სწრაფვა, როდესაც ძველი წესები არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სოციალური დიქტატისადმი გამოწვევის წინარეფლექსური უნარით, სოციალურად განპირობებული როლების ფარგლებში და მის გარეთ მოქმედების უნარით, გადაწყვეტილებათა რეტროსპექტული ანალიზის უნარით[6] – ყველა ამ ტიპის ქმედუნარიანობა უზრუნველყოფდა სუბიექტურობის არსებობას იმ სიტუაციაშიც კი, როდესაც უნიათობით და უპასუხისმგებლობით ვლინდებოდა სოციალური რეაქციის თითქმის ერთადერთ შესაძლებლობად საკვები პროდუქტების ნაკლებობასა და დეფიციტზე, რიგებზე, უხარისხო საქონელსა და კერძებზე და ა.შ. საბოლოო ჯამში, სწორედ სურსათის ჩრდილოვანი ბაზრის მონაწილეთა ქმედუნარიანობა იძლევა შესაძლებლობას, გაანალიზდეს იგი არა როგორც უპიროვნო ძალა, რომელიც ჩამოყალიბდა ოფიციალური საბჭოთა ეკონომიკის ველში და მონუსხა მომხმარებლები – თაღლითური გარიგებების მსხვერპლად აქცია ისინი, არამედ განხილულ იქნეს როგორც სოციალური ურთიერთქმედების კომპლექსური სისტემა, ცვალებადი წესებისა და მოზიდვის მრავალფეროვანი ტაქტიკით.

არსებული წყაროები, რომლებიც საფუძველს გვაძლევს გავაანალიზოთ ქალის როლი სურსათის ჩრდილოვანი ბრუნვის შექმნასა და მოხმარებაში, ავლენენ ქმედებათა აგენტობას, ფორმირდება დოკუმენტთა ნაკრებიდან, მათ შორის, უკრაინის სახალხო კონტროლის კომიტეტის წარმომადგენლების მიერ საზოგადოებრივი კვებისა და სავაჭრო დაწესებულე-

3 ვერა დანჰემის მიერ წამოყენებული ცნობილი კონცეფცია, სტალინსა და საშუალო ფენას შორის „დიდი გარიგების“ შესახებ, რომელიც გარკვეულ სტაბილურობასა და სოციალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს, გახდა ალუზია. დეტალურად: Vera Dunham, *In Stalin's Time: Middleclass Values in Soviet Fiction* (New York: Cambridge University Press, 1976).

4 James R. Millar, "The Little Deal: Brezhnev's Contribution to Acquisitive Socialism," *Slavic Review* 40, № 4 (1985): 697.

5 Margaret Archer, Being Human: The Problem of Agency (Cambridge: Cambridge University Press, 2000); Alex Callinicos, *Making History: Agency, Structure and Change in Social Theory* (Ithaca, New York: Cornell University Press, 1988); Mustafa Emirbayer and Ann Mische, "What is agency?" *American Journal of Sociology* 103, no. 4. (January 1998): 962–1023; Stephan Fuchs, "Beyond Agency," *Sociological Theory* 19, no. 1 (March 2001): 24–40.

6 Steven Hitlin and Glen H. Elder, "Time, Self, and the Curiously Abstract Concept of Agency," *Sociological Theory* 25, no. 2 (June 2007): 170–91.

ბათა ინსპექტირების მასალებიდან, საჩივრებიდან უმაღლესი ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებში უკანონობისა და თაღლითობის შესახებ, სისხლის სამართლის საქმეებიდან, სტატისტიკიდან. ქალთა ჩრდილოვანი სამომხმარებლო მოქმედების შესწავლაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზეპირსიტყვიერი ისტორიული მასალები, ადგილობრივი ფოლკლორი, ოფიციალური სატირული დისკუსია, მხატვრული ფილმები და კარიკატურები.

ქალთა უფლებამოსილებანი „მცირე გარიგებაში“

შესწავლილი მასალები იმის მტკიცების საფუძველს იძლევა, რომ ქალთა ჩრდილოვან სასურსათო ბაზარში მონაწილეობის მიზეზი იყო „მცირე გარიგების“ გენდერული კონფიგურაცია, დაფუძნებული დასაქმებული დედის საბჭოთა გენდერული კონტრაქტის ლოგიკაზე,[7] ასევე შრომის ბაზრის გენდერულ სეგრეგაციაზე, რომელიც – თავის ძირითად პარამეტრებში – სტაბილური იყო 1970-1980-იან წლებში.

ჯეიმს მილარის[8] მიერ შემოთავაზებული ხელისუფლებისა და საშუალო კლასის თანაარსებობის სოციალური პროცესის გათვალისწინებით „მცირე გარიგების“ კუთხით, აღსანიშნავია, რომ მისი მონაწილეები იყვნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცებიც. თუმცა, დაუწერელი წესებით, ამ გარიგების დებულებათა განხორციელებისას მათ მიიღეს სხვადასხვა უფლებამოსილება და ფუნქცია. როგორც შეილა ფიცპატრიკმა სამართლიანად აღნიშნა, ქალთა ცხოვრების ორგანიზების მთავარი ფუნქცია ქალებს გადაეცათ 1930-იან წლებში, როდესაც მათ წილად ხვდათ ესწავლათ „საქონლის შოვნა, როგორც ლეგალური, ისე არალეგალური გზით, და ესწავლათ მათ ხარისხში გარკვევა“.[9] გვიანი საბჭოთა პერიოდის ვითარებას ის განასხვავებდა, რომ „შოვნის“ არალეგალური პრაქტიკა – ქრთამი, ნეპოტიზმი, „ნაცნობობა“ – არ შეიცავდა რეპრესიის საფრთხეს, თუ სახელმწიფო დისკურსი არ იყო წახალისებული, მაინც დაშვებული იყო. ქალთა უფლებები და მოვალეობები ვრცელდებოდა საქონლის „შოვნის“ პროცესებზე, ბავშვებში (და მამაკაცებში) „გემოვნების“, სტილის ჩამოყალიბებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის ორგანიზებაზე, სათანადო ქცევაზე, წიგნების, ფილმების, სპექტაკლების არჩევაზე და სხვა. გარკვეული გაგებით, დატვირთვა, რომელიც დაკავშირებულია სურსათის მიწოდებასთან, გემოვნების კონტროლთან (როგორც ფიზიოლოგიური, ასევე ესთეტიკური), გახდა მესამე (გარდა სამსახურებრივი და ოჯახური პასუხისმგებლობისა)[10]ავტ.) დამატებითი დატვირთვა ქალებისთვის, – აღნიშნავს პაულინა ბრენი. მკვლევრის აზრით, აღნიშნული მესამე დატვირთვა, ერთი მხრივ, „ქალების ტრადიციული უძლურების ნიშანი იყო“, მეორე მხრივ კი, „მათი ახალი ძალისხმევა გვიანი სოციალიზმის პერიოდში“[11].

7 ანა ტიომკინა და ანა როტკირხი. „საბჭოთა გენდერული კონტაქტები და მათი ტრანსფორმაცია თანამედროვე რუსეთში“. სოციოლოგიური კვლევები 11, (2002): 4–14.

8 Millar, “The Little Deal,“ 694–706.

9 შეილა ფიცპატრიკი, *ყოველდღიური სტალინიზმი. 1930-იანი წლების საბჭოთა რუსეთის სოციალური ისტორია* (მოსკოვი,2008),195.

10 Chris Corrin, *Superwomen and the Double Burden: Women’s Experience of Change in Central and Eastern Europe and the Former Soviet Union* (London: Scarlet Press, 1992).

11 Paulina Bren, “Women on the Verge of Desire: Women, Work, and Consumption in Socialist Czechoslovakia,“ in *Pleasures in Socialism,* ed. David Crowley and Susan E. Reid (Northwestern University Press, 2010), 189.

სასურსათო საზრუნავი: სხვადასხვა საფეხურიდან და დახლის სხვადასხვა მხრიდან

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ მოვალეობათა ჩამონათვალში უმეტესი დრო და რესურსი სჭირდებოდა „სასურსათო საზრუნავს“. სოციოლოგიური პროექტების „ტაგანროგი I, II, III“ შედეგების თანახმად,[12] რომელიც ჩატარდა საბჭოთა სოციოლოგების მიერ 1970-იან და 1980-იან წლებში, ქალებისა და მამაკაცების დროის დანახარჯები 1968-1978 წლების პერიოდში გაიზარდა საშუალოდ 2 საათით კვირაში, ამასთან, ნახევარზე მეტი ამ ნამატიდან (1,4 საათი) საკვების მომზადების პროცესზე მოდიოდა და დაახლოებით 1 საათი – პროდუქტების შეძენაზე.[13] ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით, ქალაქში გათხოვილი დიასახლისი დროის 70%-ს ხარჯავდა სასურსათო საყიდლებზე, მაშინ როდესაც იმავე საქმიანობას ქმარი დროის 4%-ს ანდომებდა, ოჯახის სხვა წევრები – 6%-ს და ყველა ერთად კი – 18%-ს.[14]

შედეგად, გვიანი სოციალიზმის ეპოქაში ქალების „ახალ შესაძლებლობათა“ სივრცედ, ქმედუნარიანობის გამოხატვისა და თვითდამკვიდრების სარბიელად იქცა – სასურსათო ბაზარი, ამ სიტყვის ფართო გაგებით. შესყიდვები ქმნიდა მოთხოვნას, წესების გვერდის ავლით პრაქტიკას, „საპროდუქტო სოლიდარობის“ ქსელებს (როგორიცაა ინფორმაცია, სად და რა „იშოვება“), რაც მუდმივად ავითარებდა პროდუქტების „შოვნის“ უნარ-ჩვევებს, ხელს უწყობდა „არალეგალური“ ფულადი მასების მიმოქცევა-ბრუნვას („ფასის ზედნამატის გადახდა“ ამა თუ იმ გარკვეულ პროდუქტებზე) და ა.შ.

დახლის მეორე მხარეს სასურსათო მაღაზიებსა და კვების ობიექტებში გამყიდველი ქალები „ელოდნენ“ შემსყიდველ ქალებს, მიმტანებს, ჭურჭლის მრეცხავებს, კაფე-რესტორნების საბითუმო ბაზების, სასურსათო კომბინატების გამგეებს და სხვა. საბჭოთა შრომის ბაზრის სპეციფიკა, როგორც ეკონომიკური საჭიროებების, ისე გარკვეული სოციალური შეთანხმების გამო „ქალის“ და „მამაკაცის“ შრომის ცნებაზე, იყო ის, რომ „სახალხო მეურნეობის“ მთელი შტოები მთლიანად ან უპირატესად ფემინიზებული იყო. ვაჭრობა[15] და საზოგადოებრივი კვება კი – მათ შორის ყველაზე ფემინიზებული. 1970 წელს სსრკ-ში აღნიშნული დარგის მუშაკებიდან ქალები შეადგენდნენ 83,2%-ს (988,3 ათასი ადამიანი), 1980 წელს – 85,7%-ს (1249,1 ათასი ადამიანი), 1985 წელს კი – 85,3%-ს (1268 ათასი ადამიანი).[16] კლიფორდ გადის მონაცემებით, საცალო ვაჭრობის დაბალი საფეხურის თანამშრომლები იღებდნენ „სხვა სახის შემოსავალს“ (ქურდობა და ქრთამი) 120,08 კარბოვანცის ოდენობით, რაც 30%-ით აღემატებოდა მათ ოფიციალურ ხელფა-

12 ოფიციალური სახელწოდებაა „საზოგადოებრივი აზრის ფუნქციონირება ურბანულ პირობებში და სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებების საქმიანობა“. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ბორის გრუშინმა, ლეონიდ გორდონმა, ნატალია რიმაშევსკაიამ, ალექსანდრ ჟავორონკოვმა, თამარა დრიდზემ, ივან ლევიკინმა და სხვებმა.

13 ელენა გრუზდევა და ელეონორა ჩერტიხინა, *საბჭოთა ქალთა შრომა და ყოფა-ცხოვრება* (მოსკოვი: პოლიტგამომც., 1983), 11–145, http://www.az.ru/women/texts/chertihinar-7.htm.

14 იქვე.

15 ოფიციალურ საბჭოთა სტატისტიკაში ვაჭრობა არ იყო დაყოფილი სამრეწველო საქონლით ვაჭრობასა და საკვები პროდუქტებით ვაჭრობას შორის.

16 *ვაჭრობა სსრკ-ში. სტატისტიკური ნაკრები* (მოსკოვი: ფინანსები და სტატისტიკა), 293.

სს, რომელიც შეადგენდა 92,6 კარბ-ს.[17] საკმაოდ დიდი ალბათობით, სავარაუდოა, რომ ზემოაღნიშნული უკანონო შემოსავალი რეალურად იყო ქალების „ირიბი შემოსავალი“ სურსათის ჩრდილოვან ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ „საზოგადოებრივი“ შრომის სფეროში ქალები ნაკლებად პრესტიჟულ და დაბალანაზღაურებად თანამდებობებს იკავებდნენ. სტატისტიკურად, მოცემული თეზისი განისაზღვრებოდა, როგორც „ინჟინრის ფორმულა“: ყოველ 12 მთავარ ინჟინერსა და სხვა მთავარ სპეციალისტზე, მხოლოდ ერთი ქალი მოდიოდა[18]. შრომის იგივე ვერტიკალური გენდერული სეგრეგაცია დაფიქსირდა სურსათის ვაჭრობის სფეროსა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში. გაცილებით მაღალი იყო მამაკაცების – როგორც მაღაზიების, რესტორნების, სასადილოთა, სასურსათო პროდუქტების ქარხნების, საბითუმო ბაზების დირექტორების და ა.შ. – შემოსავალი. სწორედ ამ დონეზე დამყარდა სისტემური კავშირები სურსათის ბაზრის სხვა სეგმენტებთან (კოლმეურნეობები, ხორცკომბინატები, საკვები პროდუქტების ქარხნები და ა.შ.), ასევე საბჭოთა ჩინოვნიკებთან (რაიონული, საქალაქო, საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების ვაჭრობისა და სასურსათო განყოფილების გამგეებთან და სხვ.) და სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებთან. ამ გარემოში არ იყო დაახლოებით ასი კარბოვანცის „ირიბი შემოსავალი“. საქმე ეხებოდა დაახლოებით ათასობით, ათეულობით და ასობით ათას და ზოგჯერ მილიონობით კარბოვანცის ბრუნვას. ჯოდი მარი-ლა-პორტე აღნიშნავს, რომ იატაკქვეშა ქარხნებსა და ფაბრიკებს შეეძლოთ თავიანთი „მფლობელებისთვის“ ყოველწლიურად 10-დან 12 მილიონამდე მოგება მოეტანათ, საიდანაც 10-20%-ს ე.წ. არაფორმალური გადასახადები შეადგენდა – საბჭოთა ჩინოვნიკებისა და სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკებისთვის[19].

ქალები ჩრდილოვანი კვების მრეწველობის „მცირე“ და „საშუალო“ დონეზე

სურსათის ჩრდილოვანი ბაზრის სტრუქტურული იერარქიის გაგება, ქალებისა და მამაკაცების შრომითი შესაძლებლობების განსხვავებებითა და, შესაბამისად, შემოსავლის დონისა და გარიგებათა მასშტაბით, იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ჩვეულებრივი ქალაქელი ქალები ქმნიდნენ და წარმოადგენდნენ ძირითადად „მცირე“ და „საშუალო“ ჩრდილოვანი ბიზნესის ნაწილს, რომელიც ხანგრძლივ და სისტემურ ინტერაქციას, გრძელვადიან სტრატეგიებს არ საჭიროებს. ისინი ორგანულად იყვნენ ჩაქსოვილი ყოველდღიურ ცხოვრებაში და ხშირად არ აღიქმებოდა და არ ფასდებოდა მონაწილეთა მიერ, „არალეგალური“ ან „კრიმინალური“ ქმედებების თვალსაზრისით.

17 Clifford G. Gaddy, *Uncovering the Hidden Wage: Public Perceptions of Opportunities for Side Income in Various Occupations in the USSR* (Durham, N.C.: Duke University, Department of Economics, 1991), 20.

18 ნატალია რიმაშევსკაია, „ქალის მდგომარეობის ზოგიერთი პრობლემის შესახებ (ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის მასალების მიხედვით)“, *ქალთა საკითხი: მდგომარეობის ახალი აღქმის თვალსაზრისები და მიდგომები* (მოსკოვი: სსკპ ცენტრალური კომიტეტის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია, 1991), 28-41, http: // www.az.ru/women/texts/rimashrdd-e.htm.

19 Jody Marie LaPorte, *“The Logic of Kleptocracy: Corruption, Repression, and Political Opposition in Post-Soviet Eurasia“* (PhD diss., University of California, 2012), 18.

გარდა ამისა, ჩართვამ ურთიერთობაში „შენ – მე, მე – შენ“ / „მომსახურება მომსახურების წილ“, მნიშვნელოვნად გააიოლა და ჩამოაყალიბა კვაზიბარტერული გაცვლის სისტემა, რომელიც ნორმად ჩაითვალა და მარკირებული იყო, როგორც ურთიერთსასარგებლო ქმედება და დახმარება: *„ხშირად ამიღია დეფიციტური პროდუქტები ოჯახის საჭიროებისთვის ნაცნობობით. შეთანხმება მქონდა მაღაზიების გამყიდველებთან და ხშირად დეფიციტური პროდუქტების სანაცვლოდ ვაწვდიდი სამშენებლო მასალას*[20]. ჯეფრი ჰოსკინგი თვლის, რომ ასეთი პრაქტიკა არ იყო არც საბაზრო და არც მოდერნული, არამედ გამოიწვია ერთგვარი რეგრესია ნატურალური გაცვლისა, რომელიც ხორციელდებოდა საჩუქრებისა ან ბარტერის სახით, როგორც ეს სოციოლოგმა მარსელ მოსომ აღწერა[21].

ზოგად პრაქტიკას, დაკავშირებულს სამუშაო ადგილიდან საკვები პროდუქტების მოპარვასთან, რომლის მონაწილენი ხშირად ქალები ხდებოდნენ, ასევე ძნელია ეწოდოს საბაზრო ურთიერთობის ნაწილი, ყოველ შემთხვევაში, როდესაც ქურდობა ჩადენილი იყო ოჯახის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. „გამტანებში“ ცხელზე დაჭერილსაც კი (საინტერესოა, რომ ამ ტერმინისთვის ფემინიტივი არ არსებობდა, ხოლო მექრთამეობასთან დაკავშირებულ ტერმინში „ქრთამის ამღები“ ქალი საკმაოდ მისაღები და გავრცელებული იყო – რედ.), მაგალითად, კიევის ძეხვის ქარხნის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, რომელიც მხოლოდ 1974 წლის თებერვალში ორჯერ დააკავეს ცხელზე საგუშაგოზე და უარი თქვა გატანილი ძეხვის პროდუქტების „ამოღებაზე“ (ორიგინალის ენაზე – საკუთრივ გატანილის „თავად ჩაბარებაზე“), არა მარტო არ ჩამოერთვა მოპარული, არამედ არანაირად არ დასჯილა.[22] ამგვარი სამსახურებრივი გულგრილობის მიზეზი, როგორც უკრაინის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემოწმების მასალებიდან ირკვევა, იყო ის, რომ ქალს უწევდა ოჯახის გამოკვება და ძეხვის გამოტანის ფაქტი სათანადოდ არ იყო დაფიქსირებული, ვინაიდან „საშვების სისტემა სათანადოდ არ უზრუნველყოფდა პროდუქციის გატანისა და მიწოდების ქმედით კონტროლს“[23].

სამუშაო ადგილიდან ქურდობისა და შემდგომ სერვისებში ან სხვა (არასასურსათო) საქონელში გაცვლის პარალელურად, ქალები მიმართავდნენ სხვა გარიგებებსაც, რომლებიც უზრუნველყოფდა „გატანილის“ ან ფულადი თანხის უფრო დიდ მოცულობას, ან ორივეს ერთად, აღნიშნული გარიგების საფუძველზე. ზოგადად, ეს შეესაბამებოდა პაველ მელნიკის მიერ დაფიქსირებულ ჩრდილოვანი ეკონომიკის ძირითად ტენდენციას: თუ 1960-იან წლებში უმეტესად მატერიალური ფასეულობები ექვემდებარებოდა მოპარვას, ძირითადად წარმოების სფეროში, 1970-იან წლებში ქურდობის ობიექტი ზოგადად

20 ნინა კ., 70 წლის, მღებავი, პენსიონერი. ქ. დონეცკი, ჩანაწერი გაკეთებულია მ. საბინინას მიერ, 2010 წ.

21 ჯეფრი ჰოსკინგი, „ნდობის სტრუქტურები საბჭოთა კავშირის ბოლო ათწლეულებში“, *ხელშეუხებელი მარაგი,* 4 (2007), http://magazines.russ.ru/nz/2007/54/ho5.html

22 *კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ.ვ. შჩერბიცკის ქ. კიევის ძეხვის ფაბრიკის მუშებისგან, მენჟინსკის ქუჩა, ს. 39. 1 აგვისტო 1966 წელი,* აღწ. 2, ცნობა 3009 (ქ. კიევი, სახალხო კონტროლის კომიტეტი. უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი), 3.

23 *მოხსენებითი ბარათი – ქალაქ კიევის ძეხვის ქარხანაში ხორცპროდუქტების ქურდობის ანონიმური წერილის გადამოწმების შესახებ,* ოპ. 2, ცნ. 3009 (კიევი: სახალხო კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი. უკრაინის სახელისუფლებო და მართვის უმაღლესი ორგანოების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, 1966 წლის 11 სექტემბერი), 6-8.

ფული გახდა, რომელიც კონვერტირდებოდა მიწერებად და მარჟებად. და გარიგების შედეგები მატერიალურ (ჩვენს შემთხვევაში – სასურსათო) ფასეულობებად.[24]

ეს „კონვერტაციები“ საშუალო შესრულებაში გამოიყურებოდა, მაგალითად, შემდეგნაირად: ბერდიჩივის №11 საშუალო სკოლის ბუფეტის თანამშრომელი ნეონილა სობოლი რამდენიმე წლის განმავლობაში, როგორც ჟურნალ „პერეცის“ კორესპონდენტი წერდა, „ხსნიდა“ მარტივ მათემატიკურ ამოცანებს: „თუ ერთ წელიწადში 13 850 კატლეტი მიიტანეს 10 კაპიკად, საკითხავია, რამდენი იქნება მატება-მოგება, თუ გაყიდი არა 10, არამედ 12 კაპიკად?“[25].

საყურადღებოა, რომ პროდუქტის მსგავს „ფასნამატურ“ გარიგებებს გენდერული სახე მხოლოდ შრომის ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე ჰქონდა. ზოგიერთი სხვა კი შეიქმნა ქალთა მიერ საკვების ეკონომიურად მომზადების ტრადიციული პრაქტიკის შედეგად, რაც საბჭოთა ეკონომიკის „ორგანიზებული სიღარიბის“ ნაწილი იყო[26]. კარგ დიასახლისს უნდა შეძლებოდა ერთი ქათმისგან წვნიანის, შემწვარის, კატლეტის მომზადება და სადილის ან ვახშმის ნარჩენების გადამუშავება საკვებად. ქალების იგივე უნარ-ჩვევები და პრაქტიკა – საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების თანამშრომლების მიერ გამოიყენებოდა, მათი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბუნდოვან ბარტერულ გაცვლებში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისი დაწესებულებების დაგეგმილი მაჩვენებლების შესანარჩუნებლად და „დანაკლისის“ დასაფარად. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კერძი, რომელიც უნდა მომზადებულიყო საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში, დადგენილი და დამტკიცებული იყო ვაჭრობის სამინისტროს (ხოლო ბავშვის ან სამკურნალო კვების შემთხვევაში – ჯანდაცვის სამინისტროს) მიერ „რეცეპტების კრებულებში“, მათი მომზადების დროს სახელმწიფო სტანდარტიდან გადახრამ ქალებს საშუალება მისცა – კარგი დიასახლისის უნარ-ჩვევებით – მიეღოთ უკანონო შემოსავალი ან/და გამოეკვებათ ოჯახი (და საახლობლო წრე) ხარისხიანი და პრესტიჟული პროდუქტებით.

ბორშის, კატლეტების, სალათების და „საზკვების“ სხვა კერძების კრიტიკული უკრაინელი მჭამელი გამოცდილი იყო შეეგრძნო არა საჭმლის გემო, არამედ გამოეცნო ქურდობის მასშტაბის დონე, ყოველგვარი დამხმარე საშუალებებისა და ანგარიშების გადაუმოწმებლად. *„მე ავიღე ბორშის პორცია და გავსინჯე რამდენიმე კოვზი,* – წერდა ხარკოველი ჟურნალისტი „პერეციდან“, – *უფრო სწორად, მოვხვრიპე, – ისეთი წყალწყალა იყო. რაც შეეხება მის გემოს თაიგულს, მაშინვე აღძრა ჩემში კეთილშობილური აზრები – მეგობრობასა და ურთიერთდახმარებაზე. მაშინვე მომინდა, ბორში ვინმესთვის გამეზიარებინა“*[27]. *„რაც შეეხება კატლეტს «განსაკუთრებული», – წერდა 1971 წელს, ჟურნალ „პერეცის“ კორესპონდენტი, – მასში განსაკუთრებული აღმოჩნდა მხოლოდ ის, რომ ადვილად იშლებოდა კომპონენტებად – ხორცად და პურად“.*[28]

24 პავლო მელნიკი, „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კრიმინალურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა სსრკ-ში (1960–1991წ.)“ (დისერტაცია სამართლის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ქ. კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი, 2019), 130.

25 ო. ჩერნოგუზი, „მათემატიჩკი. სამი ამოცანა ერთი უცნობით“, ჟურნალი „პერეცი“ 4 (1980): 7.

26 რიმაშევსკაია, „ქალთა მდგომარეობის ზოგიერთი პრობლემის შესახებ“.

27 ლ. შიანი, „კულინარიის საიდუმლოებები“, ჟ. „პერეცი“ 2 (1972): 5.

28 იქვე.

ინსპექტირების შედეგები და მასალები პრესაში დროდადრო აფიქსირებდა ჩრდილოვანი ბაზრის „საზოგადოებრივი კვების "რეცეპტებს"". *„რესტორანში «პოდილია» ქ. ხმელნიცკის სასადილოში ხორციან ბორშს ამზადებდნენ უხარისხო დაკონსერვებულ მწვანილებზე, ხორცის ნაცვლად კი იყენებდნენ ლორის ნაჭრებს, დამწვარი სოკოსგან ამზადებდნენ კომბოსტოს სოკოთი, კარტოფილის პიურე მოჰქონდათ ცივად და ცუდი ხარისხის";*[29] *„რესტორან "მირგოროდის" სასადილოში იყიდებოდა ამჟავებული სამზარეულო პროდუქტები"*[30]და ა.შ. და ბოლოს, კვების ობიექტების მუშაობაში არსებული ხარვეზების მუდმივი ჩამონათვალი, რაც გამოვლინდა სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორების მიერ – „რეცეპტის დარღვევა, არასრული პორციების მომზადება, მომხმარებლების ანგარიშში მოტყუება"[31] – ასეთი იყო „მცირე" ჩრდილოვანი ეკონომიკის ფორმულა, რომელიც შექმნეს და იყენებდნენ ამ დარგში დასაქმებული ქალები.

მყიდველების ანგარიშის დროს მოტყუება, წონაში მოპარვა სპეციალურად მორგებული სასწორის ხარჯზე, რომელიც აწონას არა ნულიდან, არამედ 10-50 გრამიდან იწყებდა, უხარისხო საქონლის გაყიდვა, რომელიც უნდა ჩამოეწერათ, „მარცხენა" საქონლის გაყიდვა, რომელიც არ ფიქსირდება ზედნადებებში, საქონლის იძულებითი გაყიდვა „ჩატვირთვა" – ეს „სქემები" გამოიყენებოდა საკვები პროდუქტებით ვაჭრობის სისტემაში სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო მაღაზიებში და კოლმეურნეობის ბაზრებზე. შრომის ბაზრის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის გამო ისინი ასევე გენდერულად იყო მონიშნული. მეტიც, ქურდობისა და უკანონო გარიგების საგნობრივი სივრცე დამოკიდებული იყო იმაზე, თუ კონკრეტულად რასთან ჰქონდათ საქმე თაღლითებს. ამრიგად, მაღაზიებში, ბაზრებში, რესტორნებში ყასბებად დასაქმებული მამაკაცები ძირითადად ხორცთან, ძეხვთან, ხორცპროდუქტებთან დაკავშირებულ მაქინაციებში მონაწილეობდნენ, ქალები კი – სხვა სასურსათო საქონელთან.

თუმცა, არალეგალური გარიგებების რიგი „სქემები" შეიძლება დასახელდეს, როგორც მხოლოდ ქალების კუთვნილი, რადგან მათი ჩამოყალიბება ეფუძნებოდა ქალის შეხედულებას გემრიელი, სამზარეულოში აუცილებელი, აქ და ახლა გამოსადეგი კერძების თაობაზე. საუბარია ადგილობრივი ხელოვნური დეფიციტის შექმნაზე, რაც ხორცის, ხილის, ძეხვეულის, მწვანე ბარდის, მაიონეზის, კარაქის და ა.შ. ზოგადი დეფიციტის ფონზე ხდებოდა. ადგილობრივი დეფიციტი ხანდახან უცნაურად გამოიყურებოდა: *„ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ვაჭრობის მუშაკის ნიჭიერება ნამდვილად გონიერების საზღვრებს სცილდება. მათ შეუძლიათ დეფიციტად გადაიქცეონ ის, რაც გუშინ თავზესაყრელი იყო. მაგრამ მარილი რომ დეფიციტი გახადეს... – ბოდიში... ეს უკვე მეტისმეტია"*[32].

29 „საქმე №14-80". *უკრაინის სსრ-ის რეგიონებში საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის შემოწმების მასალები.* 1970 წლის იანვარ-სექტემბერი, ოპ. 2, ცნ. 4604 (კიევი: უკრაინის სსრ სახალხო კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი, უკრაინის ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოების ცენტრალური სახელმწიფო არქივი), 168.

30 იქვე, 139.

31 იქვე, 143.

32 ვ. ბონდარენკო, „რატომ მარილი?" ჟურნ. „პერეცი" 8 (1980): 4.

ამდენად, „გაყიდვის ვადაგადაცილებული“ („გაყიდვაგადადებული“) პროდუქტები არ შედიოდა პრესტიჟულ სასურსათო კალათაში და არ ჯდებოდა სურსათის დეფიციტის საერთო სურათში. თუმცა კი, შესანიშნავად ჯდებოდა კარგი დიასახლისების ეკონომიკური საჭიროებების გაგებაში.

1971-1979 წლებში სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სვერდლოვსკის (ახლანდელი დოვჟანსკი, ლუგანსკის ოლქი) რამდენიმე მაღაზიაში „არ იყიდებოდა“ კრეკერი და ორცხობილა, ქ. კრასნი ლუჩის (ლუგანსკის ოლქი) მაღაზიაში „არ იყო“ – მარილი „ექსტრა“ და რაფინირებული შაქარი,[33] ქ. ბილა ცერკვას ცენტრალურ გასტრონომში, დამხმარე სათავსოს ოთახში ინახებოდა, მაგრამ მაღაზიის თაროებზე არ იყო წარმოდგენილი (1970 წლის ოქტომბერში შემოწმების პერიოდის მდგომარეობით) „1500 კგ ფქვილი, 264 ქილა ტომატის სოუსი“.[34] №132 მაღაზიაში ქ. სუმიში „დამხმარე სათავსო ოთახებში ამოღებულია 40 კგ სახამებელი, 30 კგ ხორბლის ფქვილი, შვრიის ფანტელი 80კგ, ყაბაყის ხიზილალა 72 ქილა[35] და სხვა. ნიკოლაევის სასურსათო ბაზაზეც შექმნილი იყო ამგვარი ხელოვნური დეფიციტი, მაგალითად, ვანილის შაქრის, ჟელატინის, წითელი წიწაკის სახით[36].

ლოკალური დეფიციტი ხანმოკლე იყო და ემსახურებოდა გაზრდილი მოთხოვნის ფორმირებას, ამასთან, ფოკუსირებული იყო ქალებზე, რომლებსაც აინტერესებდათ ტომატის პასტა, რადგან საჭირო იყო ბორშის მომზადება, სანელებლები – შემწვარი პროდუქტებისთვის, ვანილის შაქარი – ტკბილეულის მოსამზადებლად, გამოსაცხობი დესერტებისთვის, მარცვლეული – ფაფებისთვის, რომლებსაც საბჭოთა მენიუს მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავათ, მარილი, რომლის გარეშეც საერთოდ შეუძლებელი იყო საჭმლის მომზადება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სასურსათო ბაზრის საცალო მაქინატორებს არ ჰქონდათ საკუთარი სახელები, მაშინ როდესაც საქმე ეხებოდა სახელმწიფო შემოწმებებს. სახალხო კონტროლის მასალებში მაღაზიაში უკანონო გარიგებათა „ავტორები“ რეალურად მაღაზიები იყვნენ და არა მათი თანამშრომლები. სტიქიური ჩრდილოვანი ბაზარი არსებობდა როგორც უსახელო სტიქია. თუმცა, ზღვარი, რომელიც აშორებდა „ელემენტს“ ორგანიზებული და, რაც მთავარია, ხანგრძლივი და სისტემური მაქინაციებიდან, ძალიან პირობითი იყო. რაც უფრო დაუსჯელად იგრძნობდნენ თავს წვრილმანი ქურდობისას, მით უფრო სისტემური ხდებოდა მათი თაღლითობისა და გაფლანგვის მეთოდები და მატულობდა ასეთ გარიგებებში მონაწილეთა რაოდენობა. ამგვარი მდგომარეობა სრულად ეხება არალეგალურ სქემებში ქალების ჩართვასაც, რომლის დროსაც კვების დაწესებულებათა და ქსელების ხელმძღვანელები „მცირე“ ჩრდილოვანი ბიზნესიდან უფრო ფართო კვაზიბიზნესსქემების ფორმირებაზე გადადიოდნენ.

33 *1966 წლის 5 მაისის №369 დადგენილების „უკრაინის სსრ-ის მოსახლეობისთვის სავაჭრო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ შესრულების შემოწმების მასალები. 13 ნოემბერი – 24 დეკემბერი, 1966 წ.*, ოპ. 2, ცნ. 356 (კიევი: უსსრ სახალხო კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი. უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი), 128.

34 *უსსრ-ის რეგიონებში მაღალი მოთხოვნილების საქონლით ვაჭრობის მდგომარეობის შემოწმების მასალები, 1970 წლის 15 მაისი – 27 სექტემბერი*, ოპ. 2, ცნ. 1801 (კიევი: უსსრ სახალხო კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი. უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი), 33.

35 იქვე, 59.

36 იქვე, 48.

ქალები ფანთომასშტაბიან ჩრდილოვან გარიგებებში

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ისტორია თაღლითობით გამდიდრების კრიმინალური სქემის შემქმნელი ქალის შესახებ, „კულინარული ნაწარმის მომზადების ტექნოლოგიის დარღვევითა და აღურიცხავი ჭარბი ნამატის შექმნით“[37], კიევის რესტორან „კაპიტალის“ საქმეს უკავშირდება. 1974 წლის თებერვალში, წარმოების გამგე ლიდია იოლკინა, როგორც უსსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი ივან გოლოვჩენკო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობებს, „დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდა ინჟინერ-ტექნოლოგ ლ.ი. პოლიშჩუკთან, კალკულაციის ბუღალტერ პ.მ. შულმანთან, მასზე დაქვემდებარებულ მზარეულებთან, მოლარეებთან, მიმტანებთან“[38] და რესტორნის მომხმარებლებზე ანგარიშებში აღურიცხავი ნაწარმის რეალიზაცია მოახდინა, ხოლო თაღლითობით მიღებული თანხები მიითვისა და „დანაშაულის მონაწილეებს“ დაურიგა. ყოველდღიური შემოსავალი, როგორც გამოძიება იტყობინებოდა, შეადგენდა 500 კრბ-ს[39]. თაღლითობის სქემა შემუშავდა და დაინერგა ფაქტობრივად თავად ქალების მიერ: გარდა ზემოთ დასახელებული ორგანიზატორებისა, „თაღლითების ჯგუფში“ ასევე შედიოდნენ კონტროლის თანამშრომლები ლომაევა, ჟიგუნოვა და ხოლოდენკო, ასევე მოლარეები ბენიუხი, ბახირევა, მახოტკინა და ლიადოვა.[40]

ყველა დაკავებულს (და მოგვიანებით მსჯავრდებულს) ჩამოართვეს ჯამში 100 ათასი კარბ. (ნაღდი ფული, ობლიგაციები, შენატანები შემნახველ სალაროში) და აღწერეს და ამოიღეს 200 ათასი კარბ.-ის ღირებულების ქონება.[41] თაღლითობის სქემის ორგანიზატორს – ლიდია იოლკინას ჩამოართვეს 71 ათასი კარბ., ასევე ამოიღეს ოქროს სამკაულები, ბროლი, ფაიფური და ბეწვეული, ჯამური ღირებულებით 60 ათასი კარბ.[42] ამის გამო საზოგადოებაში მას მეტსახელად „შაჰინია“ შეარქვეს.

არანაკლებ ლეგენდარული პერსონა იყო ქალაქ ლვოვის ბარ „ვეჟას“ დირექტორი სოფია არკადის ასული გოლდენბერგი. 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში, თვითმხილველების თქმით, ბარში რეგულარულად ისხდნენ „საზოგადოების ნაღები“ პერსონები: მაღალი დონის კრიმინალები, „გადამყიდველები“, „ცეხოვიკები“ (იატაკქვეშა წარმოების მფლობელები) და „შულერები“. ამ ბარში ერთ-ერთი პირველი

37 *უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. დამატებითი ინფორმაცია ადრე გამოგზავნილ მონაცემებზე №0177 / გლ 1974 წლის 6 მარტი და №0259 / 19გლ 1974 წლის 9 აპრილი,* ოპ. 25, ცნ. 1085 (კიევი: უსსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. უკრაინის საზოგადოებრივ გაერთიანებათა ცენტრალური სახელმწიფო არქივი), 71.

38 იქვე.

39 იქვე.

40 *რესტორან „კაპიტალში“ სოციალისტური ქონების გამფლანგველების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგების შესახებ შეტყობინება. კიევი. 1974 წლის 9 აპრილი,* ოპ. 25, ცნ. №1085 (კიევი: უსსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. უკრაინის საზოგადოებრივ გაერთიანებებათა ცენტრალური სახელმწიფო არქივი), 67.

41 *რესტორან „კაპიტალში“ სოციალისტური ქონების გამფლანგველების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგების შესახებ შეტყობინება. კიევი. 1974 წლის 9 აპრილი,* ოპ. 25, ცნ. №1085 (კიევი: უსსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. უკრაინის საზოგადოებრივ გაერთიანებებათა ცენტრალური სახელმწიფო არქივი), , 68.

42 იქვე.

დამონტაჟდა ვიდეომაგნიტოფონი, რომელიც გამოიყენებოდა ფილმების ერთობლივი ჩვენებისთვის. დადიოდა ჭორები, რომ მხოლოდ შეზღუდული ახლო წრისთვის აქ ხანდახან აჩვენებდნენ აკრძალულ „მარწყვსაც“.[43] „საკუთარ“ კლიენტებს (ზემოხსენებული კატეგორიებიდან) შეეძლოთ, ადმინისტრაციის მოსყიდვით, ოფიციალური დახურვის შემდეგაც ექეიფათ ამ დაწესებულებაში. ასევე ფულადი თანხით მოსყიდვა ხდებოდა მახლობლად მორიგე მილიციის რაზმისა – რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ, რომ „ქუჩიდან“ ხალხი არ შესულიყო.[44]

ბარ „ვეჟას“ გარდა, რომელიც წყლისმტუმბავ კოშკზე თავად დირექტორ სოფია გოლდენბერგის ძალისხმევით გაიხსნა, იგი ასევე განაგებდა ორ არაჩვეულებრივ გასტრონომს, რაც საშუალებას აძლევდა, ბარის დახლიდან „გაესაღებინათ“ მაღაზიაში მიღებული (მათ შორის, დეფიციტური) პროდუქტები, რესტორნის ფასნამატით. გასტრონომის პირველი შემოწმებისას, რომელიც 1980 წლის თებერვალში განხორციელდა, დამხმარე სათავსო ოთახებში ნაპოვნი იქნა ჩვეულებრივი მყიდველისგან „გადამალული“ ტიპური საქონელი: 75 ბოთლი ზეთი, 115 ქილა შესქელებული რძე, 16 ყუთი კვერცხი, 24 ყუთი მაიონეზი, 102 კილოგრამი, 38 ყუთი და 18 კომპლექტი ტკბილეული, 10 კგ ღორის ფეხები, 75 ყუთი შამპანური, 40 ბოთლი არაყი, 44 – რომი, 448 – ლიქიორი, 2569 ბოთლი კონიაკი, 127 ბოთლი სხვა ალკოჰოლური სასმელი.

აღნიშნული „გადამალული“ პროდუქტები და სასმელები „ბარში გადადიოდა“, რომელშიც აღრიცხვა ძალიან პირობითი იყო[45], ასევე გასტრონომის „უკანა კარიდან“ გაბერილ ფასებში იყიდებოდა სხვა პროდუქციაც. ფარული თვალთვალისა და გამოძიების მონაცემებით, 15 თვის განმავლობაში გოლდენბერგმა, მხოლოდ კოშკიდან, უკანონოდ გამოიმუშავა 77,5 ათასი კარბ., ხოლო ჯამური არალეგალური შემოსავალი შეფასებული იყო 213 ათას კარბ.-ად. ლვოვში გავრცელებული ჭორების თანახმად, სოფია გოლდენბერგმა უკანონო მაქინაციებით მიღებული ფული ჩადო ვალუტასა და ბრილიანტებში, რომლებიც საზღვარგარეთ ძალიან მოხერხებული გზით გაიტანა. ამბობდნენ, რომ ის აცილებდა მეგობრებსა და ნათესავებს, რომლებიც ემიგრაციაში ისრაელსა და შეერთებულ შტატებში მიემგზავრებოდნენ, მათ ტუჩებში კოცნიდა და ბრილიანტებს პირიდან პირში ამგვარად გადასცემდა. მისი ქმარი გაასამართლეს და დახვრიტეს გაზიან სასმელ წყალზე მაქინაციების გამო. სოფია გოლდენბერგს კი თოთხმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს „სოციალისტური ქონების ქურდობით მითვისებისთვის“,[46] თუმცაღა ისტორიას შემორჩა ურბანული ლეგენდა და მისი მეტსახელი – სონია ბრილიანტი, სონია ბრილიანტის ხელი.

43 იგორ ლილიო, ლვოვის სამზარეულო (ხარკოვი: ფოლიო, 2015), 152.

44 „მაჟორები, პორნო და ყაჩაღური სიმღერები. კგბ-ს ანგარიში ლვოვის, ოდესისა და ხარკოვის რესტორნების შესახებ“, ტექსტები, 2018 წლის 15 ნოემბერი, https://texty.org.ua/articles/89344/Mazhory_porno_ta_blatni_pisni_Dopovidna_KGB-89344/.

45 ლილიო, *ლვოვის სამზარეულო*, 153.

46 იქვე.

დასკვნა

ყოველივეს შეჯამებით, უნდა აღინიშნოს, რომ სურსათის ჩრდილოვან ბაზარს რამდენიმე დონე ჰქონდა, რაც განპირობებული იყო მაქინაციებში მონაწილეთა რაოდენობითა და არაკანონიერი ქმედებების მასშტაბით. შრომის ბაზრის გენდერული დაყოფის სპეციფიკა, სადაც ზოგიერთი სფერო (როგორიცაა კვების მრეწველობა და ვაჭრობა) განიხილებოდა და სტატისტიკურად უპირატესად „ქალური“ იყო, ინარჩუნებდა თავის ვერტიკალურ სტრუქტურაში პრინციპს „თუ დირექტორი, მაშასადამე მამაკაცი“, ქალთა ჩრდილოვანი შესაძლებლობები კი „არალეგალური ეკონომიკის“ ქვედა და საშუალო დონეზე ვრცელდებოდა.

მათ ნაირსახეობას წარმოადგენდა დეფიციტური პროდუქტების გაცვლა სერვისებზე, მომხმარებლის ანგარიშში მოტყუება, უკანონო ფასნამატები, მაქინაციური თაღლითობა, დაკავშირებული ვითომდა გაფუჭებული პროდუქტების ჩამოწერასთან და ა.შ. ფულადი და „ნატურალური“ შემოსავლის მიღების ზოგიერთი უკანონო გზა გენდერულად მარკირებული იყო: ყოველდღიური გასტრონომიული მოთხოვნილების არსებობამ მათ საშუალება მისცა, ხელოვნურად შეექმნათ და მიეღოთ არალეგალური შემოსავალი უნიკალური ლოკალური დეფიციტის წარმოქმნით (მარილი, წიწაკა, ყაბაყის ხიზილალა, ფქვილი და ა.შ.). საბჭოთა „ორგანიზებული სიღარიბის“ ტრადიციულმა პრაქტიკამ – ოჯახური ეკონომიური სამზარეულოს „არაფრისაგან“ შექმნამ, კვების ობიექტების რეცეპტებში „ცვლილებების“ მრავალი და განსხვავებული მიდგომა ჩამოაყალიბა. ხორცის პურითა და ფანტელით ჩანაცვლებამ, რძის, არაჟნის, ნაღების გაზავებამ, პორციების წონის შემცირებამ, ინგრედიენტების შემცირებამ, გუშინდელი ნარჩენების დღევანდელ კერძებში გამოყენებამ და ა.შ., შექმნა პროდუქტების ხელოვნური ნარჩენები, რომლებიც „საზკვების“ თანამშრომლების მიერ კონვერტირებულ იქნა გაცვლით ოპერაციებში არაფორმალური ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტში და/ან ფულში. საბჭოთა გენდერულმა პოლიტიკამ, რომელიც მიზნად ისახავდა – ზოგჯერ იმიტაციურ – მზარდ პრეზენტაციას ხელმძღვანელ პოზიციებზე, სურსათის ბაზრის ჩრდილოვანი მონაწილეები აიძულა, შეექმნათ უფრო დიდი სქემები და „საშუალო დონეზე“ გადასულიყვნენ. ამასთან, მონაწილენი ვერასოდეს აღწევდნენ უმაღლეს ნიშნულს, სადაც არაკანონიერად მიღებული შემოსავლის ფულადი მასა არა ათობით ათასი, არამედ მილიონობით უკრაინული კარბოვანცით იზომებოდა.

ბრეჟნევის ეპოქის ქართული დისკურსი სექსუალობაზე

ალა პარუნოვა
პროექტის მენეჯერი,
თანასწორობის მოძრაობა

აბსტრაქტი

ნაშრომის მთავარი მიზანია, აღწეროს და იკვლიოს საბჭოთა კავშირში ბრეჟნევის ეპოქის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სექსუალობის დისკურსები და მათი ზეგავლენა ქალების ცხოვრებაზე. საქართველოს სსრ-ში არსებული სექსუალობის დისკურსები იკვეთებოდა ადგილობრივ კულტურულ და ნაციონალისტურ დისკურსებთან, რის შედეგადაც სახეს იცვლიდა და, შესაბამისად, ამ რესპუბლიკაში მცხოვრებ ქალებს განსხვავებულ გამოცდილებას უყალიბებდა. კვლევამ ქალის სექსუალობის ქართული დისკურსისთვის დამახასიათებელი ისეთი ნიშან-თვისებები გამოავლინა, როგორიცაა ქალების ცხოვრებასა და ქცევაზე მკაცრი ზედამხედველობა მამის, ქმრისა თუ ოჯახის მხრიდან; ამავე დროს, თავად ქალების მხრიდან ამ დისციპლინური პრაქტიკების ინტერნალიზება, თვითდაკვირვება და თვითნორმალიზაცია.

შესავალი

ამ სტატიაში, რომელიც სამაგისტრო კვლევაზე – „მორჩილი სხეულები, ანუ საბჭოთა დისკურსი სექსუალობაზე“[1] დაფუძნებით დაიწერა, ვეცდები, გავაანალიზო ბრეჟნევის ეპოქაში (1964-1983წწ.), საქართველოს სსრ-ში წარმოებული სექსუალობის დისკურსი და გამოვყო მისი ძირითადი მახასიათებლები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი გამორჩეული იყო მართვის ცენტრალიზებული ხასიათით, სექსუალობის დისკურსები მის სხვადასხვა რესპუბლიკაში მრავალფეროვნდებოდა ადგილობრივი კულტურისა და ეროვნული ელემენტებით. შესაბამისად, საქართველოში, ბრეჟნევის ეპოქაში წარმოებული სექსუალობის დისკურსი გამოირჩევა თავისი უნიკალურობით, რადგანაც იკვეთება ადგილობრივ კულტურულ და ნაციონალურ მახასიათებლებთან.

საქართველოში, საბჭოთა წარსულის გადააზრების მცდელობები, ხშირად დაიყვანება მისი, როგორც ერთიანი ისტორიული ფენომენის გააზრებამდე. ისტორიული თუ პოლიტიკური კონტექსტის უგულებელყოფა, რომელიც ასეთი ტიპის მსჯელობას მოჰყვება, ფარავს იმ არსებით ასპექტებს, რომელთაც მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა კავშირის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და ფრაგმენტულს ხდის მთლიან ანალიზს. საბჭოთა კავშირის ისტორია არ არის მონოლითური და შედგება სხვადასხვა ეტაპისგან. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა იმ პოლიტიკით, რომელსაც კომუნისტური პარტია ამა თუ იმ დროით მონაკვეთში მისდევდა. საბჭოთა ისტორიას სხვადასხვა ისტორიკოსი თუ თეორეტიკოსი განსხვავებული პერიოდიზაციით გვთავაზობს. ამ სტატიაში დავეყრდნობი როი მედვედევის პერიოდიზაციას, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ისტორია, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შესაძლოა, ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, სხვადასხვა ეტაპად დაიყოს, თუმცა, მისი „ცენტრალიზებული და ავტორიტარული“ ბუნებიდან გამომდინარე, ავტორი ამტკიცებს, რომ მისი დაყოფა შესაძლებელია იმ ადამიანთა მართვის ეპოქებად, რომლებიც ამა თუ იმ ეტაპზე იყვნენ საბჭოთა კავშირის სათავეში. ასეთებად მედვედევი მიიჩნევს ლენინის, სტალინის, ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ეპოქებს. ის ამტკიცებს, რომ ამ ლიდერების მმართველობის პერიოდი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ეკონომიკური, სოციალური რეალობების, „ქვეყნის სოციალური კეთილდღეობის, პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის მეთოდების, მმართველი ელიტის თავისებურებებისა“ და სხვა მრავალი ფაქტორის გამო[2].

საბჭოთა ისტორიის კომპლექსურობის გასააზრებლად, ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, ქალთა ემანსიპაცია თუ სექსუალობა, რადგანაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეპოქაში გენდერული პოლიტიკაც საკმაოდ განსხვავებული იყო. მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის დაარსებისთანავე ფართოდ იყო არტიკულირებული დისკურსები ქალთა ემანსიპაცია-

1 დაიწერა 2015 წელს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო კურსის გენდერის კვლევების ფარგლებში.

2 Roy Medvedev, The Soviet Union at The Beginning of New Era, Socialist Register. Vol 20 (1983); 172 available at: http://socialistregister.com/index.php/srv/issue/view/419#.VaCiUPmqqkr

ზე[3] და, ამავე დროს, არსებობდა მრავალი აზრი და პოზიცია ადამიანის სექსუალობის შესახებ[4], სტალინის მმართველობის ხანაში აბორტები აიკრძალა[5]. შესაბამისად, სექსუალობის შესახებ დისკურსების მრავალფეროვნებამ, რომელიც საბჭოთა კავშირის დაარსების პერიოდს ახასიათებდა, იკლო და გაძლიერდა ისეთი დისკურსი, როგორიც ქალის სექსუალობის სიწმინდესა და დედობასთან გაიგივებაა. ბრეჟნევის მმართველობის ხანის გენდერული კუთხით შესწავლა, თეორეტიკოსთა ანალიზში მინიმალურად გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში, სექსუალობის დისკურსი საკმაოდ მორალისტური მიდგომებით გამოირჩეოდა და აუცილებლად ქალთა რეპროდუქციულ უნარს უკავშირდებოდა, ამ პერიოდის განხილვა მნიშვნელოვნად მეჩვენება, რადგანაც ქალთა შრომის, მათი ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვისა და, ამავე დროს, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების დილემის წინაშე, კომუნისტური პარტია სწორედ მაშინ აღმოჩნდა.

მეთოდოლოგია

ამ სტატიაში, ორიენტაციას ავიღებ საბჭოთა კავშირის „ბრეჟნევის ეპოქის" საქართველოში წარმოებულ სექსუალობის დისკურსსა და კულტურულ და ნაციონალისტურ დისკურსებთან მის ურთიერთკვეთაზე, რომელიც ქართულ კონტექსტში ქალების გამოცდილებას განსაკუთრებულ ხასიათს სძენდა და საკუთარი სექსუალობის აღქმას უფრო ტრადიციულ ჭრილში აიძულებდა. ამ საკითხის გასაანალიზებლად გამოვიყენე დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდი[6].

ბრეჟნევის პერიოდის ქართული დისკურსის გასაანალიზებლად შევარჩიე საქართველოს სსრ-ის ისეთი გამოცემა, როგორიცაა „საქართველოს ქალი". ჩემი არჩევანი პირველ რიგში განაპირობა იმან, რომ ეს იყო ერთადერთი ქართული გამოცემა, რომელიც ქალებსა და მათ პრობლემებს ეხებოდა. ამავე დროს, კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მასში დაბეჭდილი მასალის მრავალფეროვნება, რომელშიც ცხადად ჩანს ქალების დამოკიდებულება საკუთარი სექსუალობისა თუ საზოგადოების მხრიდან მათ სექსუალობაზე ზედამხედველობის მიმართ.

ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ბრეჟნევის ეპოქაში (1964-1983წწ.) გამოცემული „საქართველოს ქალის" ნომრები ერთი წლის გამოტოვებით გავაანალიზე. ამან დიდი მასალა და ფართო ხედვა მომცა იმ მთავარ ტენდენციებსა და სექსუალობის იმ დისკურსებზე, რომლებიც საქართველოში ამ პერიოდში არსებობდა. ვიკვლევდი განსხვავებული ჟანრის ტექსტებს, იქნებოდა ეს მოთხრობები, სტატიები, წერილები თუ სხვა. საჭირო მასალას

3 Wendy Z. Goldman, *Women, the State and Revolution: Soviet Family Policy and Social Life, 1917-1936* (Cambridge: Campnridge University Press 1993), 1-13.

4 Goldman, Women, the State and Revolution, 7-8; Fraces Lee Bernstein, *The Dictatorship of Sex: Lifestyle Advice for the Soviet,* (Northern Illinois University Press, 2007): 14-5.

5 Goldman, *Women, the State and Revolution,* 333-334.

6 Martin Reisigl, RuthWodak "The Discourse-Historical Approach" in *Methods for Critical Discourse Analysis,* ed. Ruth Wodak, Michel Meyer, 2nd revised edition (London: Sage, 2009): 93-4.

ვირჩევდი, ერთი მხრივ, სექსუალობასთან რაიმე კავშირის შემთხვევაში, მეორე მხრივ კი, ტექსტის უნიკალურობიდან და ინფორმატიულობიდან გამომდინარე.

არსებულ სტატიაში, ვკონცენტრირდები ბრეჟნევის ეპოქის მხოლოდ საქართველოს დისკურსის ანალიზზე და, შესაბამისად, ყურადღებას გავამახვილებ შემდეგ მთავარ კითხვებზე: როგორი იყო საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებული სექსუალობის დისკურსი? როგორ იკვეთებოდა ეს დისკურსი ქართულ ნაციონალისტურ დისკურსსა თუ კულტურულ მახასიათებლებთან და რა გამოცდილებას უყალიბებდა წარმოებული ცოდნა ქართველ ქალებს?

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმის ხაზგასმა, რომ ანალიზის პროცესში გამოვავლინე და გამოვყავი სექსუალობაზე ქართული დისკურსებისთვის ცენტრალური ცნებები, სიტყვები და ტენდენციები. ასევე, დავაფიქსირე ის ინტერტექსტუალური და ინტერდისკურსული კავშირები, რომლებსაც სხვადასხვა ტექსტი და ჟანრი ქმნიდა ერთმანეთთან ამ ცნებების, სიტყვებისა თუ ტენდენციების გამეორებით, რითაც ხაზი გავუსვი ამ დისკურსების კოჰერენტულობასა და ერთიან ხასიათს.

არსებული მონაცემები გავაანალიზე სემიოლოგიური ანალიზის მეთოდით, რადგანაც ეს მეთოდი, როგორც როუზი აღნიშნავს, ხელს გვიწყობს იმ იდეოლოგიის ზედაპირზე ამოტანაში, რომელიც წარმოადგენს კონსტრუირებულ ცოდნას „არათანაბარი სოციალური ძალაუფლებრივი ურთიერთობების ლეგიტიმაციისთვის“[7]. ზემოაღნიშნულმა ანალიზის მეთოდებმა შესაძლებლობა მომცა, მეკვლია ბრეჟნევის ეპოქის საქართველოში არსებული დომინანტური დისკურსები სექსუალობაზე, ყურადღება გამემახვილებინა მათ გამომწვევ მიზეზებზე და ხაზი გამესვა მათი მიმართებისთვის ისეთი ძალაუფლებრივი ურთიერთობებისა თუ იერარქიების შენარჩუნებასა და გამყარებაზე, როგორიც გენდერული უთანასწორობა და ქალთა სექსუალობის კონტროლის მცდელობებია.

ბრეჟნევის ეპოქის გენდერული ასპექტები

საბჭოთა კავშირის ბრეჟნევის ეპოქის საქართველოს რესპუბლიკაში არსებული სექსუალობის დისკურსის გასაანალიზებლად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ისტორიის ამ პერიოდის კონტექსტის შესწავლა, მისი გენდერული ასპექტების მონიშვნა და საბჭოთა კავშირში არსებული ნაციონალიზმის საკითხის წინ წამოწევა, რომელიც ნათელს გახდის ამ პერიოდის სექსუალობის დისკურსის საფუძვლებს.

საბჭოთა კავშირის გენდერული ასპექტების მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია იმაზე საუბარი, თუ როგორი იყო ქალთა ემანსიპაციის საბჭოთა ხედვა და პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ქალები აქტიურად იყვნენ ჩართული სამუშაო ძალაში, ეკონომიკური და დემოგრაფიული მაჩვენებლები ხშირად ზემოქმედებდა მათ ეკონო-

7 Gillian Rose, *Visual Methodologies,* (SAGE Publications, 2001): 70.

მიკურ გაძლიერებაზე. ქალების სამუშაო ძალაში ჩართულობა ხშირად იცვლებოდა ამ ქვეყნის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, რაც განსხვავებული მიზეზებით იყო გამოწვეული, იქნებოდა ეს მუშახელის ნაკლებობა კაცების ომში მონაწილეობის შედეგად, ინდუსტრიალიზაციის პერიოდი და სამუშაო ადგილების მატება თუ სხვა.[8] ამავე დროს, ქალების ჩართულობა სამუშაო ძალაში ეკონომიკური და დემოგრაფიული მიზეზებით იყო გამოწვეული[9]. გეილ ლაპიდუსი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ 1960-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ გადადგა ბოლო ნაბიჯი დასაქმებული ქალების რიცხვის გასაზრდელად, რადგანაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, მუშახელის „უშრეტ წყაროს“ ამ პერიოდში სწორედ დიასახლისი ქალები წარმოადგენდნენ. ამაზე ნათლად მეტყველებს, მაგალითად, ის, რომ 1960-1971 წლებში დასაქმებული 18 მილიონი ქალიდან, 14 მილიონი დიასახლისი იყო[10].

ბაკლი, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ ბრეჟნევის ეპოქაში ქალთა დასაქმება არ ყოფილა კომუნისტურ იდეოლოგიაში არსებული ქალთა ემანსიპაციის იდეის განხორციელება, რომლის პროპაგანდაც საბჭოთა კავშირის განვითარების ადრეულ ეტაპზე აქტიურად ხდებოდა. არამედ, ბაკლის აზრით, „ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია ყურადღების გამახვილება ეფექტიანობაზე, რომლისთვისაც თანასწორობა არა მარტო მეორეხარისხოვანი იყო, არამედ კონფლიქტშიც მოდიოდა მასთან“[11]. აქედან გამომდინარე, ბრეჟნევის ეპოქაში ქალთა აქტიური დასაქმება გამოწვეული იყო იმ პრობლემებით, რომელსაც კაცების რაოდენობის და, შესაბამისად, მუშახელის ნაკლებობა წარმოშობდა.

ბრეჟნევის ეპოქაში, ქალები დასაქმებული იყვნენ დიდი რაოდენობით, თუმცა, როგორც წესი, დაბალანაზღაურებად სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა[12], განათლება და მედიცინა. „ქალურ“ საქმიანობად მონიშნული იყო ისეთი არაპრესტიჟული და დაბალი შემოსავლის მომტანი პროფესიები, როგორიცაა მასწავლებელი, პედიატრი და ა.შ.[13] ლაპიდუსი ხაზს უსვამს, რომ ეკონომიკის ყველა სფეროში „ქალთა რაოდენობა კლებულობდა, როგორც კი ასპარეზზე სტატუსისა და ავტორიტეტის იერარქიები“ გამოდიოდა. ამასთან, როგორც „ჰორიზონტალური სეგრეგაციის, ისე ვერტიკალური სტრატიფიკაციის შედეგად“, ქალებს მამაკაცებზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდათ[14]. ბაკლი ქალების დაბალანაზღაურებად სამსახურებში მობილიზებას და კარიერული იერარქიის კიბეზე წინსვლის ნაკლებობას გენდერული სტერეოტიპებითა და ქალების სოციალური როლით ხსნის, რადგანაც ისინი მიიჩნეოდნენ „შრომის ბაზრის არამდგრად მონაწილეებად“, ოჯახში მათზე დაკისრებული მოვა-

8 Gail Warshofsky Lapidus, Women in *Soviet Society: Equality, Development and Social Change,* (Los Angeles: University of California Press, 1978): 165-7; Mary Buckley, “Women in The Soviet Union“, Feminist Reviw 8, (July, 1981): 79-106 available at: http://www.palgrave-journals.com/fr/journal/v8/n1/full/fr198113a.html

9 Lapidus, *Women in Soviet Society,* 168; Buckley, *Women in The Soviet Union*, 84.

10 Lapidus, *Women in Soviet Society,* 166

11 Buckley, *Women in The Soviet Union*, 84.

12 Lapidus, *Women in Soviet Society,* 175-6; Buckley, *Women in The Soviet Union*, 88.

13 Lapidus, *Women in Soviet Society,* 186-8.

14 Lapidus, *Women in Soviet Society,* 171.

ლეობებისა და მაღალ პოზიციებზე დასაქმების სურვილის ნაკლებობის გამო, რაც ქალების „ორმაგი ტვირთით“ იყო განპირობებული[15]. დაბოლოს, ლაპიდუსი ამ ორ ფაქტორს, ასევე, უმატებს განათლებისა და გენდერული სტერეოტიპების ფაქტორს, რომელიც ქალებს კონკრეტულ უნარებსა თუ პროფესიებს მიაწერდა, მათ მონაწილეობას წარმოებაში აპრიორი ემანსიპაციად სახავდა და უგულებელყოფდა გენდერული როლების კულტურულ და პოლიტიკურ განზომილებებს[16].

შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ბრეჟნევის ეპოქაში, მკაფიოდაა წარმოჩენილი როგორც ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები, ასევე ქალების სამუშაო ძალაში ჩართულობა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო და რელევანტური მგონია მიშელ ფუკოს თეორია სექსუალობის საჯარო და სასარგებლო დისკურსებით მართვის შესახებ, რომელიც წინ წამოწევს ძალაუფლების მექანიზმების მოდიფიცირებას, სხეულის დისციპლინირებისა და მართვისთვის. ფუკო აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის ძალაუფლების მექანიზმების ერთ-ერთი დიდი სიახლე იყო „მოსახლეობის“, როგორც „ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის წარმოშობა“, მას მთავრობები აღიქვამდნენ ერთ მთლიანობად, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო გარკვეული „ფენომენები და ცვლადები“, როგორიცაა „შობადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, ფერტილურობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა“ და სხვა[17]. ამან კი, ფუკოს აზრით, ადამიანის სექსუალობა არსებული „ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის“ შუაგულში მოაქცია და ბიძგი მისცა სექსუალობაზე საუბრის პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნიკური ინტერესების ჩამოყალიბებას. რაც გამოიხატა იმაში, რომ მნიშვნელოვანი გახდა სექსუალობის „ანალიზი, კლასიფიკაცია, მისი დაწვრილებითი თვისებრივი და მიზეზშედეგობრივი კვლევა“[18] და, შესაბამისად, მისი „სასარგებლო და საჯარო დისკურსებით მართვა“[19].

ფუკო ადამიანთა ცხოვრებაზე ძალაუფლების ზეგავლენის მოდიფიცირების, ძალაუფლების ორ საბაზისო ფორმას უსვამს ხაზს: „ადამიანის სხეულის ანატომო-პოლიტიკასა“ და „მოსახლეობის ბიოპოლიტიკას“. აქედან პირველი, მის თეორიაში გამოიყენება ძალაუფლების დისციპლინური პროცედურების მეშვეობით, ადამიანის სხეულის „დისციპლინის, მისი უნარების ოპტიმიზაციის“, სხეულის „სასარგებლოობისა და მორჩილების“ გაზრდის განსასაზღვრად. „მორჩილი სხეულების“ ჩამოყალიბების ეს ტენდენცია კი, ფუკოს აზრით, ეკონომიკურ და სხვა სისტემებში მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისკენ იყო მიმართული. ხოლო ძალაუფლების მეორე ფორმა, ანუ ბიოპოლიტიკა, ყურადღებას ამახვილებდა „სხეულების სახეობებზე“, ანუ სხეულების ისეთ უნარებზე, როგორიცაა რეპროდუქცია, ჯანმრთელობა, სიკვდილიანობა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ძალაუფლების ეს ფორმები მიმართულია, ერთი მხრივ, დისციპლინური მექანიზმებით, მეორე მხრივ კი, რეგულატორული მეთოდებით ადამიანის სხეულის ზედამხედველობასა და კონტროლზე. ფუკო აგრეთვე აღნიშნავს, რომ ძალაუფლების ეს ორი ფორმა

15 Buckley, *Women in The Soviet Union*, 89.

16 Lapidus, *Women in Soviet Society,* 194-5

17 Michel Foucault, *The History of Sexuality, Volume I: An Introduction,* (London: Allen Lane, 1979): 25.

18 Foucault, *The History of Sexuality,* 23-24.

19 იქვე, 25.

არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ ქმნის „განვითარების ორ პოლუსს, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება მთელი რიგი შუალედური ურთიერთობებით“[20].

საბჭოთა გენდერული პოლიტიკა ხშირად წინ აყენებდა ოჯახისა და რეპროდუქციის საკითხებს. თუმცა, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის ადრეულ პერიოდში, კომუნისტური პარტია აქტიურად მუშაობდა ოჯახის იდეის დეკონსტრუქციაზე, სტალინის პერიოდიდან მოყოლებული, ოჯახის სიმყარე საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრალურ საკითხად იქცა. 30-იან წლებში ოჯახს ახალი მნიშვნელობა ენიჭება არსებული იერარქიების გამყარებაში, შობადობის გაზრდასა და სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ამაღლებაში, მასში იმ ქალთა ჩართვით, რომლებიც მანამდე მხოლოდ საოჯახო სფეროთი შემოიფარგლებოდნენ, თუმცა საყოფაცხოვრებო საქმეების ისევ ქალებისთვის დაკისრებით[21]. შესაბამისად, როგორც ლაპიდუსი აღნიშნავს, მოხდა ქალთა ემანსიპაციისა და ოჯახის, როგორც მნიშვნელოვანი სოციო-ეკონომიკური ინსტიტუციის, სიმტკიცის ურთიერთდაპირისპირება. ხოლო ეს კონფლიქტი ისევ და ისევ ქალთა განთავისუფლებაზე უარის თქმით გადაიჭრა, რადგანაც, სტალინის პერიოდში, 1936 წელს მიღებული დადგენილება კრძალავდა აბორტებს, ართულებდა განქორწინების პროცედურებს და უზრდიდა ჯარიმებს ალიმენტის არგადამხდელებს[22].

1965 წელს გატარებულმა განქორწინების რეფორმამ და 1968 წელს მიღებული საოჯახო კანონის საბაზისო პრინციპებმა, განქორწინების პროცედურები გაამარტივა და აბორტის ლეგალიზაცია მოახდინა, რამაც, თავის მხრივ, ლაპიდუსის ხაზგასმით, იურიდიული აკრძალვა ამ ორივე პროცედურაზე ჩაანაცვლა „მორალური დარწმუნებით“[23]. შესაბამისად, ბრეჟნევის ეპოქის საბჭოთა კავშირში შეიცვალა ქალების ცხოვრების კონტროლის ისეთი ცენტრალიზებული საშუალება, როგორიცაა კანონი, რასაც ბიძგი უნდა მიეცა სხვა მეთოდების შექმნისთვის, ქალთა რეპროდუქციისა თუ სექსუალობის ზედამხედველობისა თუ კონტროლისთვის. ასეთად კი შესაძლოა ჩაითვალოს ის დომინანტური დისკურსები, რომლებიც აქტიურად იქმნებოდა ბრეჟნევის ეპოქაში ამ მიზნების მისაღწევად.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტად შეიძლება მისი ინტერნაციონალიზმი ჩაითვალოს, საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ამყარებდა და აძლიერებდა ნაციონალისტურ სენტიმენტებსა და დისკურსს, იყენებდა მათ როგორც სხვადასხვა რესპუბლიკის, ასევე, ადამიანების სამართავად. როგორც იური სლეზკინი აღნიშნავს, საბჭოთა კავშირში გატარებულმა პოლიტიკამ ნაციონალიზმთან დაკავშირებით, საბჭოთა რესპუბლიკებში ეთნიკური პარტიკულარიზმი გააღვივა. მაშინ როდესაც სოციალიზმი ნაციონალიზმს ბურჟუაზიულ გადმონაშთად აღიქვამდა, ხოლო ასიმილაციას „პროგრესულ პროცესად“ წარმოაჩენდა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო

20 იქვე, 139.

21 Lapidus, *Women in Soviet Society,* 237.

22 Peter H. Juviler. (1977) “Women and Sex in Soviet Law“, in *Women in Russia,* ed. Dorothy Atkinson, Alexander Dallin, Gail Warshofsky Lapidus (California: Stanford Univercity Press, 1977): 243-265.

23 Lapidus, *Women in Soviet Society,* 239.

პროლეტარების გაერთიანებისთვის[24], ლენინისა და სტალინის პოლიტიკა სწორედ ეთნიკური ნაციონალიზმის განმტკიცებას ესწრაფოდა, რადგანაც ნაციონალიზმს ტერიტორიასა და ენასთან აკავშირებდა. ეს კი, თავის მხრივ, კომუნისტური იდეების გასავრცელებლად და განსამტკიცებლად იყო მიმართული[25]. აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირში, ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან, დაწყებული იყო აქტიური მუშაობა ნაციონალობების ერთმანეთისგან გასამიჯნად, მათი კულტურისა და ენისთვის სპეციალური სტატუსის მისანიჭებლად და ნაციონალობის ეთნიკურობასა და ტერიტორიასთან გასაიგივებლად.

თავის მხრივ, ნაციონალიზმი პირდაპირ უკავშირდება გენდერის ასპექტს და არა მხოლოდ ემყარება, არამედ ხელს უწყობს იმ ძალაუფლებრივ გადანაწილებას, რომელიც გენდერულ ნორმებს ეფუძნება. ნირა იუვალ-დევისის ხაზგასმით, სხვადასხვა ნაციონალისტურ პროექტში კიდევ ერთ „ესენციალისტურ განზომილებას“ ქმნის „კულტურა და ტრადიცია“, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია რელიგიასთან ან ენასთან[26]. ხოლო, იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ქმნიან და ამყარებენ ზღვარს სხვადასხვა ნაციონალობას შორის, აღწერენ მის „წევრებსა და არაწევრებს“, იუვალ-დევისი იყენებს არმსტრონგის ტერმინს – „სიმბოლური საზღვრის დამცველებს“, რომლებიც უკავშირდებიან კულტურის სპეციფიკურ სტილს, ქცევასა და, რაც მთავარია, ენას[27]. იუვალ-დევისი ხაზს უსვამს, რომ ნაციონალისტური პროექტების შექმნასა და გამყარებასთან ძალიან მჭიდრო კავშირშია გენდერული სიმბოლოები, ფემინურობისა და მასკულინობის კონსტრუირება, სექსუალობა და გენდერით განპირობებული ძალაუფლებრივი ურთიერთობები. ამავე დროს, მისი აზრით, ქალები ასეთ პროექტებში ხშირად გამოყვანილი არიან როგორც „საზღვრის დამცველებად“, ასევე კულტურული რეპროდუქციის წყაროდ[28].

შესაბამისად, საბჭოთა პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ეთნიკური ნაციონალიზმის გამყარებისკენ, ეროვნებას საცხოვრებელ ტერიტორიასა და ენასთან აიგივებდა. ასეთი მიდგომა, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა საბჭოთა რესპუბლიკებში ეთნიკური უმცირესობების მიმართ მტრული გარემოს ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქალის სექსუალობას, რეპროდუქციულ უნარებსა და სხეულს საკუთარი ეროვნების „საზღვრის დაცვის“ ხაზზე აყენებდა.

ქართული დისკუსი

კვლევის ფარგლებში მოგროვებულ მონაცემებზე დაფუძნებით, შეიძლება ითქვას, რომ ბრეჟნევის ეპოქაში საქართველოს სსრ-ში წარმოებული სექსუალობის დისკურსი გამოირჩევა უნიკალური მახასიათებლებით და იკვეთება საქართველოსთვის დამახასიათე-

24 Yuri Slezkine, “The USSR as a Communal Apartment, or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism“, *Slavic Review 53,* no 2 (Summer, 1994): 414-452.

25 იქვე, 418.

26 Nira Yuval-Davis, *Gender and Nation,* (Thousand Oaks: SAGE Publications, 1997): 23.

27 იქვე, 23.

28 იქვე, 23.

ბელ კულტურულ და ნაციონალისტურ ასპექტებთან. ჟურნალ „საქართველოს ქალში“ მოძიებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის დისკურსისთვის დამახასიათებელია თვითნორმალიზაციის განსაკუთრებული, უფრო მკაცრი დისციპლინური პრაქტიკების შექმნა, მაგალითად, როგორიცაა ზედამხედველობა ოჯახისა თუ საზოგადოების მხრიდან, – მიმართული ქალებისთვის სექსუალობის მკაცრი ნორმების დაწესებაზე. ეს, თავის მხრივ, ქართველ ქალებს განსაკუთრებულ გამოცდილებას უქმნიდა და მათ მიერ სექსუალობის ტრადიციულ აღქმას უწყობდა ხელს.

ქართულ დისკურსში ქალის სექსუალობის ცენტრალური თემაა ოჯახის შექმნა, რომელიც უკავშირდება შემდეგ ცნებებსა თუ თემებს: სიყვარული, ქორწინება და ღირსება; დედობა და რეპროდუქცია; ნაციონალიზმი და ქართველი ქალი.

სიყვარული, ქორწინება და ღირსება

„საქართველოს ქალში“ მოძიებულ მასალებში სიყვარულისა და ქორწინების ცნებები ერთ-ერთი ცენტრალურია, ისინი მეორდება სხვადასხვა ტექსტში და ინტერტექსტუალურ კავშირს ამყარებს ერთმანეთთან, რაც სექსუალობის ქართული დისკურსისთვის მათ მნიშვნელობაზე მეტყველებს. ამავე დროს, ქართულ კონტექსტში სიყვარული ყოველთვის არაა დაკავშირებული ქორწინებასთან, არამედ ეს მეორე წარმოჩენილია ქალისთვის სავალდებულო ნაბიჯად, რომელიც აუცილებლად მის ღირსებას უკავშირდება. ღირსებას ამ კონტექსტში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სიყვარულსა და სხვა ცნებებს.

ასე მაგალითად, მწერალ სულხან ქეთელაურის მოთხრობა ახალგაზრდების სიყვარულის ისტორიას აღწერს, რომლის მთავარი მოქმედება ხევსურეთში ხდება. მოთხრობის გმირი, ახალგაზრდა კაცი, ზაფხულში თავის სოფელში ჩადის დასასვენებლად, იქ მას შეუყვარდება თანასოფლელი თალალა და ისინი ერთმანეთს ყოველდღე ხალხისგან მოშორებით ხვდებიან, „აქ არავის შეეძლო ჩვენი დანახვა. წესი და სოფელი კი უპირველესად ამას მოითხოვდა ჩვენგან“[29]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ავტორი თავისი მთავარი გმირის მეშვეობით ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ „ჩვენ ხარბად ვისმენდით ჩვენი გულების შორით ძახილს, არ მახსოვს როდისმე ხელით შევხებოდით ერთმანეთს, არც სიყვარული გვიხსენებია სიტყვით“. აქედან გამომდინარე, ტესტში წინ წამოიწევა რამდენიმე ცნება. ერთი მხრივ, მთავარი გმირი ხაზს უსვამს საზოგადოებისგან თავის შორს დაჭერის სურვილს, რადგანაც „სოფელი და წესი“ ანუ გარშემომყოფები ამას მოითხოვდნენ, – რაც იმის მანიშნებელია, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელია ახალგაზრდა ქალისა და კაცის შეხვედრებიც კი, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სახის ურთიერთობაზე. მეორე მხრივ, მთავარი გმირი აღნიშნავს, რომ ისინი „ხელითაც კი არ შეხებიან“ ერთმანეთს, რაც ისევ გარკვეული ნორმების, წესებისა და ტრადიციების მიყოლის ტენდენციაა.

29 ს. ქეთელაური, *ხევსურული ამბავი.* „საქართველოს ქალი“ №7, 1964, გვ. 6.

გარდა ამისა, სიყვარულზე საუბარი, ამ მოთხრობის მიხედვით, სირცხვილია, სიყვარულის ახსნაც კი ერთგვარ შიშისა და უხერხულობის განცდას აღძრავს. ავტორი აღნიშნავს, რომ როდესაც მთავარი გმირი სიყვარულში გამოუტყდა, „თალალა შეცბა, თვალებში შიში ჩაუდგა“ და გაიკვირვა „სუ, აბა რას ამბობ?... დაჩუმდი... სირცხვილი!“[30]. ამავე დროს, თუმცა ახალგაზრდები დიდ დროს ატარებენ ერთად, მათ არათუ „სიახლოვე“, ანუ სექსუალური ურთიერთობა, არამედ ფიზიკური შეხებაც კი არ აერთიანებთ. ახალგაზრდა კაცი მხოლოდ ერთხელ კოცნის თალალას, რაც მათთვის სავალალოდ სრულდება, რადგანაც თალალას მამა, რომელიც ამას შეესწრება, ახალგაზრდებს ერთმანეთის ნახვას აუკრძალავს, შვილს სახლში გამოკეტავს და გარეთ არ უშვებს, სანამ ბიჭი სოფელს არ დატოვებს.

ამგვარად, ტექსტში წინ წამოწეულია ორი საკითხი: საზოგადოებრივი ზედამხედველობისა და მკაცრი ნორმების, რომელიც ქალისა და კაცის შეხვედრის აკრძალვისა და კონტროლის საშუალებაცაა; და ასევე, მამის, როგორც ზედამხედველის, ქალის სიწმინდისა და ღირსების დამცველის, რაც ქართული დისკურსის ერთ-ერთი მთავარი თემაცაა. შესაბამისად, საზოგადოება და მამა – როგორც ზედამხედველები – ქმნიან იმ დისციპლინურ პრაქტიკებს, რომლებიც ქალების ქცევის ნორმალიზებას ახდენს.

მნიშვნელოვანია ქართული კონტექტის კიდევ ერთი ცნების, ქორწინების, წინ წამოწევა. როგორც მოთხრობიდან ჩანს, მიუხედავად ახალგაზრდა კაცის მიმართ თალალას დიდი სიყვარულისა, მას სხვაზე გაათხოვებენ:

> „ქალს რა ქმარი მაუნდას, ჯალაფთა ებუზღუნება. მაშ, პატრონს უნდა ჩააბარ, თორე შარცხვენის მეტს არაფერს უქადს გვარს. ნდობაი? სიყვარული? ეგ რაის გასატეხი ას, – სახსენებლადაც არა ღირს, – ქალმ ქმარს უნდა ერთგულას და შვილებ დაზარდას. მორჩა და გათავდ!“[31]

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მამა და ოჯახი, იმის გარდა, რომ ზედამხედველობას უწევენ ქალის სექსუალობას, მისი ცხოვრების განკარგვასაც საკუთარ თავზე იღებენ. სიყვარულის ცნება კი მეორეხარისხოვანი ხდება და ისეთი ცნებებით ნაცვლდება, როგორიც ქმრის ერთგულება და შვილების გაზრდაა.

მიუხედავად ამისა, სიყვარულის მარადიულობის თემა ამ ტექსტში არ იკარგება, რადგანაც იგი მთავრდება თალალას ისტორიით, რომელსაც სხვაზე გაათხოვებენ, შემდეგ კი ქალი ქვრივდება და რჩება სამ შვილთან ერთად. თავისი ახალგაზრდობის შეყვარებულთან შეხვედრისას ის ამტკიცებს, რომ „ის არ ვარ, რაიც უნდა ვიყვ...“, რადგანაც „ზოგჯერ არც კი მგონავ თუ ჩემები ას. თითქოს სხვაგნით მავიდეს და შემახიზნეს... ვიცი, არ ვარ მართალი, არ ვარ სრული... ნახევარ დედაი ვარ...“[32]. შესაბამისად, მოთხრობაში სიყვარულის თემა შენარჩუნებულია – თავისი სურვილის წინააღმდეგ გათხოვილი ქალი

30 ს. ქეთელაური, *ხევსურული ამბავი,* გვ. 7.

31 იქვე.

32 იქვე.

უტყდება საკუთარ თავსაც და ყოფილ შეყვარებულსაც, რომ ვერ ასრულებს დედის იმ მოვალეობებს, რომლებიც მას, წესით, აკისრია, – რითაც კარგავს იმ ერთადერთ აგენტობას, რომელიც ქართულ საზოგადოებაში ქალს სოციალურ აქტორად აქცევდა.

სიყვარული, ამ მოთხრობის მიხედვით, ძლიერი გრძნობაა, რომელიც ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება, თუმცა მყარი ოჯახის შესაქმნელად მნიშვნელოვანია არა ეს გრძნობა, არამედ ქალის მხრიდან თავისი მოვალეობების შესრულება. ხოლო სექსუალური ურთიერთობა ოჯახის სფეროსთვისაა მინდობილი და ქალების ქცევაზე მკაცრი ზედამხედველობაა დაწესებული.

ამავე დროს, ქართულ დისკურსში ქალი, როგორც სოციალური აქტორი, მოკლებულია აგენტობას, მისი სურვილი და თანხმობა უგულებელყოფილია და, ზოგადად, ქალი წარმოდგენილია, როგორც ზედამხედველობის ობიექტი საზოგადოების, ოჯახისა და მამის მხრიდან. ეს, თავის მხრივ, აისახება ენაში: „პატრონს ჩაბარება“, „გვარის შერცხვენა“ და სხვა. აქედან გამომდინარე, ქმარი, მამა, ოჯახი, გვარი ქალის ზედამხედველებსა და „პატრონებს“ წარმოადგენენ, რომელთა თანხმობის გარეშე მას არათუ არჩევანის გაკეთების, სურვილის ქონის უფლებაც კი არა აქვს. ქალის სიწმინდისა და ღირსების ოჯახისა და გვარისთვის მიბარება ქართული სექსუალობის დისკურსის ერთ-ერთი უნიკალური კულტურული მახასიათებელია.

იგივე ტენდენციები, ცნებები და მნიშვნელობები გვხვდება დიაკონიძის მოთხრობაში „ასე იქნება“. მკაცრი ნორმებისა და ქალის ქცევაზე ზედამხედველობის თემა აქ მეორდება ფოთოლასა და ნაწარმოების მთავარი გმირის (მთხრობელის) ურთიერთობის ასახვისას: „თვალდახუჭული ვკოცნი ფოთოლას ყურის ძირში, მერე ლოყაზე ტუჩის პაწია ბუსუსებთან“, – ამაზე ქალის რეაქცია უარყოფითია, „ხო მომეჭრა თავი“[33], წუხს იგი და იმეორებს ქალებისთვის დაწესებულ ნორმებსა და თვითნორმალიზაციის, თვითდაკვირვების ტენდენციას, როგორც საზოგადოების, კულტურის მხრიდან თავსმოხვეულ და მის მიერ ინტერნალიზებულ დისციპლინურ პრაქტიკას.

მოთხრობის შემდგომი განვითარება არღვევს წინა ნაწარმოებში არსებულ სიუჟეტურ ხაზს, თუმცა ამტკიცებს და იმეორებს მთავარ ტენდენციებს, რითაც კიდევ ერთხელ გამოკვეთს ამ ორ ტექსტს შორის ინტერტექსტუალურ კავშირებს, რომლებიც სექსუალობის ქართული დისკურსისთვის ცენტრალური ხდება. მოთხრობის მთავარი გმირი ფოთოლას დაქორწინებას სთავაზობს, რაზეც უარს იღებს, რადგანაც, მიუხედავად მისი სურვილისა, მას „არც გამოაყოლებენ“[34]. თუმცა ამ შემთხვევაში ეს არ მართლდება, რადგანაც ისინი ცოლ-ქმარი ხდებიან, მიუხედავად ფოთოლას მამის წინააღმდეგობისა, რაც მისი ნეგატიური დამოკიდებულების საბაბად იქცევა: „ჩემი თვალით მივჩერებივარ, რავა მეჭრება თავიო“, რადგანაც „მათ ჯერ ხელი არ მოუწერიათ“[35]. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ ტექსტში წინაა წამოწეული კანონის გარეშე შექმნილი ოჯახის ვა-

33 ო. დიაკონიძე, *ასე იქნება*. „საქართველოს ქალი“ №10, 1968, 21.

34 იქვე, 21.

35 იქვე, 22.

ლიდურობა ქართული კონტექსტისთვის, რაც, თავის მხრივ, ქალის სექსუალობის ოჯახის შექმნასთან დაკავშირებაზე მეტყველებს, ქალიშვილობისა და ქალის სიწმინდის ცენტრალურ ხასიათზე მიგვითითებს და, შესაბამისად, ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რაც შესაძლოა არსებობდეს სექსუალობის ქართულ და სხვა დისკურსებს შორის. მთხრობელი ფოთოლას თავის ცოლად თვლის, ამაზე მეტყველებს მისი ფრაზა: „ცოლი გამგონი უნდა იყოს, ოჯახში ტრიალებდეს, გარედან რომ მოხვალ ნაჯაფარი კაცი, უნდა დაგიყვავოს და დაგიამოს“[36], – რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართულ კულტურაში არსებულ იერარქიას ქალსა და კაცს შორის, ნორმებისა და დამოკიდებულებების დისკრიმინაციულ ხასიათს ქალების მიმართ და, შესაბამისად, ქართული დისკურსისთვის ამ ტენდენციების ცენტრალურობას, რომელიც უდავოდ ზემოქმედებდა ქალებსა და მათ ცხოვრებაზე.

ქალის სექსუალობის აუცილებლად ოჯახთან მიბმის, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და არა კანონმდებლობაზე დაყრდნობით ოჯახის შექმნისა და, ამავე დროს, ქალის სხეულისა და არჩევანის თავისუფლების სრულიად კაცებზე გადაბარების კიდევ ერთი მაგალითია ლაერტ ჩართოლანის (1980) მოთხრობა „არჩევანი“. კიჯო, რამდენიმე მეგობართან ერთად, მოიტაცებს გოგონას და თავის ნათესავთან – ნესტორთან მიიყვანს. მიუხედავად იმისა, რომ გოგონა უარს აცხადებს რაიმე სახის ურთიერთობაზე კიჯოსთან, ის მაინც დარწმუნებულია, რომ „აქედან ნებით წამომყვება, აბა რას იზამს“. ამის გარდა, ის და მისი მეგობრები ამტკიცებენ, რომ:

> „ვიდრე გონს მოვა და ჩვენს აქ ყოფნას გაიგებს, კიჯო თავის საქმეს მოათავებს...
> – მოვათავებ და არც დავაგვიანებ!
> – თუ ქალი არ არის თანახმა? - ფერი ეცვალა ბადრის.
> – თანახმა რომ ყოფილიყო, აქ არც მოვიყვანდი“.[37]

ეს მონაკვეთი ნათელყოფს ქალისა და მისი სექსუალობის თუ თანხმობის მნიშვნელობის ნიველირებას კაცების მხრიდან. ამავე დროს, ასახავს ქართულ საზოგადოებაში არსებულ ისეთ ფენომენს, როგორიცაა ქალის მოტაცება, ქალზე ძალადობის ფორმა – სექსუალური ურთიერთობის დამყარება მისი ნების, სურვილისა და თანხმობის წინააღმდეგ. ამავე დროს, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ დუმილი სექსუალობასა და სექსზე, ქართულ კონტექსტში საკმაოდ ბევრის მომცველია და ამ თემაზე საუბრის ახალ ტექნიკებს წარმოშობს. ასე მაგალითად, ოჯახის შექმნის აღმნიშვნელი ყველა სიტყვა მიმართულია ქალის სექსუალობაზე. „ნამუსიანია“, – ამბობს ნესტორი მოთხრობაში „არჩევანი“, „ჩემი ცოლია“, – აღნიშნავს მოთხრობის „ასე იქნება“ ნარატორი და სხვა. სექსუალობის ქართულ დისკურსში, ქალის სექსუალობა აუცილებლად ქორწინებასა და ოჯახის შექმნასთანაა მიბმული.

აქედან გამომდინარე, ქალის სექსუალობის ქართული დისკურსისთვის დამახასიათებელია სიყვარულის მნიშვნელობის დასუსტება, ხოლო ქორწინებისა და ოჯახის შექმნის

36 იქვე.

37 ლ. ჩართოლანი, *არჩევანი*. „საქართველოს ქალი“ №7, 1980, 10.

ცნებების გაძლიერება. ეს, ამავე დროს, გამოწვეულია ქალის სექსუალობის სრულიად ოჯახის სფეროსთვის მიკუთვნებით. თუმცა ექსპლიციტურად არცერთ ტექსტში არ ჩანს, ქართული დისკურსი სექსუალობაზე, თავის მხრივ, წინ წამოწევს ისეთ ცნებებსა და საუბრის მანერას, რომელიც წარმოქმნილია სექსუალობაზე დუმილის ზეგავლენით და, შესაბამისად, მიმართულია ქალის სექსუალობის დაფარვაზე ან მისი მხოლოდ და მხოლოდ ოჯახისა და ღირსების კონტექსტში გამოყენებაზე.

ამასთან, ქართული დისკურსისთვის დამახასიათებელია ქალის სურვილის უგულებელყოფა, მისი პასიურ ობიექტად ჩვენება და აუცილებლად მამასა და ოჯახთან დაკავშირება. ამავე დროს, ქალის ქცევა მკაცრი ზედამხედველობის ქვეშაა, რაც, როგორც ტექსტებიდან ჩანს, ქალებს თვითნორმალიზაციის ტენდენციასაც უყალიბებს, შედეგად, ისინი თვითონაც თვითდაკვირვებისა და საკუთარი ქცევისა თუ ქმედებების ნორმალიზაციის ინიციატორები ხდებიან. შესაბამისად, ქართული დისკურსი სექსუალობაზე ნორმატიულია და ქალების სექსუალობის კონტროლისა თუ ზედამხედველობის სხვადასხვა მექანიზმს მოიცავს.

დედობა და რეპროდუქცია

დედობისა და რეპროდუქციის თემა ცენტრალური იყო სექსუალობის საბჭოთა დისკურსისთვის და ქართული დისკურსიც არ არის გამონაკლისი. ამაზე მეტყველებს დედობასა და რეპროდუქციაზე არსებული რუსული ტექსტების ქართულ გამოცემებში გადმოტანა და გამეორება. ეს კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საბჭოთა კავშირის ბრეჟნევის ერაში არსებული სექსუალობის დისკურსის გამიზნულ კავშირს დემოგრაფიული და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრასთან.

ამაზე ნათლად მეტყველებს ისეთი ტიპის სტატიები, როგორიცაა, მაგალითად, ნარგიზა მგელაძის „5 დეკემბრის ქუჩა“, სადაც დედის მხრიდან მიტოვებული ბავშვების ცხოვრებაა აღწერილი. ავტორი ბავშვებზე მთელ პასუხისმგებლობას დედებს აკისრებს და, ამავე დროს, მათ „ამორალურ ცხოვრებაში“ ამხელს[38]. ეს ნათლად მიგვითითებს ქალთა სექსუალობის მათ გენდერთან დაკავშირების ტენდენციაზე. ამასთან, ეს ტენდენცია ქმნის იდეალური ქალის ხატს, რომლის ერთადერთი დაშვებული სექსუალობა დედობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხოლო დედობაზე უარის თქმა უკვე აპრიორი ქალის სექსუალურ თავისუფლებას ნიშნავს, რაც მიუღებელი და უცხოა ქართული კულტურისა და კონტექსტისთვის და, შესაბამისად, ქალის მარგინალიზების, გარიყვისა და საზოგადოების მხრიდან დასჯის საბაბი უნდა გახდეს.

სტატიის ავტორი იმ ქალების დეჰუმანიზაციასაც ახდენს, რომლებიც უარს აცხადებენ შვილებზე: „ძნელია ადამიანურ ენაზე ელაპარაკო, მით უფრო რამეში დაარწმუნო ქალი, რომელმაც ხელი აიღო შვილზე“[39]. იქვე ამატებს, რომ შესაძლოა ქალს, რომელმაც ბავ-

38 ნ. მგელაძე, *5 დეკემბრის ქუჩა*. „საქართველოს ქალი“ №6, 1970, 11.
39 იქვე.

შვი მიატოვა, ცხოვრებაში რთული პერიოდი ჰქონდა, თუმცა, „მისი გამართლება მაინც შეუძლებელია, რადგან“, ავტორის აზრით, „უფრო ადვილია სიცოცხლეზე აიღო ხელი, ვიდრე შვილზე[40]. სტატიის ბოლოს კი აღნიშნავს: „კარგად აღზრდილი შვილი ხომ ქვეყნის მომავალია და ჯილდოა დედისა“[41]. შესაბამისად, ავტორი ექსპლიციტურად ხაზს უსვამს დედობის მნიშვნელობას და, ამავე დროს, აკრიტიკებს იმ ქალებს, რომლებიც დედის სოციალურ როლზე უარს იტყვიან, ამას ქალის სექსუალობასთან აკავშირებს და მორალური განსჯის სფეროში ათავსებს.

საინტერესოა, ასევე, „საქართველოს ქალში“ გამოყენებული რუსულენოვანი ტექსტები დედობასა და რეპროდუქციაზე. მაგალითად, გალინა ორშინსკაიას „ერთი კარგი ადამიანი შეემატა ქვეყანას“ ერთი ახალგაზრდა ქალის ისტორიაზეა. ის აღმოაჩენს, რომ ორსულადაა და მიუხედავად იმისა, რომ ქმარი დაფიქრებას სთხოვს იმაზე, შეძლებს თუ არა ბავშვის აღზრდას, რადგანაც სტუდენტია, ხოლო მისი ქმარი, ვიქტორი – მეზღვაური და კიდევ დიდხანს ვერ დაუბრუნდება, ქალს მაინც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბავშვის დატოვება. მოთხრობა მთლიანად მიმართულია მთავარი გმირის დადებითი თვისებების ხაზგასმაზე, რადგან ის არ ამბობს უარს ბავშვზე და არ იკეთებს აბორტს; იმ მნიშვნელობის ჩვენებაზე, რომელსაც ქალებისთვის ბავშვის გაჩენა და რეპროდუქციული უნარი უნდა წარმოადგენდეს; დაბოლოს, იმ თანადგომაზე, რომელსაც მისდამი თანამშრომლები და სახელმწიფო ავლენენ.

ავტორი ცდილობს ხაზგასმას, როგორ აკეთილშობილებს ქალს ბავშვის ყოლა: „ერთი ქარაფშუტა გოგონა ვიყავ. დილით სამსახურში გავრბოდი, საღამოს – ინსტიტუტში. ლექციიდან ვიპარებოდი...“, – ამტკიცებს მთავარი გმირი, თუმცა ორსულობამ სხვა გამოცდილება მოუტანა და მისთვის „მთავარი – ფიქრი გახდა“[42]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მოთხრობაში ავტორი ქალს აგენტობას ანიჭებს, რადგანაც ყველა სხვა მოთხრობისგან განსხვავებით, აქ მთხრობელი ქალია. თუმცა, როგორც თვითონ გმირი ამბობს, მას აგენტობა მხოლოდ მაშინ ენიჭება, როდესაც ორსულდება, ანუ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეში ერთვება. ეს კი, თავის მხრივ, წარმოაჩენს ბრეჟნევის პერიოდის საბჭოთა კავშირში არსებულ დამოკიდებულებას ქალების მიმართ. დედებისთვის აგენტობის მინიჭების ტენდენცია ასევე მიანიშნებს ამ პერიოდში ქალებისთვის რეპროდუქციის სასურველობის გაზრდის მნიშვნელობაზე.

შესაბამისად, სექსუალობის შესახებ ქართული დისკურსის ერთ-ერთი ცენტრალური თემა ქალის სექსუალობის დედობასთან დაკავშირება და მისი რეპროდუქციული უნარია. ეს თემა ერთი-ერთი ცენტრალურია არა მარტო ქართული, არამედ რუსული დისკურსისთვისაც. მისი გამეორება როგორც ქართულ, ისევე რუსულ ტექსტებში, ასევე რუსულიდან თარგმნილი ტექსტების გამოყენება ქართულ სივრცეში გასავრცელებლად, სექსუალობის საბჭოთა დისკურსისთვის ამ თემის უნივერსალურ ხასიათზე მეტყველებს.

40 იქვე.

41 იქვე.

42 გ. ორშინსკაია, *ერთი კარგი ადამიანი შეემატა ქვეყანას*. „საქართველოს ქალი“ №11, 1968, 15.

ნაციონალიზმი და ქართველი ქალი

როგორც ზემოთ უკვე მიმოვიხილე, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში ნაციონალიზმის ხელშეწყობა, მისი ეთნიკურ წარმოშობამდე დაყვანა, ენისა და ტერიტორიისთვის მიბმა, ნაციონალიზმის პოლიტიკის მიღებული და წახალისებული ფორმა იყო[43]. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში წარმოებული ნაციონალისტური დისკურსი მთელ რიგ საკითხებში კვეთდა ზემოაღნიშნულ სექსუალობის დისკურსს. ერთი მხრივ, ეს ორი დისკურსი იკვეთებოდა ქალის ღირსებისა და ზნეობის ცნებების გამეორებით, ხოლო, მეორე მხრივ, ნაციონალისტურ დისკურსში ქართველი დედისთვის ერთ-ერთი ცენტრალური როლის და ამით მისთვის ერის „საზღვრების დამცველის“ სტატუსის მინიჭებით.

ასე მაგალითად, სტატიაში „ვეფხისტყაოსანი და ქართველი ქალი“ ნათელა ურუშაძე წინ წამოწევს საქართველოს ისტორიაში ცნობილი ქალების მოღვაწეობას და ხაზს უსვამს, რომ ქართველი დედები თაობებს საუკუნიდან საუკუნემდე გადასცემდნენ ქართული ენის ცოდნას:

> „ქართველი ქალისთვის ძველად „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ სიამოვნების წყარო როდი იყო. ეს იყო დედაენის დაუფლების საუკეთესო გზა მომავალ თაობათა აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეში“[44].

ავტორი ასკვნის, რომ „ასე ინახავდნენ ქართველი ქალები დედა ენას“, რაც „დღესაც სანიმუშო და მისაბაძი“ უნდა იყოს ქალებისთვის[45]. შესაბამისად, სტატიის ავტორი წინ წამოწევს ენის დაცვისა და შენახვის საქმეში ქალების ჩართულობას, რითაც მათ, ერთი მხრივ, ნაციონალისტური დისკურსისთვის ცენტრალური ცნების – ქართული ენის დაცვით აკუთვნებს „საზღვრების დამცველის“ როლს, ხოლო, მეორე მხრივ, აქცენტს სვამს ქართველი დედების როლზე ქართული ენის შენახვასა და კულტურაში, რითაც ასევე გამოყოფს დედობის მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, ქართული ნაციონალისტური დისკურსისთვის ქართველი ქალის ხატი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რაც ასევე იკვეთება სხვა ტექსტებშიც.

ამ ტენდენციას ხაზს უსვამს, ასევე, ნინო გეგენავას სტატია „ტვიშელი მანდილოსანი“, სადაც ავტორი იხსენებს აკაკი წერეთლის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში და ჰყვება კესარია ალავიძის ამბავს, რომელმაც აკაკის საკუთარი ლექსი წაუკითხა. ამ ქალის აღსაწერად, ავტორი იყენებს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „ზნეობრივად სპეტაკი, სათნო და შრომისმოყვარე“[46]. ამავე დროს, ავტორის ცნობით, მას ექვსი შვილი ჰყავდა, რომლებსაც მარტო ზრდიდა, თუმცა ისინი „დაიზარდნენ სამშობლოს მოყვარულნი და გამრჯენი“, ხოლო ერთ-ერთი მათგანი რევოლუციონერიც იყო, რომელსაც დანარჩენები

43 Yuri Slezkine, “The USSR as a Communal Apartment, or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism“, *Slavic Review 53,* no 2 (Summer, 1994): 414-452.

44 ნ. ურუშაძე, *ქართველი ქალი და ვეფხისტყაოსანი.* „საქართველოს ქალი“ №6, 1966, 13.

45 იქვე.

46 ნ. გეგენავა, *ტვიშელი მანდილოსანი.* „საქართველოს ქალი“ №6, 1968, 19.

აქტიურად ეხმარებოდნენ, რადგანაც „პატიოსანი ქართველი მანდილოსნის შვილები იყვნენ“[47]. ამგვარად, ამ ტექსტშიც მეორდება დედობის მნიშვნელობა ნაციონალისტური პროექტისთვის და, ამავე დროს, ემატება „ზნეობრიობისა“ და „სისპეტაკის“ საკითხი, რომელიც აუცილებლად ქალის სექსუალობასთანაა კავშირში.

დედობის თემასა და ქალის კავშირს ნაციასა და ეროვნულობასთან, ასევე ვხვდებით მარიკა ბარათაშვილის სტატიაში „უიღბლობა თუ?“, სადაც განხილულია ქალის „კონსიუმერისტული ბუნება“ და ის ცუდი ზეგავლენა, რომელიც შესაძლოა ამის გამო ქალმა მოახდინოს კაცზე. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ქართველი ქალის ხატი, რომელიც აუცილებლად დედობას უკავშირდება, ისტორიული ფაქტია და მისთვის კონსიუმერიზმი უცხო უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ავტორი ამტკიცებს, რომ ქართველი ქალის ისეთი თვისება, როგორიცაა „სიმტკიცე“, რის გამოც, მისი თქმით, „სახლის ჭერის გასამაგრებლად შედგმული ბოძისთვის – დედა-ბოძი“ დაურქმევიათ, ასევე, „კეთილგონიერება“, „სიწმინდე, რომელიც სატრფოსი თუ ცოლის მანდილის სახით თან მიჰქონდა ბრძოლად გასულ ვაჟკაცს...“, კონსიუმერიზმთან ბრძოლის ასპექტად უნდა ქცეულიყო[48]. აქედან გამომდინარე, ქართველი ქალის როლის შესახებ საუბრისას, ეს ავტორიც წინ წამოწევს ქალის დედობასა და მის „სიწმინდეს“, რომელშიც ქალის სექსუალობა, უფრო სწორად კი, ქალის სექსუალობის ნაციონალისტური დისკურსით მართვისა და კონტროლის საშუალება იგულისხმება.

დასკვნა

ბრეჟნევის ეპოქის საბჭოთა კავშირი, რომლისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, დიდი გამოწვევის წინაშე დადგა განქორწინებასა და აბორტის შესახებ კანონის ცვლილების შემდეგ. საჭირო იყო ზემოხსენებული პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზებისა და მეთოდების მოფიქრება, რადგანაც კანონის ძალაუფლების შესუსტებას შეეძლო შობადობის ვარდნა გამოეწვია, რაც, თავის მხრივ, ცუდად აისახებოდა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამ პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად სექსუალობაზე კონტროლისა და ზედამხედველობის ისეთი მეთოდი იქცა, როგორიცაა ადამიანების სექსუალობის საჯარო დისკურსებით მართვა. საქართველოს სსრ-ში, საბჭოთა დისკურსები სექსუალობაზე იცვლებოდა, რადგანაც თანაკვეთაში მოდიოდა ისეთ ადგილობრივ მახასიათებლებთან, როგორიცაა კულტურული და ნაციონალური ასპექტები. საქართველოში წარმოებული სექსუალობის დისკურსისთვის დამახასიათებელი იყო ისეთი ცნებები, როგორიცაა სიყვარული, ქორწინება და ღირსება; ოჯახი და რეპროდუქცია; და ქალები, როგორც ეროვნული იდენტობის „საზღვრების დამცველები“. გარდა ამისა, ქართულ დისკურსში სიყვარულისა და ქორწინების ცნებები აუცილებელ კავშირშია მამის, გვარისა და ოჯახის სახე-ხატთან, რომელიც ზედამხედველობას უწევს ქალის ქცევას და მისი სექსუალობის კონტროლის მექანიზმებს კულტურულ ასპექტს უმატებს.

47 იქვე.

48 მ. ბარათაშვილი, *უიღბლობა თუ?* „საქართველოს ქალი“ №1, 1970, 15.

დაბოლოს, კვლევის ფარგლებში მოგროვებული მონაცემები აჩვენებს, რომ ბრეჟნევის ეპოქის საბჭოთა საქართველოს ნაციონალისტური დისკურსი დიდწილად იკვეთებოდა ქალის სექსუალობის იმ დისკურსთან, რომელსაც იმ პერიოდში დომინანტური როლი ენიჭებოდა ამ რესპუბლიკაში. შესაბამისად, სექსუალობის დისკურსი, რომელიც ისედაც იერარქიული ხასიათითა და ქალის სექსუალობისა და აგენტობის მთლიანად კაცზე გადაბარებით გამოირჩეოდა, კიდევ უფრო მწვავდებოდა მისი ურთიერთკვეთით ნაციონალისტურ დისკურსთან. ის კი, თავის მხრივ, ქალის სექსუალობას ნაციის, ეროვნების ცენტრალურ ასპექტად წარმოაჩენდა, რითაც ამძაფრებდა საზოგადოებისა თუ ოჯახის მხრიდან მისი ზედამხედველობის საჭიროებას.